

# მ ს უ




ლიტერატურული ჟურნალი

№1 (32)

მსოფლიო მსოფლიო მსოფლიო მსოფლიო მსოფლიო

2017



# OLE

მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან  
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა  
*სულხან საბა*

ოლე – ახლში საჩრდილობლად დატოვებული  
ხე  
*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევი

**მთავარი რედაქტორი**  
აკაკი დაუშვილი

**რედაქტორები:**  
ფარნა რაინა  
ნუნუ ძამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი  
ერეკლე II-ის გამზირი №6  
III სართული  
მობ: 555 46 44 29  
მწერალთა ასოციაცია  
„ლიტერატურული კახეთი“  
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა  
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ  
ელექტრონული ფოსტით  
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალის წინა ნომრების შეძენა  
შეგიძლიათ რედაქციაში

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თვითმ-  
მართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტე-  
ტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**)  
და თვითმმართველი თემი თელავის მუნიცი-  
პალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდ-  
რე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი  
მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №1 (32), 2017



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



## შინაარსი

### იუბილე

**5. ფარნა რაინა.** სიტყვა — 80 წლისთავის  
საიუბილეო საღამოზე

### გამოსმაურება

**9. როინ მებრძევილი.** „მზე დედა ჩემი“

### მსატვრული ლიტერატურა

- 11. ზინა სოლომონიშვილი. ლექსები
- 13. ფიქრია ყუშიტაშვილი. მოთხრობები
- 22. მარია კოჭანიშვილი. ლექსები
- 26. თინათინ მკალაშვილი. ლექსები
- 31. გარი ზურაბიშვილი. ლექსები
- 32. გვანცა ქვიციანიშვილი. ორი მინიატურა
- 33. რომან ზუკაკიშვილი. ლექსები
- 37. ეკა ჯავახიშვილი. ლექსები

### აღამ აღვანელი (პოზიანიშვილი) — 105

**38. აღამ აღვანელი.** სიკვდილი კაკლიანში.  
მოთხრობა

### „ნაზიჯი“ — ახალგაზრდული ჩანართი

**44. ნუნუ ქამუკაშვილი.** მომავლის რწმენით და  
იმედით

### თარგმანი

**47. ედუარდ კოჩერგინი.** სააპრილო ამბავი.  
მოთხრობა

### ახალი ნიშნები

**50. ზაალ პოტკოველი.** რაც ერთხელ ცხოვლად  
სულს დააჩნდების

**58. ოთარ ხუციშვილი.** ცხოვრება ღიმილია

### წერილები

**62. ნორა ედიშარაშვილი.** ქართული  
სულიერების გზაზე

**63. მარინა მამალაშვილი.** „ვეფხისტყაოსნის“  
ილუსტრაციები

გარეკანის პირველ გვერდზე  
**მამა ღვინო (ტორაძე) მოსიანიშვილის** ნახატი

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი

## ლიჯლოკი

ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია მიენიჭა ფარნა რაინას (ფარნაოზ რაინაულს) ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:  
მაყვალა გონაშვილი



მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და ჟურნალ „ოლეს“ რედაქცია, მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ფარნა რაინას ულოცავს კიდევ ერთ აღიარებას – ილია ჭავჭავაძის პრემიის მინიჭებას.

გზიტსაჰსე იუბილე

ფარნა რაინა, ფიქრია ყუშიტაშვილი



ეს ქართული ლექსის ზეიმი იყო...  
ეს სიბრძნის — 80 წლის იუბილე იყო...  
ეს იყო — სიმართლის, რწმენის, ლექსის ზეობა.  
24 დეკემბერს, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ფარნა რაინას (ფარნაოზ რაინაულის) დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავის საიუბილეო საღამო გაიმართა თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური კოლეჯის საკონცერტო დარბაზში.

საიუბილეო საღამო გახსნა და წაიყვანა თელავის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა — ქალბატონმა ფიქრია ყუშიტაშვილმა. მან ისაუბრა უნიჭიერეს, გამორჩეულ, გენიალური ლექსების ავტორზე, — ფარნა რაინაზე და წაიკითხა პოეტის ლექსები.

იუბილარს გულმხურვალედ მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — ქალბატონი მაყვალა გონაშვილი და ფარნა რაინას ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია გადასცა.

პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დამსახურებაზე ისაუბრა ქალაქ თელავის მერმა — ბატონმა პლატონ კალმახელიძემ და იუბილარს წმინდა ნიკოლოზის უძვირფასესი ხატი უსახსოვრა.

გულთბილი სიტყვებით მიმართა იუბილარს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის

ფარნა რაინა, ფიქრია ყუშიტაშვილი, პლატონ კალმახელიძე



საკრებულოს თავმჯდომარემ — ბატონმა პაატა გიორგობიანმა, რომელმაც იუბილარს გადასცა თელავის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მონიშვნა.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე — ბატონი თემურ ჩალაბაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი — ბატონი ზაალ ბოტკოველი, საქართველოს მწერალთა კავშირის სიღნაღის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარე — ბატონი თამაზ ხმალაძე. მათ აღნიშნეს, რომ ფარნა რაინა განსაკუთრებული ხმის პოეტი და დაუდგრომელი საზოგადო მოღვაწეა. გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს, რომ ფარნა რაინას ლექსები, — თავანკარა ქართულითაა გაჯერებული და მკითხველის დიდ სიყვარულს იმსახურებს. მათ მაღალი შეფასება მისცეს ბატონ ფარნა რაინას ღვაწლს ქართული კულტურის განვითარებაში. მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახ-



ეთის“ ჟურნალ „ოლეს“ მთავარმა რედაქტორმა აკაკი დაუშვილმა ისაუბრა განვლილ წლებზე, ბატონ ფარნას დამსახურებაზე ჟურნალ „ოლეს“ დაარსებასა და მის შემდგომ წინსვლაზე. აღნიშნა, რომ ბატონი ფარნა პირადულზე მაღლა, ყოველთვის, ჟურნალის ინტერესებს აყენებდა.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ სახელით იუბილარს მიესალმა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი ქალბატონი ნუნუ ძამუკაშვილი. მან მოკლედ მიმოიხილა ბატონ ფარნას შემოქმედება, აღნიშნა, რომ იუბილარმა ქართულ პოეზიაში მრავალ სიახლეს დაუდო სათავე და დარბაზში მყოფთ კიდევ ერთხელ შეახსენა პოეტის ლექს-შედეგები და გენიალური კატრენები.

მოგონებებით გამოვიდა თელავის რაიონული გაზეთის „თელავის მოამბის“



ყოფილი რედაქტორი — ქალბატონი მერი ზაალიშვილი.

საინტერესო იყო თელავის რაიონული გაზეთის „თელავის მოამბის“ ასევე ყოფილი რედაქტორის — ბატონ ზურაბ არსენიშვილის გამოსვლაც.

ფარნა რაინას იუბილე მიულოცეს: საზოგადოება „ამაგდარის“ ხელმძღვანელმა, ქალაქ თელავის 3 საჯარო სკოლის პედაგოგმა ქალბატონმა ნინო ჭიკაიძემ; არასამთავრობო ორგანიზაცია „თელავი ჩემი ქალაქია“ ხელმძღვანელმა ქალბატონმა თამარ ლაზარიაშვილმა და თელავის სამხატვრო სკოლის დირექტორმა ბატონმა ვახტანგ ლაცაბიძემ.

კომპოზიტორ ჯუმბერ სახეიშვილის ხელმძღვანელობით ქალთა გუნდმა შეასრულა ფარნა

რაინას ლექსზე დანერგილი ახალი სიმღერა „სიმღერა თელავზე“.

ღვანლმოსილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, გამომსვლელებმა, ძვირფასი სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

დასასრულ, სამადლობელი სიტყვით გამოვიდა იუბილარი, ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე — ბატონი ფარნა რაინა. მან ვრცლად ისაუბრა მწერლობის როლზე, რომ — მწერლობას ჰეგემონის როლი აქვს, რომ — მწერლობა ერის წინამძღოლია.

ფარნა რაინას ამ შთამბეჭდავ გამოსვლას, დარბაზში შეკრებილი, მისი პოეზიის დამფასებლები ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.




ფარნა რაინა, ფიქრია ყუშიტაშვილი, მაყვალა გონაშვილი



ფარნა რაინა, ფიქრია ყუშიტაშვილი, პაატა გიორგობიანი







## ზვიად გამსახურდია

### სიტყვა — 80 წლისთავის საიუბილეო საღამოზე



ჩემო ძვირფასო კოლეგებო, ქართული სიტყვის კორიფენო და დიდოსტატებო, ძვირფასო საზოგადოება, ძვირფასო თანაქალაქელო, გულმხურვალედ მოგესალმებით ჩემი შემოქმედების, ესოდენი, დაფასებისათვის. სიტყვები არ მყოფნის მადლიერებისა და სიკეთის გამოსახატავად.

თუ არა თქვენ, ვინ იცის ჯვარცმული შემოქმედის გულის საკირე, ფიქრის ზღვა და ოკეანე, სიტყვასთან პაექრობაში გამძივებული თეთრი ღამეები.

არაფერი ისე ძნელი არ არის, როგორც თავისთავზე ლაპარაკი, მაგრამ, რაკი, დღეს, თქვენთან, ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით მიწევს გამოსვლა, თავს ნებას მივცემ რამოდენიმე სიტყვით გითხრათ: როგორ ვიშვი, — როგორც შემოქმედი, რა სკილა-ქარიბდა გამოვიარე და, რა ნობათით მოვედი.

ხელოვნებასთან პირველი ნათლობა და ზიარება ხატვით დავიწყე თუშეთში, — ვხატავდი: მთებს, ჭიუხებს, ცის სილაჟვარდემი მონავარდე არწივს, კლდეებზე რძესავით ჩამოქაფულ ჩანჩქერებს, ცხვრის ფარებით გადათოვლილ მთების კალთებს. შინაური შემფასებელნი დიდ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ... ნათქვამია: „კვიცი გვარზე ხტისო“ და, იქნებ, მართალია, ეს ხალხური სენტენცია... მამაჩემი — იროდიონ რაინაული, მთელ თუშეთში განთქმული მოლექსე იყო, — მისი ლექსები სიმღერებად იღვრებოდა ქორწილებსა, თუ დღეობებში. მას ეკუთვნის ხალხურად გახმაურებული სიმღერაც: „შირაქის გზაზე მოვდივარ, უკან მბრუნებს ქარიო“ ...უამრავი ლექსი დარჩა და ერთი პოემა: „გოდება შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევა თამარ მეფისადმი“. ჩემი უფროსი ძმა, გოგალეც წერდა. ორივენი სამამულო ომში დაიღუპნენ.

მე როდის დავიბადე, როგორც პოეტი, — როცა, 6-7 წლის ასაკში, ზეპირად ვთხზავდი, თუ, უშუალოდ, 8 წლისამ, წერა რომ დავიწყე, ან, — როცა IX კლასის მოსწავლემ, პირველი ლექსი დავბეჭდე რუსთავის (სადაც საშუალო სკოლაში ვსწავლობდი) საქალაქო გაზეთ „მეტალურგში“, შემდეგ კი „სოციალისტურ რუსთავში.“ მანამდე, თუშეთში, ომალოს რვანლიან სკოლაში სწავლისას, დაწერილი მქონდა ასზე მეტი ლექსი და ორი პოემა: „თუში მხედარი“ და „დაღესტანის ტყვე“...

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ... მე ასე მწამს და მჯერა, რომ: მწერლობა ბედისწერაა, — ნებაყოფლობითი ჯვარცმაა. განვლილი მუშაობის ანალიზით გავაკეთე ეს დასკვნა.

სამ გაზეთს: „კოლმეურნის ხმას“, „განახლებულ თუშეთსა“ და „ბახტრიონს“ ვრედაქტორობდი,

სხვადასხვა დროს, 26 წელი, თუ არ ჩავთვლით 5 წელს, ინსტიტუტში სწავლის დროს, საინსტიტუტო გაზეთების — სატირულ-იუმორისტული გაზეთის „ჭინჭრისა“ და დამწყებ მწერალთა გაზეთის „ახალგაზრდა შემოქმედის“ რედაქტორობას.

თქვენს წინაშე, ახლა, ჟურნალისტური ანგარიშით კი არ გამოვდივარ, იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად, მძიმე, ჟურნალისტური მუშაობისა, მწერლის კალამი არ გამიგდია ხელიდან. ბევრი ფიქრიანი ღამე მაქვს გათეთრებული.

მართალია, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ მოლოცვაშია ხაზგასმით აღნიშნული, რომ, მხოლოდ, ერთი, — სიფრიფანა ლექსების კრებული: „თუშური მოზაიკა“ მაქვს გამოცემული 1978 წელს, არჩილ სულაკაურის წინასიტყვაობით.

ეს იყო, უმცირესი ნაწილი ჩემი შემოქმედებისა. მაშინ, საჭიროდ ჩავთვალე — თუშური ყოფისა და რაინდული სულის სიდიადის გამოსახატავად, ხალხური მეტრი გამომეყენებინა.

ჩემი, ძირითადი, შემოქმედება კი კლასიკური მეტრის, სხვადასხვა, მდიდარი ფორმებით არის გამოსახული. დღეისათვის, 25 წიგნზე მეტი მაქვს გამოსაცემი, აქედან 4 ტომი — რჩეულია. სხვა ლექსების პარალელურად, დაახლოებით, 30 წელი ვმუშაობდი კატრენების ტრილოგიაზე.

დამთავრდა უალრესად, დაძაბული, თეთრი ღამეები, რამაც კოლოსალური ენერგია შეიწირა. უახლოეს ხანში, ჟურნალ „ოლეს“ სამ ნომერში, ხატოვნად რომ ვთქვა, — „საჭაშნიკოდ, სადეგუსტაციოდ“ გამოვაქვეყნე კატრენებში მოქცეული ზოგადსაკაცობრიო სიბრძნე, — აფორიზმებად და სენტენციებად... და, ხალხმა ძალიან დიდი მოწონებით მიიღო და უმაღლესი შეფასება მიაკუთვნა, რაც პირველი ციკლის გამოქვეყნებისთანავე, ვაჟა-ფშაველას პრემიით შეფასდა.

ახლა, როცა, 80 წლის გადასახედიდან, თვალს ვავლებ განვლილ გზას, ერთხელ კიდევ, ვიმეორებ, რომ ეს არის ბედისწერა, ნებაყოფლობითი ჯვარცმა, ამ, ურთულეს, — ციცაბო გზაზე...

მთელ, ამ, საკალმო, ორომტრიალში, მუდამ, მზესავით, თან მდევდა, თან დამყვებოდა მსოფლიოს შემოქმედ კორიფეთა, ფილოსოფოსთა შეგონებანი, — არისტოტელესი: „კარგი წიგნი არის, რომელშიც ავტორი ამბობს იმას, რაც საჭიროა, არ ამბობს იმას, რაც არ არის საჭირო და, ამბობს ისე, როგორც საჭიროა“, ვაჟა-ფშაველასი: „რაც უფრო დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო, მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავე





საკითხებთან,“ ჟან დელა ბრიურერის: „მწერალმა რომ ნათლად და გასაგებად წეროს, მკითხველის ადგილას უნდა დააყენოს თავი; საკუთარ ნაწარმოებს ისე უნდა შეხედოს, თითქოს, პირველად ხედავდეს, თითქოს, არავითარი წილი არ ედოს მასში და ვალდებული იყოს: აზრი გამოთქვას მასზე“, ნიკოლა ბუალოსი: „თუ გინდა: აგვატირო, შენც ატირდი, პოეტო“, ტომაზო კამპანელასი: „რაკი პოეზია ხელოვნებაა, ის სასარგებლოა სახელმწიფოსათვის, იგი კანონმდებლობის იარაღია“, კონსტანტინე გამსახურდიასი: „მწერლობა გველზე ნადირობაზე უარესია“, თომას მანის: „ჭეშმარიტი მწერალი — სიმართლის, სიკეთისა და პატიოსნების სიმბოლოა“... ვ.პოპოვი უფრო შორს მიდის: „მწერლის ერთადერთი მეღანი — მისი სისხლია“, ჰორაციუსის, რილკესი და, ასე შემდეგ. მაინც, ბუნებრივად, შეიძლება დაისვას კითხვა: ვისგან, რა ვისწავლენ? პასუხი გახლავთ: ქართული პოეზიიდან — „ანი“ და „ჰოე“, — ანუ უძველესი ქართული, სასულიერო ჰიმნებიდან დაწყებული, თუ, რამ, შექმნილა, XXI საუკუნემდე ბერძნული და ანტიკური პოეზიიდან — ფილოსოფიურ — ესთეტიკური ხედვა, ეპოსური სივრცე; ჩინური პოეზიიდან — აზრის დიაპაზონი, სიღრმე, ინდური პოეზიიდან — ემოციურობა და ექსპრესიულობა, იაპონური პოეზიიდან — ლაკონურობა, ლაპიდარულობა, სისხარტე, სპარსული პოეზიიდან — სიბრძნე და მუსიკალობა, ევროპული პოეზიიდან — ნოვაციები, კონკრეტულად, იტალიური რენესანსისა და აღორძინების ტიტანებიდან — ფუნჯის ფერწერის სიღიადე და ამ ფერწერით შთაგონების სიტყვებად, პოეზიად გარდასახვა, ამერიკული პოეზიიდან — სისადავე, ქართული ხალხური პოეზიიდან — ჰეროიკული აპოლოგია და სხვა... მთლიანობაში მე ვეზიარე ქართული და მსოფლიო პოეზიის უმდიდრეს არსენალსა და გამოცდილებას, პოეტური ხელოვნების ყველა საიდუმლოს, რასაც კი ჩემი გონება შესწავდა და შეიცნო, რაც ადამიანის გულამდე მისატან აზრს მეტ მუხტს, ემოციურობასა და ექსპრესიულობას შესძენდა...

არ მეგულება მწერალი, დასაბამიდან, დღემდე, რომელსაც გავლენა არ განეცადოს წინამორბედი გენიოსებისაგან. ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელიც არის: სანყის სტადიაში, საფეხურზე, მაგრამ ასევე, აუცილებელია: დროულად გამოვიდეს მათი მაგნიტური ველიდან, რადგან, ასევე აუცილებელია: საკუთარი აზრი, საკუთარი სტილი, საკუთარი ხელწერა დაიმკვიდროს შემოქმედებით სამყაროში.

ჩემი წინსვლისათვის, შემოქმედებითი წრთობა იყო რუსთავის საშუალო სკოლაში სწავლის დროს, იქ არსებული, რუსთავის მწერალთა კოპორტაში ყოფნა, რომელსაც დოცენტი ილია მაისურაძე ხელმძღვანელობდა.

უაღრესად ნაყოფიერი იყო 1969–1974 წლების ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკურ თათბირ-სემინარების მუშაობაში მონაწილეობა. პირველ თათბირ-სემინარზე, მორის ფოცხიშვილის თხოვნით, მე გამოვედი ანალიზური მოხსენებით, ამ ფორუმზე, დამსწრე ახალგაზრდა პოეტების მიერ, ფორუმში მონაწილეობის მისაღებად, საკონკურსოდ გამოგზავნილი, შერჩეული ნაწარმოებების მიმოხილვით.

ერთ-ერთი, არსებითი, მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთობას და შეხვედრებს სახელოვან ქართველ მწერლებთან: გიორგი ლეონიძესთან და იოსებ ნონეშვილთან, არჩილ სულაკაურთან და მორის ფოცხიშვილთან, მუხრან მაჭავარიანთან და ლადო მრელაშვილთან, გურამ ფანჯიკიძესთან და ლევან

სანიკიძესთან, ოტია იოსელიანთან და სოლომონ დემურხანაშვილთან, შოთა ხოდაშენელთან და ვალერიან ჩეკურიშვილთან, ალაზა ხაიაურთან და იპოლიტე შავლობაშვილთან, დავით მჭედლურთან და იური ჯინჭარაძესთან, ოთარ ხუციშვილთან და ელგუჯა ლებანიძესთან, სოსო ჩხუბიანიშვილთან და ჯემალ მეხრიშვილთან, თამაზ ხმალაძესთან, ლერი ბეგიაშვილთან და თენგიზ მორჩიაულთან, ავთანდილ ბერიძესთან, თეიმურაზ ჩალაბაშვილთან.

ხაზგასმით მინდა გამოვეყო თბილი და მეგობრული ურთიერთობა ახლანდელ, საქართველოს მწერალთა კავშირის მესვეურებთან: მაყვალა გონაშვილთან, რევაზ მიშველაძესთან, ბალათერ არაბულთან, თეიმურაზ ჩალაბაშვილთან, ასევე მეგობრული ურთიერთობა: თბილისელ, ბათუმელ, ქუთაისელ, რუსთაველ, გორელ, მესხელ, დედოფლისწყაროელ მწერლებთან: ზაალ ბოტკოველთან, ემზარ კვიციანიშვილთან, ფრიდონ ხალვაშთან, დავით თედორაძესთან, შოთა ზოიძესთან, ბელა ქებურიასთან, თეიმურაზ ლანჩავასთან, გიზო თავაძესთან, ავთანდილ ყურაშვილთან, ზაალ ებანოიძესთან, ავთანდილ ბერიძესთან, შოთა ლომსაძესთან, თამაზ ჯიბლაშვილთან, ზეზვა მედულაშვილთან, ალექსანდრე ნეკრესელთან, ჯემალ ინჯიასთან, გიორგი ბოგველიშვილთან, ლევან ფანჯიკიძესთან, ჯუმბერ უთრუთაშვილთან, გიორგი ნატროშვილთან, მწერალთა ასოციაცია: „ლიტერატურული კახეთის“ წევრებთან, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებთან, თელავის ინტელიგენციასთან და მუსიკალურ საზოგადოებასთან; სიტყვა გამიგრძელდა და მაპატიონ, რომ ყველას სათითაოდ ვერ ჩამოვთვლი. ამ ჩამონათვალში ზოგი, უკვე ზეციურ საუფლოშია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს იმათი სული...

განსაკუთრებული მაღლიერებითა და გულისხმიერებით მინდა აღვნიშნო ბრწყინვალე პროზაიკოსთან და დიდებულ ადამიანთან — ჟურნალ „ოლეს“ სამაგალითო, მთავარ რედაქტორთან, აკაკი დაუშვილთან: მეგობრობაც და თანამშრომლობაც, — ჟურნალის დაარსების დღიდან. იგი სანიშნოდ ღირსებებითაა შემკული. დღევანდელი დღეც, უპირველეს ყოვლისა, მისი მზიანი გულის სიკეთისა და ამალღებული ყურადღების შედეგია.

მე შემთხვევით და მექანიკურად კი არ ჩამოვამძივე ეს შუქნათელი სახელები და გვარები; ჩემში, თუ კი, რაიმე ღირებული, სიკეთე, სინათლე, სინრფელე, სათნოება, სიქველე, სისადავე და ღვთიურია, მათი დამსახურებაც არის.

როგორც მითოლოგიური ანთეოსი, დედამიწიდან იღებდა უშრეტ ძალასა და ენერჯიას, მე სახელოვანი, გენიალური წინამორბედებისაგან და ახლო მეგობრებისაგან, თანამოკალმეებისაგან.

მე მუდამ ვამაყო მათით!..

უფლის წყალობით, არიან კიდევ, უნიჭიერესი პოეტებიცა და პროზაიკოსებიც, რომლებთანაც, ჯერჯერობით, ახლო, მეგობრული, ურთიერთობა არა მქონია. ჩემ თავს, უფრო, ბედნიერად ჩავთვლი, მომავალში, ისინიც, თუ შემოვლენ ჩემს სამეგობრო არეალში, რომ:

„გული მივცეთ, გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“...

ხალხური სენტენციისა არ იყოს: „ძალა-ერთობა-შია“, ერთობა კი, გათითოკაცებულ საქართველოს, სასიცოცხლოდ სჭირდება... „ერთი-ყველასათვის, ყველა-ერთისათვის“, - ეს მარადიული სიბრძნეა...



ჩემთვის დიდი შემოქმედებითი სტიმული, მაგრამ დიდი საპასუხისმგებლო საქმე გახლდათ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარედ არჩევა, განსაკუთრებით კი საქართველოს მწერალთა წინა ორი ყრილობის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად არჩევა.

ცოტა გვიან გამახსენდა, ფრიად საგულისხმო, საკითხი, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა:

კარგად მახსოვს საბჭოური იდეოლოგიის არსი, — ყველაფერი პარტიული უნდა ყოფილიყო, თანაც, უმაღლესი დემოკრატიულობის პრეტენზია ჰქონოდა. ზოგი, დღესაც, არ გამოსულა იმ პარტიული აგონიიდან და ნოსტალგია აქვს.

კვლავაც არის ცალკეულ ადამიანთა თვალსაზრისი, რომ მხატვრული ლიტერატურაც, — პროზა თუ, პოეზია, პარტიული უნდა იყოს.

თვალი გაადევნეთ კაცობრიობის ისტორიას, რამდენი პარტია შეიცვალა? ლიტერატურა კი, რომელიც ამა, თუ იმ პარტიას, ან კლასს ემსახურებოდა, იმ პარტიასთან და იმ კლასთან ერთად, გადაფასდა და წარსულს ჩაბარდა...

თუ, ვინმეს უნახია მარადიული პარტია? ჭეშმარიტი პროზა და პოეზია კი მარადიული ღირებულებებია...

ბედნიერია ის ხალხი და ის ქვეყანა, სადაც ამის გაგება აქვთ.

მწერლობა, მზისიერ სამყაროში, მინიერი რელიგიაა, რომელმაც ადამიანი გამოიყვანა გამოქვაბულიდან.

მწერლობა ის ღვთიური მადლია, რომელიც ცდილობს, კაცობრიობის ბედნიერებისათვის, ცხოვრების ეკალბარდები გაკაფოს და ადამიანს ტაძრისკენ სავალი გზა გაუადვილოს.

ჩემი პოეტური ევოლუციისა და ნოვაციის ხანაში, ვერ წავიძღვარე ეგრეთ ნოდებულ: „მოდერნიზმის მამების“ — ტომას ელიოტისა და ეზრა პაუნდის დოქტრინა, რადგან, — მოდერნიზმი მე მწამს: პროგრესული და არა რეგრესული.

ქართული პოეზიის სიელვარე სულ სხვა არის: გამჭვირვალე აზრი, მაგნიტური ფერწერა და მუსიკა. ამიტომ ვერც უოლტ უიტმენის გზა გავიზიარე, იმიტომ, რომ ეს გზა, ქართულმა პოეზიამ, ცამეტი საუკუნის წინ, სასულიერო-საეკლესიო ჰიმნებით გამოიარა და ჩვენ უკან ველარ დავბრუნდებით.

რაც შეეხება მოდერნიზმის მამების დამსახურებას, — ტომას ელიოტის შემოქმედებით შტრიხებში ვკითხულობთ: „მისი დამახასიათებელია ლექსის განტვირთვა ყოველივე ავტორისეულისაგან, ინტიმისაგან, განცდისაგან, ტენდენციისაგან.“

ეზრა პაუნდი თავყვანს სცემს დისჰარმონიზაციის იდეას, იცავს სიმახინჯის ესთეტიზაციის პრინციპს, უარს ამბობს ყოველგვარ მემკვიდრეობაზე, აყენებს ყოველგვარი იდეალის პოზიტიური გამოსახვის შესაძლებლობას და აღიარებს მის, მხოლოდ, უარყოფით ფორმებს. მისი ხაზია: რთული, ბუნდოვანი, სუბიექტური ასოციაციებითა და ინტელექტუალური მნიშვნელობით დატვირთული ფორმები.

მათი დოქტრინის საპირისპიროდ, აქვე, მინდა დავამატო, რომ დაკვირვებულობის, სიღინჯისა და აუჩქარებლობის ნიმუშად, თვალწინ მედგა ჰორაციუსი და რილკე, განსაკუთრებული ნოვაცია კი ბაირონის: თავისუფლების პათოსი, რომელიც, შემდეგ, უმაღლეს აიტაცეს პოლონელმა — ადამ მიცკევიჩმა, უნგრელმა — შანდორ პეტეფმა, რუმინელმა — მიხაი ემინესკუმ, ბულგარელმა — ხრისტო ბოტევმა

და ივან ვაზოვმა, რუსებმა — ალექსანდრ პუშკინმა და მიხეილ ლერმონტოვმა, ქართველმა — ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ფილიპინელმა — ხოსე რიზალმა და სხვებმა.

გალაქტიკონშიც, სწორედ, თავისუფლების პათოსი დომინირებდა, როცა ამბობდა: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“...

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ლევ ტოლსტოი სუბიექტური შემფასებელი იყო შექსპირის, სენტ ბევი — ბალზაკისა და ბოდლერის, გერონტი ქიქოძე — ვაჟა-ფშაველასი, ხოლო, კოლაუ ნადირაძე — გალაქტიკონ ტაბიძის.

ხანდახან, დავფიქრებდი და ვიტყვი: იქნებ, ჩემი დამოკიდებულება, ასევე, არასწორია მოდერნიზმის მამებისადმი... ძნელია სუბიექტივიზმის რკაულის გარშემო ტრიალი. ჩემს აზრს, კვლავ, ათასჯერ ვწონი, მაგრამ, მაინც, ერთი და იგივე დასკვნამდე მივდივარ: მოდერნიზმი კარგია, როცა პროგრესული ნოვაციებით ამდიდრებენ, მაგრამ... მიუღებლად მიმაჩნია, როცა იმასაც კარგავენ, ან უარყოფენ, რაც მიღწეულია დღემდე.

ამ მზის ქვეშეთში, ყველაზე ობიექტური და ჭეშმარიტი შემფასებელი ხალხია და... ყველაზე დიდი ძეგლიც ხალხის სიყვარულია.

ეს სიყვარული, ჩემთვის, ყველაზე დიდი ჯილდოა და მე არა მაქვს უფლება ამ ჯილდოს ჩემი შემოქმედებით არ ვუპასუხო. თუმცა, ზოგმა, შეიძლება, ხალხისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს, ხალხის მტრობაც დაარქვას, როგორც ახლო წარსულში ხდებოდა, ხოლმე, — თვითონ, ხალხისა და ქვეყნის მტრები, სამშობლოსადმი სიყვარულს, სამშობლოს მტრობას არქმევდნენ?!

რაც შეეხება ჩემი წიგნების გამოცემას, ქვეყანა რომ მიიშალ-მოიშალა, 25 წლის მანძილზე, არსებობაც კი პრობლემად გვექცა და საკუთარი საშუალებით, წიგნების გამოცემა, მხოლოდ, ოცნება და ფანტაზიაა.

საქართველოს მწერალთა წინა, — ორივე ყრილობაზე და ჟურნალ „ოლეს“ საიუბილეო საღამოზეც, სიტყვებით გამოსვლისას, ვთხოვე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, ფინანსური საშუალება თუ ექნებოდათ, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ წევრთა ხუთი ავტორის თითო წიგნი გამოეცათ.

ჩვენ გვჯერა და გვწამს მწერალთა კავშირის თავკაცთა ყურადღებისაც, — საშუალება რომ ჰქონოდათ, ჩვენს თხოვნას აუცილებლად განიხილავდნენ, გაითვალისწინებდნენ, დააკმაყოფილებდნენ და ჩვენს თხოვნაზე პასუხსაც აუცილებლად გვაცნობებდნენ.

როდესაც საქართველოს მწერალთა მესვეურებს თვითონაც უჭირთ ფინანსები, ჩვენ აღარ გვსურდა შეგვეხსენებინა და ხელახალი მიმართვა-თხოვნით, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა.

ვნახოთ, მომავალში ქვეყნისა და მწერალთა საღაროს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა როგორი იქნება, ან, თვითონ, მე, მექნება თუ, არა საშუალება ჩემი ხარჯებით გამოვცე და ხალხამდე მივიდეს ჩემი წიგნები; თუ, არა და, მომავალი თაობები ხომ გამოსცემენ? „მერანის“ გენიალური ავტორისა არ იყოს, მეც იმედს ვიტოვებ:

„უქმად ხომ, მაინც, არა ჩაივლის ეს, განწირული სულისკვეთება“...

ჩემო, ძვირფასო თანამოკალმენო, ჩემო თანაქა-







ლაქელნო, ჩემო მეგობრებო, ჩვენო, ძვირფასო სტუმრებო, დამსწრე საზოგადოებავ, ერთი, რამ, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, — მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“, ბოლო წლებში, რა წარმატებებიც აქვს, ეს, — უპირველესად, ეკუთვნის საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ გელა სამხარაულს, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ყოფილ თავკაცს — ირაკლი შიოლაშვილს, თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ პლატონ კალმახელიძეს, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ალექსანდრე შათირიშვილს, მათ სამსახურებს. დიდი რწმენა და იმედი გვაქვს, ასევე, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელის, გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილისაგან, რომელიც სუფთა და ლამაზი წარსულით მოვიდა.

რაც მე ვილდოები მიმიღია, ყოველივეში, მათი დიდი წვლილია, მათი კუთვნილებაც არის, — საერთოდ, სამაგალითოა მათი ღვაწლი, ამაგი, დამსახურება ქართული მწერლობისადმი, ქართული კულტურისადმი.

აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართული მწერლობისადმი და ქართული სულიერებისადმი თავგანწირულებსა და თავდადებულებს: ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის მოადგილეს, თინათინ მრელაშვილს, ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელს ნუნუ ძამუკაშვილსა და ჟურნალ „ოლეს“ კორექტორს — ლია დაუშვილს.

და, ბოლოს, ჩვენო დიდებული ხალხო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ჩვენო, ძვირფასო თელაველებო, ერთხელ კიდევ, უღრმეს და უდიდეს მადლობას გიხდით ჩემი მცირეოდენი ღვაწლისა და ამაგის ესოდენ, დიდი დაფასებისათვის.

ვეცდები ვალში არ დაგრჩეთ და უფალსაც შევთხოვ, — შემადღებინოს თქვენთვის სამაგიერო სიკეთის მიზლვა, — ბოლო ამოსუნთქვამდე.

ჩემი „მამაო ჩვენო“, უპირველესი და ბოლო სათქმელი, ჩემი ორიენტირი და გზამკვლევი, ჩემი კრედო და მრწამსი ეს არის: ჩვენი ერის მამის, მოძღვარის, უგვირგვინო მეფის, მინიერი ღმერთის, მისნისა და ნათელმხილველის დიდი ილიას, ყველა ქართველისათვის, გულზე დასაკერებელი უფლისმიერი სიტყვები: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა და არც მამისა, ქვეყნისა არის; ჯერ ქვეყანა და, მერე დედა და მამა“...

დეკემბერი უფლის თვეა და ხვალ, 25 დეკემბერს იესო იზადება და მისი ნათელი ფარავდეს: სრულიად საქართველოს, მთელ პლანეტას!

ჩემო, უძვირფასესო ხალხო, უძვირფასესო საზოგადოებავ, კვლავ და კვლავ: უდიდესი და უზენაესი მადლობა ჩემი უმცირესი წვლილის უდიდესი შეფასებისა და დაფასებისათვის...

სიქველე, სიბრძნე, სიმშვიდე, სიკეთე, სიერთეულე, სინრფელე, სიალალე, სიყვარული და სიდიადე, — მრავალჟამიერ!...

XII. 2016



ირაკლი თოიძე,  
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია





როინ მეტრეველი

სულ ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირმა რეზო ადამიას — რომან „წმიდა ნინოსთვის“ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია მიანიჭა. სიამაყით შეგახსენებთ, რომ რეზო ადამიას რომანმა „წმიდა ნინო“ მზის სინათლე პირველად ჟურნალ „ოლეში“ იხილა.

2016 წლის ჟურნალ „ოლეს“ მესამე ნომერში გამოვაქვეყნეთ რეზო ადამიას მრავალმხრივ საყურადღებო ახალი მოთხრობა „მზე“. „ოლეს“ მკითხველებს ვთავაზობთ აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოხმაურებას აღნიშნულ მოთხრობაზე.

„მზე დედა ჩემი“

მსოფლიოს მხატვრულ ხელოვნებაში, ცხადია მწერლობაშიც მზე იმთავითვე შემოქმედთა ერთ-ერთ უპირველეს მუზად იქცა. ეს ალბათ უპირველესად მზის სიმშვენიერით, სიძლიერითა და სინათლის (ნათების) უნარიანთა განპირობებული. მზე ხომ დედამიწასთან ყველაზე ახლოს მყოფი მნათობია.

დიდმა შოთა რუსთაველმა, როცა მეფე თამარის დახასიათება სურდა მზეს შეადარა იგი: „მეფისა მზის თამარისა, ღანვ-ბადახმ-თმა-გიშერისა“ პოეტი თინათინსაც მზის მეოხებით ამკობს: „მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან“, სხვაგან ნათქვამია „ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მონუნარისა“. მზეს დიდი ხარკი გადაუხადა ქართულმა ფოლკლორმაც: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“, „მზევ შინა და მზევ გარეთა მზევ შინ შემოდიო“, „მზე დედა ჩემი...“, „ბნელი გააპოს ნათელმა (მზე იგულისხმება), ბოროტი გული — დანამა“, სვანურ „ლილეოსაც“, მზის საგალობელს უწოდებენ. ვერც ახალი დროის პოეტები გადაურჩნენ მზის ცდუნებას: „დედაო ღვთისავე, მზეო მარიამ...“, „მზეო თიბათვისა“ და სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. სრულიდ ახალი კუთხით დაინახა მზე მხატვარმა და მწერალმა რეზო (ემელიანე) ადამიამ. უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ იგი შესანიშნავი მხატვარია. შეიძლება ითქვას მხატვარი-ფილოსოფოსია. მის მრავალფეროვან ფერწერულ შემოქმედებაში არის რალაც კოსმიური — ფერთა საოცარი გამა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და ამიტომაც სრულიად კანონზომიერია, რომ რეზო ადამიას ახალი მოთხრობა „მზე“ საოცარი ოსტატობით, რეალობის ღრმა ფილოსოფიური შეცნობით, ხატოვნად წარმოგვიდგენს სიცოცხლისა და სიკეთის უკვდავ შემოქმედს — მზეს.

ფანტასმაგორიულია ამ მოთხრობის სიუჟეტი. ავტორმა ადამიანთა მოდგმა მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა, დილით მზე არ ამოვიდა... სამი საათით დააგვიანა: ეს სამი საათი დალუპვის პირას მდგარი ადამიანების განცდის დროა — პლანეტაზე უმაღლურების დამკვიდრების პერიოდი. ავტორი საოცარი ექსპრესიით აჩვენებს, თუ როგორ ევედრებიან ადამიანები ღმერთს: „მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს გაოგნებული, ჯვარალმართული ქრისტიანები, ბუდისტები ქედს იხრიან მზის გამოსახულების წინაშე. გაოცებული მუსლიმები მიწას ერთხმად.

იუდეველები გოდების კედელთან თუ ოჯახის სალოცავებთან ცრემლს ღვრიან. უკიდურესად შეძრწუნდნენ ძველისძველი წარმართები, იაღოველები, დაიბნენ კანტი-კუნტად შემორჩენილი უხსოვარდროინდელი თაყვანისმცემლებიც...“ და ა.შ.

უმზეობით გამოწვეულმა განსაცდელმა ადამიანებს საშუალება მისცა დაფიქრებულიყვნენ, განვლილი გზის სისწორე გაეანალიზებინათ. ამ სამ საათში ისინი დარწმუნდნენ, რომ „დედამიწა ყოველგვარი ეჭვის გარეშე მორჩილი, თანდაყოლილი პლანეტაა, უდიდესი მნათობი კეთილისა, რომელსაც ერთ წამს არ აქვს უფლება და საშუალება უმზეოდ არსებობისა“.

რეზო ადამია, კოსმიური ძალით ხედავს რა უმზეობით გამოწვეულ რეალობას, გვაფრთხილებს ფრანგი მწერლისა და მორალისტის ლაროშფუკოს მიერ რიშელიესა და მაზარონის წინააღმდეგ ბრძოლისას ნატყორცნი პარადიგმებით: „არც მზეს და არც სიკვდილს პირდაპირ არ უნდა უცქირო“. მოთხრობის ავტორი საინტერესოდ მსჯელობს, რომ ყველაფერი ემორჩილება უსაზღვრო ძალებს. პათეტიკურ შეკითხვას სვამს იგი: დრო, სამყარო და სივრცე ვის ემორჩილება? პასუხობს — ღმერთს. შემდეგ ერთი შეხედვით მკრეხელურ შეკითხვას წარმოთქვამს: უფალი კი ვის ემორჩილება? ავტორისვე აზრით, ამ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს რელიგიური ადამიანის აზროვნება, რათა არ დაირღვეს „გულმართალი რწმენის უმაღლესი ეთიკა“. რეზო ადამიას აზრით, სამყაროს იდუმალებისაგან შექმნილი მოვლენა შეუსწავლელი მცნებაა და ამიტომ „განსაჭვრეტად მომავლის ათასწლეულებს უნდა გადავაბაროთ“.

ნებისთი თუ უნებლიეთ დაძაბულ-დაზაფრული კითხულობ ნაწარმოებს. ეს მწერლის ნიჭიერების ნაყოფია. ამასთან მკითხველი აცნობიერებს, რომ მზის ამოსვლის უმაღლესი ხსენება დაძაბულობა, შვება გეუფლება. მწერალი საოცარი ოსტატობით თავისებურად განმარტავს ათასგზის დამტკიცებულ-დასაბუთებულ ქრესტომათიულად აღიარებულ მზის ფუნქციას: „სადღაც დაბეჩავებული და ფუნქციამოშლილი მთვარე თავისი უჩვეულო სვლით შეძრწუნებული და გაფერმკრთალებული, ამღვრეულ სივრცეში იმალება, რადგან ჩვენი გალაქტიკის — ირმის ნახტომის ერთ-ერთ გვირგვინოსან მეფე — დედოფალმანათობელს კოსმიურ ღრმად გამჭვირვალე — ჩრდილს აყენებს...





მზე კი თითქოსდა გამოთავისუფლდება უახლოესი თანამგზავრისაგან და შვებით აწყვეტილი კვლავინდებურად წინ მისხვივს. (დედამინა მთვარის ფუნქციათა მოშლა-არევის ამ წუთებში, თუ არა მზეს ვინ და რა შეხებია ოდესმე)...“

მეტად საინტერესოა რომ რეზო ადამიას ამ ჯოჯოხეთური სამ საათიანი უმზეობის ფონზე შემოჰყავს სხვადასხვა მოქმედი პირები, ზოგადად: მღვდელმთავრები, პატიმრები, პროკურორები, მეზადრაგეები და სხვ. კერძოდ — ერთი ახალგაზრდა ხატმწერი ბერი, ადამიანი, რომელიც მზისა და ჯვრის ერთობლივ მართალმა გამოხატვამ გადაარჩინა. ამ ბერს თავის მრევლში გამორჩეული ახალგაზრდა ჰყავდა. იგი ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილი. უხიაგ, ურწმუნოსათვის შეუფერებელ სიზმრებს უჩიოდა და როცა მათ თავი ვერ დააღწია, თავად გამოიტანა განაჩენი — ჩამომხრჩვალნი ნახეს (აქაც იმძლავრა სატანამ): ეს ამბავი მზის დაგვიანების წინ ერთი დღით ადრე მოხდა. თავის თავს ადანაშაულებდა — როგორ ვერ ჩავნვდი ამ ფარულ ცოდვამაკურ შემოსევებსო.

არ არის ეს ეპიზოდი შემთხვევით შემოტანილი მოთხრობაში. თანაც ხაზგასმულია, რომ ეს მძიმე ამბავი მოხდა ერთი დღით ადრე, მზის სამი საათით დაგვიანებით ამოსვლამდე.

ერთ რამესაც მივაქცევ ყურადღებას, მწერალმა უმზეობის დროდ სამი საათი აირჩია. იქნებ იმიტომ, რომ „სამი“ რამდენადმე საკრალურ რიცხვად ითვლება (წმ. სამება, „სამგზის სანატრელი“, პირჯვრის სამჯერ გადანერა და სხვ.). ნიშანდობლივია რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებლის ძლევამოსილ გამარჯვებას სამი საათით განსაზღვრავს: „...მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინა განწყობაჲ სამ ჟამამდე (სამ საათამდე — რ.მ.) იყო“. მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, ჩვენ კი მივიჩნევთ რომ რეზო ადამიას „სამი“ სწორედ ამ რიცხვის ტრადიციულობიდან მომდინარეობს.

კიდევ ერთი მეტად საყურადღებო ეპიზოდი შემოაქვს. ახალდაქორწინებული წყვილი შეძრწუნებულნი (ასეთები სხვა წყვილებიც არიან) სარეცელს მოშორდნენ და ფანჯარას მოაფრინდნენ. აღელვებული ვაჟი სულალტკინებული აფრთხილებს მეუღლეს: „ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად, არ მომწონს ჩვენს ირგვლივ ჟამმომდინარე სტიქიური ეს განწყობილება, შურიგე — ანანო! ახლავე გულ-მკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი...“

როცა მოთხრობა ამალღებულ რეგისტრშია შესრულებული, კოსმიური სიმაღლიდან განიხილება ყოველივე, ამგვარი მინიერი ეპიზოდის შემოტანა (განსაკუთრებით — „ძუძუებს გაუფრთხილდი“) კითხვებს ბადებს. რაშია საქმე, რატომ? ერთი შეხედვით თვით მწერლისთვისაც პასუხს ითხოვს: „რატომ? და რა იგრძნო ისეთი ქალის მეგობარმა და რომელმან შორეულიდან მომდინარე, ინტუიციამ შეძრა ასე, ჩვენთვის მიუწვდომლად?“

რეზო ადამია დამაჯერებელ პასუხს აძლევს თავისივე კითხვას, წინ სწევს დედის როლს: მიიჩნევს რომ ქალის სხეულში მზეა გადმოსული („ქვეყნიერების მანათობლის უთვალავი კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩანისლული“).

მოთხრობაში ცალკეული კონკრეტული ადამიანების ტკივილებიცაა გადმოსული ამ სტიქიური უბედურების გამო, ნაჩვენებია ის ტკივილი, რაც მარტვილის რაიონის ერთ მთაგორიან სოფელში ტრიალებდა, დიდი და პატარა შესთხოვდა მზეს: „ბჟა სი ქუგგაღე! არ დაგვივინყო! ნუ მიგვატოვებ, ამოდი...“ აქვეა მოტ-

ანილი ერთი დაღონებული მოხუცის გოდებით ნათქვამი: ამოვა ბჟა მალე, ნუ გეშინიათ, ბაბა“. პატარა ბიჭი, რომელიც გაურკვეველ მდგომარეობაშია ხმამალა იმეორებს სიტყვებს ძველი კოლხური ლექსიდან „ბჟა დიდა რე ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი).

გავიდა სამი საათი... დადგა ჟამი აუნერელი ბედნიერების... მზე ამობრწყინდა, „რელიური სამოთხე გაიშალა მთელს დედამინაზე“ მოთხრობა მრავალფეროვნად აგვიწერს მზის გამოჩენით გამოწვეულ ბედნიერებას, ყვავილთა, თუ ფრინველ-ცხოველთა სამყაროს ბედნიერ ლხინს, ადამიანთა აღტკინებას. მზის გამოჩენით გაბედნიერებული მწერალი ხმამალა ამბობს: მზის ამოსვლას ყოველ დღე ტაშით უნდა ვხვდებოდეთ.

მნიშვნელოვანია რეზო ადამიას განსჯა ადამიანთა მოდგმის თაობაზე: „უსასრულო სიკეთე და ბოროტება საპირისპირო განუყრელობაა. უზენაესისგან რჩეული ადამიანი თავისი ნიჭიერ-ბრძნული გონებით და მაღალი გენიით ღმერთს უახლოვდება, მაგრამ მაინც ვერ მიენევა მიუწვდომელ მარადიულს“.

მზის ამოსვლამ ცხოვრება გააგრძელა; თუმცა ის უარყოფითი, რაც ადამიანებში იყო კვლავ ხელუხლებელი დარჩა. ადამიანთა მოდგმა ვერ ეზიარა მარადიულ სიკეთეს. გულის ტკივილით აღნიშნავს მწერალიც: „...ვერც ერთი ზე ძალა ვერ შეძლებს სამყაროს სრულიად გაკეთილშობილებას, ეს კი მარადიული ტკივილ-ტრაგედიაა“. იგი ამ დებულებას ამაგრებს ეკლესიასტეს სიტყვებით: „არც ისე ჩქარა მოვა სასამართლოს დრო, რომელიც ცუდ საქმეებს გაასამართლებს, ამიტომაც ადამიანების შვილების გულებს ბოროტების ჩადენის არ ეშინიათ“. რეზო ადამია აყენებს პარადიგმას — მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლია სამყაროს სიკეთე. იგი მზესაც ღვთის ქმნილად მიიჩნევს. „რელიგია ზეგონებაა — აღნიშნავს ავტორი, სამყაროსეული აზროვნებაა და დედამინაზე მცხოვრები ადამიანების წმიდანანმიდა ზნეობის მარეგულირებელია... ათი მცნება ხომ კაცობრიობის ყველა კანონზე მაღალთმაღალი მარადისობის ნესდებაა, მთლიანად წლებს რომ გადასწვდება მისი შეუფასებელი უფლისმიერი მადლი“.

მოთხრობა „მზე“ ნაპირგადალახული ფანტაზიითა და მაღალი მწერლური ოსტატობით ფართოდ ანიჭებს მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას. გონივრულადაა შემოტანილი ცალკეული ეპიზოდების დასაწყისში მსოფლიო კორიფეების — მეცნიერთა, მწერალთა და სხვ. ბრძნული აზრები.

რეზო ადამიამ მეტად მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მოთხრობის „მზის“ შექმნით ჭეშმარიტ, ამასთან ძალზედ საინტერესო ლიტერატურას აზიარა მკითხველი. მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ უპირველესად არკვევ ავტორის დამოკიდებულებას კოსმიური მოვლენებისადმი; მზისადმი ნეტარებითი სიყვარული ამოძრავებს მას და ამასთან მიიჩნევს, რომ ის ზეძალა, რომელსაც შესტრფის იგი, თითქოს იმეორებს:

„ბჟა დიდა რე ჩქიმი,

თუთა მუმა ჩქიმი...“

ყოველივე აქედან გამომდინარე სრულიად ნათლად გასაგებია რეზო ადამიას შეთხოვნა ადამიანთა მიმართ: გამოიჩინონ კოსმიურ-ზნეობრივ-ადამიანური დამოკიდებულება და აუგად არ მოიხსენიონ პლანეტის უძველესი ხალხების: შუმერების, ხეთების, ქალდეელების, სპარსელების, ეგვიპტელების... მზიური მადლი.

გუსურვებ მრავალ ნარმატებას შესანიშნავ მწერალსა და მხატვარს რეზო ადამიას; მოთხრობა „მზეს“ კი მწვანე გზას ხალხის გულებისკენ.





ზინა სოლომონიშვილი

გიორგი ლეონიძეს

პატარძელისათვის — თეთრი კაბა  
შემოუხვევია ხევს ღრიალით,  
ვაშლის, ნუშის თოვლით გალუმბული,  
შენი ვებერთელა მხრები არი.

გაბლავი მთებს, როგორც ხარირემი,  
დევის ქალამანი — გდია ხრამი,  
ყაყაჩოს ღვართქაფი მოგთქრიალებს  
და ველურ ყვავილთა ნიაღვარი.

ეს რა თაკარა მზე მოგშხაპუნობს,  
შენგან რა იების თქეში გვანვიმს? —  
საქართველოს ჰკოცნი, ეფერები,  
თავდავინწყებული ღმერთი კაცი.

ვაი, რა მთვრალეები დავბარბაცებთ,  
შენს ზღვასიყვარულის ნაპირებზე,  
სხეულებს ნაღვერდლები გვიშანთავენ,  
თუ მიხაკებივით გვაყრი ლექსებს.

იმდენი ღვინო ხარ, ვერ ამოგცლით,  
თუმცა, გაშმაგებით გენაფებით,  
ქართული ლექსების ქარიშხალო,  
ჟრჟოლვად მოვარდნილო, ჩვენს ძარღვებში.

შენს ფართე მკერდსა და გონიერ შუბლს  
მზე არტყამს ცეცხლოვან ამბორს ბეჭდად,  
მამულის გულ-ღვიძლში ფესვებგადგმულს,  
რომელი საუკუნე ამოგგლეჯავს?

სიალალევ, სიცოცხლევ, უკვდავებავ,  
მუდამ სხივთმბარდნელო, სულნათელო,  
რა გითხრა, რითი გაგაკვირვო?  
თვითონ აღტაცებავ, ჟრუნტელო.

სიხარულ — სიცოცხლე აჯანყებულს,  
გჩქეფს ლექსის ჩანჩქერი, შადრევანი,  
მამული სალოცავ სახატედ გაქვს,  
ცა — ღმერთის ნაკურთხი ტახტრევანი.

მხრებზე დაგიდგია დედამინა,  
ალერსი ამოგწვიმს ზედ ბალახად,  
შთამომავლები მოგძახიან:  
„იცოცხლე, გოგლა, ჩვენთანა ხარ!..“

\*\*\*

თავბრუ ეხვევა ცეკვით ნადიკვარს,  
ტანს უხანძრავენ ლალი წყვილები,  
რაო, ამ ხის ქვეშ ღელვა რად მიყვარს  
და შენს წარსულში რად ვიცქირები?  
ციცნათელები ღამეს ჭორფლავენ,  
ზღვა ყვავილების მწვდება ყელამდის,  
კარგი რა! ფიცით ნუ გადამრიე,  
გესმის, რა ტკბილად მღერის თელავი?..

მე შემიძლია

ამ ქვეყნად მოველ ადამიანად  
და აღმერთებას მიტომ  
არ ვცდილობ,  
დე, მოვკვდე,  
ჩემი ბედნიერება  
ოლონდ თანაბრად გაგინანილოთ...  
ხალხი ჩემშია  
და მე ხალხში ვარ,  
და ხალხს თუ არა,  
აბა, ვის ვგავდე?!  
მოგროვდით,  
ვინც ხართ, უსიყვარულოდ,  
მე შემიძლია, ყველა მიყვარდეთ!

ნატვრა

ჯიქურ მოაბიჯებს  
სოფლად დიონისე,  
ყველას გულს ამღერებს,  
ქვევრ-მარნებს ახელებს,  
აბა, მე რატომღა უნდა ვდიო ნისლებს?  
თუკი მზე ალალებს  
ამ ქუჩებს,  
ამ ხევებს...  
სულდგმულთა სიმრავლე მინას ძალას  
მატებს,  
მიტომ მსურს,  
სუყველა, ათასჯერ გაბევრდეს,  
ნეტავი, ეს ქალი, უფრო გალამაზდეს,  
ნეტავი, ეს კაცი არასოდეს დაბერდეს.



## ხედავთ?

იის გვირგვინი მადგია თავზე,  
ყაყაჩოს ალით ჯეჯილს ცა მიაქვს...  
მე შენი ეჭვით ისე ვარ სავსე,  
უნდა გიყვარდე უფრო ძალიან.

ალერსის ღვართ მახრჩობ, მიტაცებ,  
ჭორი მიჰყვება შრიალა ნიავს;  
ხედავ? მზე დადის ატყორცნილ მთაზე,  
როგორც ჩემს ხელზე ჭიამაია.

\*\*\*

ლელავს, ზღვას ერევა  
ჩემი გული,  
ბორგავს  
დარია თუ ავდარია,  
დარდის და  
ელდის ატანაში  
რკინაც ვერ აჯობებს  
ადამიანს...

## ვინ დამიშლის

მზე მენვება ათროლოებულ მხრებზე  
ანთებული გადავცქერი მთა-ველს...  
უაღერსოდ, რომ ერთ ნამსაც, ვერ ვძლებ,  
მწვერვალები სადედოფლოდ მრთავენ.

ვინ დამიშლის მაღალ ცასთან ქორწილს?  
თვალებიდან მომჩქეფს ვარსკვლავთ ღვარი,  
დედამინას აღტაცებით ვკოცნი,  
მთელი ქვეყნის სიყვარულით მთვრალი.

12



\*\*\*

მხრებზე აბრეშუმის თმები,  
გულმკერდზე სხივების დელგმა...  
მინდვრების სიმღერით ვდნები,  
დილას მე და... დილა მე მგავს.

კვირტების კისკისით ვთვრები,  
მთა-ბარს თაიგულად შევკრავ...  
მივრბივარ, მომდევენ წლებიც...  
რა უნდათ, რა უნდათ ჩემგან?

### ქრისტიანული ჰოეზიის VII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი უნდა გამოგზავნონ ამა წლის 20 აპრილის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე:

**festivali 2011@yahoo.com**  
**festivali2011@mail.ru**

ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

- მთავარი პრიზი — **წმინდა ნინოს ჯვარი,**
- პრიზი — **წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი,**
- პრიზი — **წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.**

**ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და გაიცემა საფესტივალო პრიზები.**

საფესტივალოდ გამოგზავნილი ლექსები დაიბეჭდება კრებულად.

ფესტივალი ჩატარდება 2017 წლის 1 ივნისს.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 46 44 29

**ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი**







ზიქრია ყუზიტაშვილი

ბობი მაკ ფერენი

„სოციოლოგიური კვლევის სტატისტიკით ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაში საგრძნობლად იმატა სუიციდის შემთხვევებმა...“

საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკის“ მასალებიდან



დღე უცნაური სატელეფონო ზარით დაიწყო... ზარი რა? — ბევრი არაფერი, ჩვეულებრივი ზარი იყო, როგორც ხდება ხოლმე, უბრალოდ ვილაცას ნომერი აერია და ჩემთან მოხვდა. ესაა და ეს... არა-და სწორედ იმ დღეს გადაწყვიტე თავის მოკვლა!... გადაწყვეტილება საბოლოო იყო და რევიზიას არ ექვემდებარებოდა! — ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა! ყველაფერი წინასწარ გავთვალე და მოვამზადე: წერილი — ჩემებს, ასე ვთქვათ მცირედი ახსნა-განმარტება და პატიების თხოვნა, პირადი ნივთები — ადრესატებს სახსოვრად, მაგარი თოკი და ჰო, მთავარი: დისკი მუსიკით, რაც უნდა დაეკრათ პანაშვიდებზე... არავითარი გლოვა, მხოლოდ საყვარელი სიმღერების მაჟორული აკორდები! — მაგალითად, ბობი მაკ ფერენის: „Don't worry, be happy!“... როგორია? მოთქმა — გოდების ნაცვლად მხიარული თემით სტვენა-სტვენით მიდიხარ უკანასკნელ გზაზე!... „ძან ჟესტოკია, ტო!“ — იტყოდა ამაზე ცაცია... მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ადამიანის ამქვეყნიდან წასვლა აქ დამრჩენებისთვის უფრო ტრაგიკულია, ვიდრე წამსვლელისთვის, თუმცა შერგილი ამბობს რომ მე ეგოისტი ვარ: წვრილმანი ავანტურისტი და დიდი ეგოისტი! „I'm sorry, ძმაო, შერგილ!“ როგორ თქვა დუმბაძემ? — ყველა ადამიანი „იტოგში“ თავად იკლავს თავს!

— ეგ დუმბაძემ კი არა, მურტალომ თქვა, მისმა პერსონაჟმა, თანაც უარყოფითმა პერსონაჟმა, — „Сынок, ты не путай!“ — შერგილი „მიმინოს“ ფრაზით მიბრუნებს ხურდას... და მაინც, ვერაფრით გაგახარებთ, ძმებო, წამსვლელი დროზე უნდა წავიდეს!

ყოველივე ამის გათვალისწინებით ტელეფონის ზარზე გაცილებით უცნაური და მოულოდნელი ჩემი რეაქცია აღმოჩნდა... რატომღაც უწვერული თინეიჯერივით ავგარდი და ყველაფერი ამით დაიწყო...

— უკაცრავად, ვის ვესაუბრები? — გოგონას ხმა იყო (იქნებ ქალის)... ტემბრი სასიამოვნო, მსუბუქი, ცოტა მუსიკალურიც, ერთი სიტყვით, მისი პატრონი ერთი მოსმენით სუფთა, მშვენიერი და ჰარმონიული ნატურის შთაბეჭდილებას ტოვებდა... ასეთი ხმა არადროს მომისმენია!... ამან დამაბა სწორედ!

— და თქვენ ვის გინდათ რომ ესაუბრებოდეთ? — ჩემი გადაწყვეტილების ფონზე არაადექვატური მაიმუნობის ხასიათზე დავდექი და წამიერად გა-

დავწყვიტე, ხელიდან არ გამეშვა ამ უცხო გოგონას (იქნებ ქალის) გაცნობის უკანასკნელი, ანუ სიკვდილისწინა შანსი... ამბობენ, სიკვდილის წინ სექსი ყველაზე მაგრად მიდის თურმე! სიჩუმე ჩვეულებრივზე მეტად გაიწელა... მივხვდი ჩემმა შემხვედრმა კითხვამ დააბნია და ახლა ფიქრობდა, როგორ ან რა ეპასუხა სანაცვლოდ...

პირველმა ისევ მე წამოვიწყე: — იცით რა, მე მქვია ჟან-პოლი, ცხოვრებულ დედაჩემს უყვარდა ბელმონდო და იმიტომ დამარქვა, ისე ჟაკოს მეძახიან, სანათესაოში — პოლიკოს, თუ გსურთ, შეგიძლიათ თქვენც ჟაკო ან პოლიკო დამიძახოთ. მამა არ მახსოვს, რადგან ტიპიური კლასიკური ნაბიჭვარი ვარ, არც დედა მახსოვს, საბრალო ქალი ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა, თქვენ გაინტერესებთ როგორღა დამარქვა სახელი, არა? — მშვენივრად მესმის თქვენი, მაგრამ იცით, საქმე იმაშია, მერსი რომ კვდებოდა, დედას კი მერსი ერქვა, „ანჟელიკას“ სიყვარულით თავად დაირქვა ეს სახელი, ანჟელიკა, გახსოვთ „ანგელოზების მარკიზა!“ — მიშელი... მერსიე, თორემ დაბადების მოწმობაში ჯანეტო ეწერა, მედდა ქეთუსიას გაანდო თავისი უკანასკნელი სურვილი სიკვდილის წინ, როგორც ანდერძი, მერე მორგში ბებია ანეტოს ქალიშვილის პირადი ნივთები რომ გადასცეს, შავ აბრეშუმის ზონარზე ასხმული ვერცხლის კულონი და ბზის ჯვარი იყო და ამ მედალიონში ბელმონდოს გამოსახულებიანი ფოტო „პროფესიონალიდან“.

მაიმუნობის ინტონაცია და თემები არ მანებებდა თავს: მუდამ ასე ვიცი, მტრისას, ერთი თუ ავტყდი! ბელმონდოს ამბავმა ისე აურია თავგზა ჩემს თანამოსაუბრეს, მთლად დამუნჯდა და ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ყურმილს ვერც კი მითიშავდა დაბნეულობისაგან...

— გინდათ გითხრათ, რას ფიქრობთ ეხლა? — ბატონო? — როგორც იქნა ამოთქვა... უფრო სწორედ, თავს ძალა დაატანა, ამოეთქვა... — დაგაბნიეთ არა? — დიახ, არა... მე მინდოდა... — მოდი შევხვდეთ!... რა? გიკვირთ? გიკვირთ!... დარატო გიკვირთ? განა თქვენ თავად არ დამირეკეთ? ვიყავი ჩემთვის სახლში, წამოკოტრიალებული დივანზე, ვუყურებდი საყვარელ სერიალს გემოზე, თან





გოგრის მოხალულ კურკებს ვაკნატუნებდი და ამ დროს... ო, რა მოულოდნელად გაისმა „ზარი ახლობელთან“?! — „პროფესიონალის“ მელოდია ნავუსტინე ჟან-პოლის მანერაში...

სიტყვა არ დამამთავრებინა, გულიანი სიცილი გაისმა...

— დამცინით? — განგებ შევიცხადე...

— მე დაგცინით? თუ თქვენ მალადავებთ?

— მე გალადავებთ? O, my God! — არავითარ შემთხვევაში! მე და ლადაობა? საიდან სადაო? უბრალოდ მე მომეჩვენა, რომ ჩვენ გვაქვს რაღაც დიდი საიდუმლო და თქვენ იმიტომ დამირეკეთ, რომ ეს საიდუმლო გეთქვათ...

— იცით რას გეტყვით...

— ვიცი, თქვენ მე გიყვარვართ, ჭკუას კარგავთ და საერთოდაც...

გამითიშა... შემომავალ ზარებში სულ ბოლოს შემოსული ნომერი სასწრაფოდ მოვძებნე და გადავურეკე, არ მეგონა მიპასუხებდა მაგრამ, ჩემდა გასაცრად მიპასუხა:

— გისმენთ!

— ძალიან კარგი, თუ მისმენთ, მე ვარ, ჟან-პოლ-ჟაკო-პოლიკო! ძალიან გთხოვთ, არ დაკიდოთ, ანუ არ დამიკიდოთ!... ამ ბოლო დროს იმდენმა დამიკიდა. მხოლოდ თოკზე დაკიდებულა დამრჩა ნუგეშად! მე გთხოვთ, ბოლომდე მომისმინოთ: მოდი შენობით ვილაპარაკოთ! — რას იტყვით ამაზე?

— რა უნდა ვთქვა?... მერე?

— მერე ის, რომ შენობით ფორმა უფრო შინაურულია, გულახდილი, ინტიმური...

თანამოსაუბრე დუმდა...

— რატომ დადუმდით? იცით, მე ამქვეყნიური არ ვარ... უფრო სწორედ მინდოდა მეთქვა, რომ თქვენი პლანეტიდან არ ვარ, უბრალოდ, ჩემს ხომალდს შასი გაუფუჭდა და დროებით ფარჩაკ დედამინელებს შორის მომინა ცხოვრება... მინდა გითხრა, აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია! საშინელება! ერთი სული მაქვს ჩემს პლანეტას დაუბრუნდე!

— გიჟი ხარ?

— დაახლოვებით... აბა გიჟის გარდა ვინ გაუმხელს საყვარელ ქალს, რომ თავის მოკვლას აპირებს, მაშინ როდესაც უცხოპლანეტელია და პენისის სიგრძე მთელი ცხრანახევარი სანტიმეტრის უპირატესობით სცდება დედამინელთა პენისის საშუალო სიგრძის სტანდარტებს...

ისევ გულიანი სიცილი გაისმა...

— აი ხომ ხედავთ, უხამსად კი ვიხუმრე, მაგრამ გაგაცინეთ, ესე იგი ჩვენი მეგობრობა შესაძლებელია, მე ვიხუმრებ, თქვენ გაიცინებთ, მერე მე ისევ ვიხუმრებ, თქვენ კვლავ გაგაცინებთ და...

— მე დღეს ძალიან მომიკვდა!... გერმანული ნაგაზი... ძალიან ჭკვიანი და თბილი ვინმე იყო, მე ძალიან ვუყვარდი, იქნებ ყველაზე მეტად!... ნაცნობმა ვეტერინარმა დასაძინებელი ნემსი გაუკეთა! ასე სჯობდა მისთვის! და ახლა საშინლად ვიტანჯები, რომ ვერ ვუშველე, ვერ გადავარჩინე, ხელი არ შევუშალე!

ნამით დავიბენი!...

— ვიზიარებ, მე ვიცი, რა არის საყვარელი არსების სიკვდილი!

— რა იცი? საერთოდ რამე თუ იცი?! დამდგარხარ ამხელა კაცი და შენს ჭკუაში ათასგვარი სისულელებით მბაზვ? და საერთოდაც ნაძირლები ხართ ყველანი! ნაძირლები და მეზიზღებით! ყველანი მეზიზღებით! შენც მეზიზღები, იმიტომ რომ შეგიძლია ასე შემთხვევით გაცნობილს საათობით

მელაპარაკო, მერე შემხვდე და ფინჯანი ყავითა და ტერამისუთი გამასპინძლების შემდეგ თუ ჩემი ნებით ლოგინში ჩაგიგორდი, სიამოვნებაც მიიღო, რვანახევართ მეტი სიგრძის პენისიანო!

ეს ყოველივე ისე სწრაფად და ერთი სულის ამოთქმაზე მითხრა, შემეშინდა არ გაიგუდოს-მეთქი...

— დაასრულე? ე, ტერამისუ ყავით! — მომინდომა ბელმონდო!

— რა ბელმონდო?

— გამოთქმა ასეთი! ისე, ცხრანახევარი უნდა გეთქვა! — მაგ საქმეში მილიმეტრიც რამეა! ისე კი, ვნუხვარ, ძაღლის და იმ შენი კაცის გამო!

— კაცი რა შუაშია?

— აბა ლესბო ხარ?

— დეგენერატი!

— თქვენ კვლავ სცდებით, მემ! — უცხოპლანეტელი დეგენერატი! გინდა პასპორტს გაჩვენებ? ოღონდ იმ პასპორტს ნუ მომთხოვ, ბავშვობაში რომ შემთვრალი მამები სტუმრებთან თავიანთ ღლაპებს დააყენებდნენ ხოლმე! სკაიპი გაქვს?

გაეცინა:

— ვაიმე, იდიოტი ხარ! იდიოტი და ნაგლი! მაქვს, მერე?

— მაშინ „ფეისიცი“ გექნება, ეხლა არ მითხრა „ოდნოებში“ ვარ დარეგისტრირებულიო, თორემ აქვე მოვიკლავ თავს... კარგი გოგო ხარ, რო გამახსენე, რომ დილიდან თავის მოკვლას ვაპირებდი!

ისევ გაეცინა:

— შეგიძლია იცოცხლო, „ფეისზე“ ვარ!

— გ-მადლობ-თ! მითხარი „ფაცეს“ ნიკი და დაგიმატებ...

— მე თვითონ გამოგიგზავნი!

— აბა როგორ გამომიგზავნი: შენ რა მართლა ბელმონდო ხო არ გგონივარ?! — შენ ვინ გგონივარ, უცხოპლანეტელიო?!

— აქეთ მანვები? სალოლო! მოდი ვიბაზროთ!

ფაიზალი პირველი შენ დაიწყე! ვ(უი)ყავი ჩემთ(ვუ)ის ტახტზე ნამოგორებული... ინგლისურ აქცენტს ვ(უ)ანვები ვ-ს გამოთქმისას და ვცდილობ, „ლასიცი“ რაც შეიძლება მაგრად წარმოვთქვა!..

— გოგრის კურკებზე უკვე ვიცი!

— მაშინ იმას გიამბობ, „იამ რა უთხრა ვარდს და ვარდმან რა უთხრა იასა“... გინდა მოგიყვე?!

— არა!

— აბა იუვენტუს-მანჩესტერის ანგარიში შენ არ დაგაინტერესებს და...

— რა იცი, იქნებ დამაინტერესოს...

— არა?!

— რატო? არ შეიძლება?

— შენნაირი ნაშები ფეხბურთს არ უყურებენ! შენნაირები ყავას სვამენ და ტერამისუს აყოლებენ! ისე, მაინც რომ ვიცოდე, „ლატე“ გნებავთ თუ „კაპუჩინო“?

— და რა იცი, რომ ნაშა ვარ? — ეს კომპლიმენტი თუ...

— თუ! გინდა გითხრა სიმართლე? — ამ დილით თავი უნდა მომეკლა და შენ მომაცდინე, დრო დამაკარგინე და საერთოდაც, საიდან გამეჩითე, ვინ მოგცა ჩემი ნომერი?

— იმან!

— ვინ იმან?... ოხ, შერგელ, შენი დიპლიპიტო ტანცი-ტუნცი, შინა ვორგილ ვორგილი-ვოსა, შენი!

ჩემი თანამოსაუბრე ისევ დადუმდა და უცებ კვლავ გავიგონე მისი ტემბრი სასიამოვნო, მსუბუქი,



ცოტა მუსიკალურიც:

- თავის მოკვლას ისევ ფიქრობ?
- რატო მეკითხები? ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?
- რომ გეკითხები, ესე იგი აქვს!
- მაშინ არ ვიცი!
- შენს პლანეტაზე დაბრუნებას რომ გადაწყვეტ, არ წამიყვან?
- არც ეგ ვიცი!
- მე ვიცი!
- რა?
- მთავარი საიდუმლო!
- და რა არის მთავარი საიდუმლო?
- ის, რომ შენ მე გჭირდები!... რატომ დადუმიდი?
- უბრალოდ, ვფიქრობ, რომ შესაძლოა პირიქითაც იყოს!
- მართლა? ჩემზე ფიქრობ?

- არა, სირია-პალესტინის კონფლიქტზე!
- სანიმუშო იდიოტი!
- აი ეგ ოქროს სიტყვებია! — ასეთი ჭკვიანური რამ ჯერ არ გითქვამს!
- იცი, ადამიანებს ყველაზე მეტად საკუთარი ბედნიერების წამსხვრევები ანადგურებს!
- ეგ შენით მოიფიქრე თუ ვინმემ გითხრა?!
- სადღაც ამოვიკითხე!
- მიყვარს გულწრფელი ხალხი!
- შევხვდეთ?
- ღირს კი?

...ამ დიალოგიდან ხუთი წელი გავიდა... შარშანწინ ანასტასია გრიგოლის ასული დაიბადა საკეისრო კვეთით, სამი კილო და რვაასი, წელს საბა უნდა მოევლინოს ქვეყნიერებას... შერგილი ნათლიობისთვის ემზადება!...

ჯიგარია ბობი მაკ ფერენი!

## პასტორალი

*ედვინება ლევან ბაზიერაშვილის ხსოვნას*

იმ წელიწადს დიდი სიცხეები დაიჭირა. გვალვამ სუერთიან გაახმო ნათესები და ხეხილი. დასიცხული და რეტდასხმული საქონელი ზოზინით ძლივსძლივობით აგნებდა საკუთარ კარ-მიდამოს. მდინარის პირას, ჭალაში, ცხენების მცირე რემა მდოვრედ ძოვდა გახმობას მეტ-ნაკლებად გადარჩენილ ბალახ-ბულახს. ორი ერთგული და მარჯვე ნაგაზი — კუდებ და ყურებდაჭრილი ბოცმანა და ბუთარა ერთგულად დარაჯობდნენ მალაღფეხება, ქედამაყა სამ ფაშატს, ამდენსავე ულაყსა და ორიოდ იაბოს, გახედნილებსა და გაუხედნავეებს, და კვიცებს, სუ კუდში რო დასდევდნენ საკუთარ დედებს. ცხენები კარგად იყვნენ მოვლილ-დაბანილ-დავარცხნილნი. ეტყობოდათ პატრონის მზრუნველი ხელი. ერთი წყვილი ნაბლა იყო, ტანად არცთუ ბრგე, მკვრივად აწყობილი, მეორე — ქურანა, მასიური, ჰარმონიულად ჩასხმულ-ჩახატული, მესამე — თაფლა, შუბლზე ქათქათა ნართით, ღონიერ ფეხებს მსუბუქად რო ადგამდა, დანარჩენი ორი ძვალმსხვილი, მალაღფეხება იაბო, გიშერა და თრთვილა განსაკუთრებულად შთამბეჭდავად იმზირებოდნენ, მზის სხივებზე სუ ცისარტყელას ფერებად უბზინავდათ გავა და ფაფარი, გრძელი, ლამაზი კუდეები რიტმულად ქანაობდნენ მარჯვნივ-მარცხნივ, მარჯვნივ-მარცხნივ, და ოსტატურად იგერიებდნენ აბეზარ ბუზებსა და კოლოებს, ქინქლებსა და სხვა ჭია-ჭყებს, რომელთა ურიცხვი ლაშქარი გამეტებით უტევედა ოთხფეხთ, განსაკუთრებით მშობლების ალიკვალ ორიოდ კვიცს, თაფლისფერებს, კობტებს, მკვირცხლებს, აი ლექსში რო თქმულა: „კვიცო, კვიცო, ვისი ხარო? გულში ხატად მიზინხარო!“ ჰოდა, ამ ლექსად თქმულ და გულში ხატად ჩაწერილ კვიცებსა და იმათ ირგვილივ მატრიალებელ ცხენებს მოსვენებას უკარგავდა მწერთა საავდრო ღრუბლისფერი ჯარი, დაუნდობელი, სასტიკი, სისხლისმსმელი...

ცხენის ბუზი ხო გინახავთ, რამხელა და რა ლამაზია — დახატული გეგონება კაცსა... მზეზე ისე ლაპლაპებს, ისე ბზინავს, ისეთ ფერებად აელვარდება, სვაროვსკის ქვები მიმიქარავს. ჰოდა, ამ ლაშქრის ორი მენინავე ჯეელი ბუზი — მეტსახელად ოდომა და ბზუკა — განსაკუთრებული სისწრაფითა და სნაიპრობით გამორჩეული, მალლიდანვე იღებ-

და გეზს და ზედ გავის ცენტრს ანუ კუდის ძირს უმიზნებდა. ამ ადგილას ვერ სწვდებოდა ცხენის თვით ყველაზე ლამაზი და გრძელი კუდი, ჰოდა, ნანადირევიც — სისხლი, მჩქეფარე, ცხელი და ახალთახალი, გარანტირებული იყო. სამიზნე კი მარჯვედ ჰქონდათ შერჩეული, ახლა რა სიუხვე არჩევანისა?! რა გინდა სულო და გულო — ნაბლა, თაფლა, გიშერა, ქურანა, თრთვილა, ასაკიანი, მონიფული და მთლად ნორჩი, უსაკო... სისხლი ისეთი ტკბილი იყო, ისეთი გემრიელი, გარისკვა ნაღდად ღირდა, მაგრამ მაინც: ერთი-ორჯერ გამწარებულმა თრთვილამ ისეთი ძალით მოიქნია ნაბან-დავარცხნილი კუდი, ეს გრძელი და მოქნილი აბრეშუმის მტკიცე და ფოლადივით ელვარე ღერები პრეზიდენტის ვერტმფრენის პროპელერივით მძლავრად გადაეველოთ ავანტიურის მაძებართ და კინალამ აქ დასრულდა ახალგაზრდა სიცოცხლე. რო იტყვიან, განგებამ გადაარჩინა, ვენაცვალე იმის მადლსა! («Безумству храбрых паём мы славу!» — იტყოდა მაქსიმე პეშკოვი, ზედმეტსახელად გორკი!)

მაგრამ ეს იღბალი ხო ლატარია! ეს დალოცვილი ბედი ყოველთვის ხო არ გაგიღიმებს, ჰოდა, სარისკო იყო ასეთ პირობებში ნადირობა. ეს ქეთიაც არსად ჩანდა! ქეთია ოდოშასა და ბზუკას ხსნა იყო ნადირობაში. და განა მარტო იმათი?! ქეთია ლევანას გოგოა, თითქმის გიგიას კბილა, ერთ სკოლაში დადიან, ვითომ ეხლა სოფლად სხვა სკოლაც იყოს!.. ძან ლამაზია ქეთია, თმაკუჭკუჭა, შავტუხა და ეშხიანი. სისხლივით წითელი ტუჩებითა და შავი ბრიალა თვალებით — რო გაიცინებს, თითქო განათდაო. კბილები აქვს — არც „ქოლგეთი“ უნდა, არც — „ორბიტი“ და არც — „დიროლი“. აელვარებს როგორც იანვრის ქათქათა თოვლს სუსხიანი ზამთრის მზიანი დილა. ქეთიას ნატა ძალოს თხოვნით სადილი დააქვს გიგიასა და ავთანდილასათვის. თან სადილი დააქვს, თან ცოტ-ცოტა გიგიასაც ეპრანჭება, მაგრამ ამ გიგიას ხო ვერას გაუგებ?! ხან ამჩნევს გოგონას, ხანაც ვერა... ვერა თუ არა?!

— „არა, მარა და დარდუბალააა!“ — იტყვის ნატა ძალო: — აჰა, შვილო, შენს გახარებას, ნაულე კაცებს სადილი, მაღლია, ცოდვები არიან, ლამის თავები ჩაიხოცონ იმ ცხენების გადამკიდე, ე ბიჭი





ხო სუ გალაცადა მზეზე ამდენ გდებთა, გაგონილაა, დღევანდელი ყმანვილი ცხენების დევნაში ათენ-აღამებდეს, იმის ტოლები გოგოებთან ერთობიან, ან კომპიუტერობენ, ის ბედშავი კიდე ცხენებს შეჰყურებს კუდშია!...

აი, ქეთიას საყვარელი გართობა კი მართლაც ცხენების კუდების დაწვანაა. მიადგება რიგრიგობით და სწნავს ნაწნავებად, თან მალულად გიგისაკენ აპარებს თვალსა, თან თვალს აპარებს, თან სწნავს, თან აპარებს, თან სწნავს. ისე კობტა და უცნაური ნახელავი გამოსდის, ცნობილი პარიკმახერების მსოფლიო კონკურსებს რო შეშურდება: ზოგი ქართულ დალალკავს მოგვაგონებს, ეეეე, სუხიშვილის მოცეკვავე გოგოები რას არ მისცემდნენ ასეთ ნაწნავებში, ზოგი შუა აზიურ ნაწნავთა კრებულს ჩამოჰგავს, მარტო ჭრელი პატარა ქუდი აკლია, აი, „ტიუბიტეიკას“ რო ეძახიან! ზოგი უკრაინულ მოდაზეა, იულია რო ატარებს, ტიმოშენკო, გვირგვინად, ზოგიც ევროპული ბუკეტია: ეგეთი გვირგვინ-წნულები ლანკასტერებსა და ტიუდორებსაც რო არ დასიზმრებიათ. ქეთიას პარიკმახერობა რო იტყვიან, სულზე მისწრებაა ბუზებისათვის — ქეთია რო ხელმარჯვობას მორჩება, მემრე შიში ნაკლებია, რადგან ცხენები მოლაპლაპე გავებზე ნამოკოსებული ვარცხნილობებით ისე მარჯვედ ველარ იგერიებენ აბეზარ მწერებს, ჰოდა, ისინიც კი მედღებოვით მარჯვედ უღებენ სისხლს დონორობისთვის განწირულ და თავგადადებულ რემას. ქეთია ოდოშასა და ბზუკას ჯილაა, ნამდვილი ზღაპრული დედოფალი, რომლის სიფრიფანა თითებს სასწაულის ძალა აქვს. ის კი არადა, ოდოშამ და ბზუკამ სახელიც მოუგონეს ქეთიას — „ჩვენი კუდრაჭა ქალბატონი!“ ერთხელ მოჰკრეს ყური, როგორ აძინებდა ბაზერაანთ ქალაქელი რძალი პატარას: დაიძინე დედას ანგელოზო, ტკბილი ძილი, ჩემო კუდრაჭაო, და გაიხარეს, მაგრამ რა გაიხარეს ოდოშამ და ბზუკამ?! მოენონათ ეს „კუდრაჭა“. ეტყობა, სიტყვაში კუდი რო ურევია იმისთვის, ჰოდა გამოჩნდება თუ არა ქეთია, „მოვიდა ჩვენი კუდრაჭა ქალბატონი!“ და გახარებული ბუზები ჰაერში კამარას შეკრავენ, ბზუილით ჩამოუქროლებენ არემარეს, მერე სადმე მოფარებულიში გაინაბებიან და მოთმინებით ელიან როდის დასრულდება ცხენთა სილამაზის სალონის საველე პირობების შოუ. თან ამ ქეთიასაც რო არ ბეზრდება კაცოოოო?! ლამაზი, ნიჭიერი, მარჯვე და ბეჯითი და ეგეთი?! მაგრამ ე კუდების წვნა ხო მარტო ფანტაზიის, სილამაზისა და სტილისტური ოსტატობის დემონსტრირება ხო არ არის, არა? — ეს ხო პაემანიცაა?! ცხენები რო არა, გიგია ჭალაში არ გაათენდააღამებს, ქეთიას სადილს არ გამოატანენ გიგისა და ავთანდილასათვის და ქალ-ვაჟიც სასკოლო არდადეგებზე ეგრე ყოველდღე ვერ შეხვდება ერთმანეთს, ქეთია კუდებს ვერ დასწნავს და გიგიას მალულად ვერ ადევნებს სიყვარულით თვალსა?

— დაილოცოს, ღმერთო სიყვარულის ძალი და მადლი! — ფიქრობს კმაყოფილებით ქეთიასა და გიგიას თვალის მადევნებელი, ცხენების კუდებით მორთულ-მოკაზმულ გავაზე მიმჯდარი ორი ჯეელი ბუზი და სისხლით გამაძლარნი თავდავინწყებით სვამენ უკვდავი სიყვარულის სადღეგრძელოს.

\*\*\*

...იმ ზაფხულს კი ამბავი დატრიალდა, შენს მტერსა და ავადმასხენებელს. ერთ მშვენიერ და მცხუნვარე დღეს ჭალაში უკრაინელ ტურისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი გამოჩნდა. მზით დაბრანული,

ნახევრად დაშიშვლებული უცხო ტომის სტუმრები, ფოტოაპარატებითა და ვიდეოკამერებით შეიარაღებულინი, მოხარულ სიმიანდასა და ცელოფნის პარკებში იქვე, მდინარეზე გარეცხილ ხილს ხარბად ნთქავდნენ, ჩენჩოებსა და კურკებს იქვე, წყალში ისროდნენ და ნაირ-ნაირ ფოტოებს უღებდნენ სამახსოვროდ მასპინძლებსა და ერთმანეთს. ერთ კადრში ლიპკად-მოგდებული ჭალარა პროფესორი ივან ფიოდოროვიჩი და იმისი შორტებიანი მეუღლე ბოცმანასა და ბუთარას გადახვეულნი, თვალს უჭყუტავენ ივლისის მცხუნვარე მზეს. ივან ფიოდოროვიჩი ნაყლაპშია და ღვინით შეთამამებული ხელს უწვდის ბოცმანას:

— «Дай, Джим на счастье лапу мне!»

— ... Джим!... Дай лапу!

ბოცმანა და ბუთარა გაოცებულნი შეჰყურებენ ხან უცხო თამამ სტუმარს, ხან ავთანდილას და სადღაც გულში ძაღლურად ელიმებათ ივან ფიოდოროვიჩის ვითომ სიმამაცებზე.

...მეორე კადრში ტოლიკა და იანა, თაფლისფერ ულაცზე შემომჯდარი, მხიარულად გვიქნევენ ხელს, ტოლიკას გაზეთისაგან სახელდახლოდ გაკეთებული ქუდი ხურავს, იანას — მინდვრის ყვავილების გვირგვინი, ორივეს საოცრად ბედნიერი და სულელური ღიმილი დასთამაშებს, როგორც ცირკის მოჯირითე აკრობატებს „ბისზე“ შესასრულებელი საცხენოსნო ტრიუკის წინ. მესამე კადრში ყველას ერთად მოუყრია თავი, ზოგი იქვე, მდინარის პირას ჩაცუცქული, მხიარულად იკრიჭება და ძლივს იკავებს თავს, რო არ ჩაეძნეყვოს ქვებს შუა, ზოგიც ენას უყოფს ფოტობიექტივს და უხერხულ პოზას იღებს, მეოთხე კადრში ორი ახალგაზრდა მაგისტრანტი — სერიოჟა ხიტრუკი და სტასიკ კორზუნი საზამთროს ნაჭერს ეცილებიან ერთმანეთს, საზამთროს ნაჭერი მოზრდილია, ესე ოცკილოიანი საზამთროსი მაინც იქნება, ორივე ფალავანს კბილებდაკრეჭილს, მარჯვედ ჩაუვლია პირი საერთო ლუკმისათვის და წითლად მოზუნზულნი ნამდვილ ჯამბაზებივით გამოიყურებიან. ყველაზე მაგარი მაინც მეხუთე კადრია: ახალგაზრდა, ყველაზე ლამაზ თაფლისფერ ცხენზე ტურისტული ჯგუფის ყველაზე ლამაზი წევრი, მშვენიერი ქალიშვილი ანასტასია შემომჯდარა და გრძელი მკლავი მოფერების ნიშნად მოუხვევია თავისი ოთხფეხი მეგობრისათვის. გოგონას ქერა თაფლისფერი თმა მჭიდროდ გადაუტკეცავს და მოდაზე კუდად შეუკრავს. ერთია მხოლოდ, თმა მოკლეა და მთლად ვერ ემსგავსება მოდური ჟურნალების ცნობილი მანეკენებისა თუ მოდელების ავანგარდულ ვარცხნილობებს. გოგონა შურით დასცქერის ცხენის გრძელ, აბრეშუმისით ნაზსა და მოლივლივე კუდს, მზით გახუნებული ქერა სხივები მელირებასავით რომ გასდევს მთელს სიგრძეზე, და გულში ოცნებობს, რომ მისი თმის კუდიც ასეთივე გრძელი და ლამაზი იყოს. მაგრამ თმა ნელა ეზრდება. მართალია, ყოველ მეორე დღეს კვერცხისა და ჭინჭრის შამპუნით იბანს და ერთ ქილა მაიონეზსაც შეიხელს, როგორც ასწავლა დეიდა ვერამ, მაგრამ თმა მაინც ძალიან, ძალიან ნელა ეზრდება. ეჰ, როცა თმა იმ სიგრძისა გაუხდება, როგორზეც ოცნებობს, ამასობაში გრძელი თმის მოდაც გადავა და როგორც ბიძია ანტონი ამბობს: «Ищи ветра в поле!» ანუ ჩვენებურად: „უყარე მემრე კაკალი!“. გიგიას ძალიან მოსწონს ეს უცნაური და უცხო ტომის სტუმარი, რაღაცით ერთ ნახატს რო მოაგონებს. ეს ნახატი, ნოდარა ძიას სათამაშო კომპიუტერების პატარა ოთახში, კედლის კალენდრის ფურცელზეა დახატული და გიგიას ძალიან მოსწონს. გიგია ათასში



ერთხელ თუ შეივლის სათამაშოდ, სადა სცალია კომპიუტერობისათვის, მაგრამ იმ იშვიათობაშიც კომპიუტერის სეანსი ისე არ ჩაივლის, ნოდარა ძიას მომცრო მაგიდასთან არ შეჩერდეს და თვალი არ შეავლოს კალენდრის გაცრეცილ ფურცელს, რომელსაც დიდრონი ასოებით აწერია: *Пабло Пикассо „Девушка на шаре“*. ჰოდა, ეს გოგო ახლა ამ „დევეუშკა ნა შარეს“ აგონებს. მართალია, გოგო უფრო ქერაა და უფრო დაქალბებული ფორმებისა, არც შარის ბურთია ახლოში და არც სხვა გარემოება, მაგრამ გიგიას მაინც სადღაც, რაღაცით ძალიან ახსენებს იმ ნახატს და რა ქნას?! მაგრამ ქეთია?! ქეთია რა? დედამისმა ერთი კვირაა ქედებში გაგზავნა ბიძამისთან, ის კაია, მთელი კვირა თავი რო ანება გიგიასა და ავთანდილას, არც იკითხა უიმისოდ რასა სჭამენ და რასა სვამენ კაცები?! რა არააა, რო?! არა, მარა და დარდუბლააააა! ჰოდა, თავის თავს დააბრალოოს!

— ნრავიტსია და? — ეკითხება ყურებამდე განითლებული ჩრდილოელ სტუმარს გიგია და ფეხსაცმლის წვერით აწვალებს ხავსმოკიდებულ ლოდის კიდეს.

— Ой, очень! Красота, как в сказке! Мне бы тако-го парика! У нас в Одессе сто долларов стоят. Вот бы пятьдесят стоили, я бы обязательно купила! — ან-ასტასია, ესე იგი ჩვენებურად ტასო, ტასიკო, ტასია ხელს სათუთად უსვამს ცხენის აბრეშუმით კუდს.

— „ხოჩემ, პადარიუ?“ — ეკითხება გიგია და კიდევ უფრო უწითლდება ლოკატორებივით გაშლილი ყურები, მზის სხივზე ლანდი რო გასდის საშრობი ქალაღვივით.

— Ой, да ты что, и в правду подаришь?

— „და, ტოლკო შას ნე მოგუ, ატეც სმოტრიტ!“ — გიგია მამისკენ აპარებს მზერას. ავთანდილს შარვლის ტოტები დაუკაპინებია და მხრებზე შესმული ზონზროხა მეცნიერმუშაკი ლიუდმილა მაქსიმოვნა წყლიდან დინჯად გამოჰყავს. ლიუდმილა მაქსიმოვნა დაძაბულა, ჩალის შლაპა გვერდზე მოქცევია, ცალი ხელით აპრეხილ ცხვირზე წამოსკუპებულ ცილინ-დრულ ლინზებიან სათვალეს იმაგრებს და მეორე ხელით ისე უჭერს ყანყრატოში ავთანდილას, ლამის დაახრჩოს კაცი.

— Ой, Автандил, а правда у вас имя героя «Витязя в тигровой шкуре» Шата Руставели? — კისკისებს ლიუდმილა მაქსიმოვნა და ამ კისკისით ცდილობს დაფაროს შექმნილი გარემოების პიკანტურობა და უხერხულობა.

— და! — ხროტინებს ავთანდილა და ამ წუთებში სრულებით არ ჰგავს რუსთველისეული პოემის სეხ-ნიას: ძალად მომღიმარი თვალებს უბრიალებს შვილს, თითქო გიგია იყოს დამნაშავე მშვენიერი სქესის წარ-მომადგენელი მხედრის ჭარბ წონაში: — ტოლკო, ნე შატა, ა შოტა, შოთა რა!

— А вы знаете, у нас в Одессе балет ставили по по-эме Шата Руставели, просто класс! — არ ცხრება ლი-უდმილა მაქსიმოვნა, ვითომდა ვერც გაეგოს ავთან-დილას შენიშვნა.

— და? — ავთანდილა შელონებულია, არც ბალე-ტის გაეგება რამე, მაგრამ არას იმჩნევს და მწვადის

შესანვავად თხილისაგან სახელდახლოდ გამოთ-ლილ შამფურებს იმარჯვებს.

— „ზავტრა პრიდიომ?“ — გიგია სარგებლობს რომ მამამისს დროებით არა სცალია ბიჭისათვის.

— Ой, а мы вечером уезжаем, но ещё три дня в Тбилиси будем... — ანასტასია გულდანყვეტილია, დიდრონ ჭროლა თვალებს შუქნიშანივით შეანათებს გიგიას და მისი მოციმციმე სხივები სამუდამოდ აღი-ბეჭდება ბიჭის გულში.

— „ტაგდა ნომერ ტელეფონა ასტავ ი ჩტო ნიბუდ პრიდუმაიუ...“

— ბიჯო, მაიტა ბუზებ დაუნიავე, თორე ნაბილ-ნეს მწვადი ამ შობელძალეებმა! — ისმის ავთანდი-ლას ბურტყუნი. თხუთმეტიოდე წუთი და მწვადის შიშხინ-ბურუსში იძირება სტუმარ-მასპინძელი და შეზარხოშებული სტუმრების აღტკინებული «Ты ж мене пидманула» ძილს უფრთხობს მთმვლემარე ბოცმანასა და ბუთარას.

მზე გორებს ეფარება, ტურისტების ავტობუსი ოღროჩოღრო გზაზე მტვრის გვარიან კორიანტელს აყენებს. მდინარის პირას რჩება დაბნეული ცხენების რემა, ცელოფნის პარკის ნარჩენები, სიმინდის ჩენ-ჩოები, საზამთროს ქერქები, ჩანავლული ნაკვერ-ჩხალი, თხილის ათიოდე წვერებშეტუსული შამფური და ნათელი, ლბილი სევდისმაგვარი განცდა მამა-შვილის გულში.

\*\*\*

დილით მზე რო ამოინვერება, ბუზებისა და ჭია-ჭუების ლაშქარი ორი ჯეელი ბუზის ოდომსა და ბზუკას მენინავეობით კვლავ მწყობრად დაიძვრება მდინარისაკენ, სადაც ტრადიციული სანახაობის ნაცვლად უცნაური სურათი გადაიშლება: აღარც ერთ ცხენს: არც იაბოსა და ულაყს, არც ფაშატსა და კვიცს, ნაბლას, თაფლას, გიშერას, ქურანასა თუ თრთვილას, კუდი აღარა აქვს — ვიღაცის მონდომე-ბულ ხელს სუ ძირში დაუჭრია აბრეშუმით ნაზი და ლივლივა კუდეში. გამწარებული ავთანდილა მკედარ-სა და ცოცხალს აგინებს მქმნელსა და გამკეთებელს, გიგია არსად ჩანს, დარცხვენილი ბოცმანა და ბუ-თარა დამნაშავეებით შეკუნტულან ლოდებს მიღ-მა, ემანდ გაცეცხლებული პატრონის შოლტმა ჩვენს ზურგებს არ უწიოსო. ქედებიდან მობრუნებული ქეთია ხავსიან ლოდზე ჩამომჯდარა და თვალცრემ-ლიანი გამეტებით იკვნეტს ფრჩხილებს. ავთანდილას მამა-პაპური, მარილიანი ლანძღვა-გინება ზეცას სწვდება, ღრუბლებს ხვრეტს და ლამის მზის დისკოს ლაფად აჩნდება.

მტვრიან გზაზე კი სწრაფად მიჰქრის სამარშრუ-ტო ტაქსი, რომელსაც თოთხმეტ დასიცხულ მგზავრ-თან ერთად დედაქალაქს ძვირადღირებული საჩუქა-რი — ლამაზ ცელოფნის პარკში კოხტად შეკრულ-დახარისხებული ცხენის კუდეები მიაქვს...

— დაილოცოს, ღმერთო სიყვარულის ძალი და მაღლი! — ფიქრობენ კმაყოფილებით ცხენების უკუ-დო გავაზე მიმჯდარი ორი ჯეელი ბუზი ოდოშა და ბზუკა და სისხლით გამაძღარნი უკვე მერამდენედ სვამენ უკვდავი სიყვარულის სადღეგრძელოს.





ცისფერი კობალტი ანუ „პარსკვლავური ღამე რონის თავზე“  
და ვოლფგანგ ამადეუსის საფორტიპიანო კონცერტი №21 (ანდანტი)

ვუძღვნი ჩემს ბავშვობის მეგობრებს

„მოთხრობას კითხვისას ფონად უნდა გასდევდეს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის საფორტიპიანო კონცერტი #21 (ანდანტი)...“

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის  
ჯიმშერ შარანგიას დღიურებიდან



„...როცა ერთმანეთს ვხვდებით, ორივე რატომ-  
ღაც ვიბნევით... დასაბნევი არც არაფერია, მაგრამ  
მაინც... ის მთელი თავით მალაღია ჩემზე და სულ  
რადაც ცალ ხელზე დასათვლელი წლებით უფროსი...  
წელთა ეს სხვაობა თავიდანაა ბევრი, თორემ მერე,  
როცა ორივეს ჭაღარა შეგვეპარება საფეთქლებთან,  
ერთ თაობად მოგვიხსენიებს მადლიერი (ანუ მადური),  
შთამომავლობა!... მაშინ მე თმის ლებვა უთუოდ კარ-  
გა ხნის დაწყებული მექნება, მას, — ბუნებრივია, არა:  
საქართველოში მამაკაცები თმებს თითქმის არ იღე-  
ბავენ და ხელ-ფეხის სალონური მოვლაც რატომღაც  
ცუდ ტონად ითვლება... არადა, რა სჯობს კარგად  
მოვლილ მამაკაცს? — კითხულობს ექსტრავაგან-  
ტურად ჩაცმული ტელენამყვანი ცისფერი ყუთის  
ფართოდ გაშლილი მოციმციმე ეკრანიდან, თითქოს,  
ამ წუთებში, ჩემს ფიქრებს კითხულობდეს... ის სა-  
კუთარ თავს დამოუკიდებლად უვლის, ეს მის არა-  
თანაბრად მოჭრილ ფრჩხილსა და ნებაზე მიშვებულ  
წუნებს ეტყობა და მაინც, ერთი თვალის შევლებით,  
მუდამ კარგად მოვლილის შთაბეჭდილებას ტოვებს...  
მე ეს მახნევს და როცა თავს მოუვლელად ვგრძნობ,  
საშინლად მრცხვენია მისი და საკუთარი თავის: რა  
საშინელებაა ერთმანეთის გვერდიგვერდ მოუვ-  
ლელი ქალი და მოვლილი მამაკაცი, და პირიქით!...  
ვცდილობ, მუდამ ვგავდე „რაღაცას“ (როგორც იტყ-  
ოდა ცაცო დეიდა) — არ აქვს მნიშვნელობა ამინდსა  
და წელიწადის დროს: ჩემი ცეცხლისფერი ლომის  
ფაფარი მზის სხივებზე ცისარტყელას სპექტრად  
იშლება და ნიავის დაბერვაზე სიმსუბუქით თრთის...  
ეს ჩემი „კანიოკია!“

— „ვაუ, რა მაგარია, სუ ფორმაში რომ ხარ?!... და  
როდის ახერხებ სალონში სიარულს?“ — გაოცებული  
ლონდა ხელს ავლებს ჩემს სწორ და მძიმე თმას, თან  
ოდნავ შეუმჩნევლად ქაჩავს კიდეც, მაგრამ მე რამეს  
გამომავარებს? — უკვე მერამდენედ!... ვერაფრით  
იჯერებს, რომ ნატურალურია და არა ხელოვნური!  
მე ეს მართობს და სიამოვნებით ვუშვერ თავს: დაე,  
დარწმუნდეს მის ბუნებრიობაში, ჩემი რა მიდის?! მე  
კი ვიცი, როცა დაქალები თავს იყრიან და საუბარი  
თმის მოვლას ეხება, უმალ მიხსენებენ და ნიძლავს  
ჩამოდიან, ნამდვილია თუ არა ეს მენამული ფაფარი,  
რომლის პატრონს სულაც ცალ ფეხზე ჰკიდია მისი  
ქალური სამშვენიისით სიმშვიდედაკარგული „ტიპ-  
შების“ „ჰარემი“... საუბრის თემას გადავუხვიე და  
ისა, რას ვამბობდი?... ჰო, ორივე რო ვიბნევით, არა-  
და რაღა დროს ჩვენი დაბნევაა? სასაცილოცაა ორი,  
ცხოვრების გამოცდიდან სამემოდგომო გამოყოლი-  
ლი არსება, რომელმაც სრულიად მოულოდნელად  
ერთმანეთი იპოვა (თუ აღმოაჩინა!) ამ უსაზღვრებო  
და უპირობო სამყაროში (რომელიც მეორეს მხრივ  
ისეთი პატარაა, საშუალო ზომის ხელისგულზე ეტე-  
ვა!) და ახლა წარსულში მიღებული მთელი ცოდნის  
მარაგითა და ნანვნივი გამოცდილებით ცდილობს  
იმის დადგენას, რა ჰქვია განცდას, მუდმივ დაბნეუ-  
ლობას რომ იწვევს შეხვედრისას?!  
„ — სკლეროზისა არაფერი უნდა გჭირდეთ და,

ზოგადად, თუ სწორად მახსოვს, სიყვარულია ეგა!“  
— ეცინება ქეთის და მოლბერტზე ჩამოდებულ ხის  
ჩარჩოზე საგულდაგულოდ გადაჭიმულ დაგრუნტულ  
ტილოს „ცისფერი კობალტის“ წყვილ გემრიელ „მა-  
ზოკს“ ადებს...

— სიყვარული არა იხვი... ჩვენს ასაკში?! —  
მეცინება მე და ვხვდები როგორ ყოვლად უსინდისოდ  
და უცერემონიოდ ვცრუობ...

— იცი რა, საყვარელო, ვერავინ და ვერარა  
დამარწმუნებს, რომ ეს მხოლოდ ასაკობრივი კრიზის-  
ის ბრალია ან სხვა ფსიქო-ფილოსოფიური სისულ-  
ელეებისა... — ზაკო მილიმის ისე, როგორც უღიმიან  
ბავშვს, რომელსაც აკრძალულ საქციელზე წაასწრეს  
და იცის, რომ დაისჯება... თუმცა ეს ხომ მერე უნდა  
მოხდეს, ლამის 30 წლის მერე, მაგრამ ახლა, როცა  
სამედიცინოს პირველი კორპუსის ეზოში ვდგავარ  
და ნეიკოს ველოდები, მთელი სულითა და გულით  
მსურს, დაავიანოს... ნეიკო, იგივე ნელიკო, სამედი-  
ცინოს მესამე კურსის სტუდენტია, თბილისში კარგად  
ცნობილი ექიმების დინასტიის საოჯახო ტრადიციის  
გამგრძელებელი და პერსპექტიული სარძლო, მე-  
დიცინა სძულს, მაგრამ თავისები უყვარს მაგრად და  
ხათრს ვერ უტეხავს, ერთი სული აქვს, გათხოვდეს  
და სახლში ჩაჯდეს: „გავთხოვდები და ეგრევე გავა-  
ჩენ ჯერ ბუთხუზა ბიჭს, მერე — ტარაკუჭა გოგოს,  
მერე — ისევე ბიჭს, ან სულაც ლიპუცა ტყუპს!... წნე-  
ვის გაზომვა, პულსის დათვლა, მასაჟი და ნემსის გა-  
კეთება ხო ვიცი, არა?!...“ მაგრამ სისხლის დანახვაზე  
გული მისდის და მოკალი!... მუდმივად თავისმართ-  
ლება უწევს თავისი არაპუნქტუალური და დაბნეუ-  
ლი ბუნების გამო, რაც წონასწორობას, ანუ, მისივე  
ფორმულირებით, „საქციელს მაკარგვინებს“, მაგრამ  
ახლა პირველად ჩემს სიცოცხლეში, ვგრძნობ, რო-  
გორ მიწადა, უსასრულოდ გაგრძელდეს და გაიჭიმოს  
დრო...

— „ვამე, ძალიან გალოდინე, ხო?!“ — ნეიკო  
უხერხულად იმშუშნება და ჩემი მზერის დაჭერას  
ცდილობს, რათა ასე მაინც ამოიკითხოს, რამდენად  
ვბრაზობ მაშინ, როცა უაზრო ღიმილის ათინათი არ  
მმორდება ბაგეებიდან... — „გოგო, ბებიაჩემი გარეთ  
არ მიშვებდა მინი-იუბკის გამო და მთელი ჩალიჩი  
დამჭირდა რა!“ ნეიკო შემოხვეულ ველვეტის გრძელ  
იუბკას ღილებს უხსნის და მალაყელიანი ლაკის  
ჩექმიდან აშოლტილ ფეხებს აჩენს, ჟაკეტის ქვეშიდან  
კრემისფერ „მაკარონზე“ მოკლე ზამშეს მდოგვის-  
ფერი „ნელსონკა“ აცვია და სიციფემდე უხდება...

— „Это не юбка, а павязка Нельсона!“ — ისე,  
სადღაც მართალია ბებიაჩემის, საკმარისია, ოდნავ  
გადაიხაროს და იმ დღეს ძილი და მოსვენება აქვს  
დაკარგული ფაკულტეტის ბიჭების მინიმუმ ნახე-  
ვარს!...

— არაა, ეხლა მოვედი! — ვცრუობ უტიფრად  
და „მისკენ“ ვიხედები, ვგრძნობ, ნეიკოს ამის და-  
ჯერება ძალიან უჭირს, თვალს აყოლებს ჩემს მზ-  
ერას და „მის“ კიბოსავით წამონითლებულ კეფაზე  
უშტერდება... ჰაუზა დიდხანს იწელება: 30 წამი,



იქნებ მეტიც... „ის“ ვილაც ლამაზ აშხვართულ ქალიშვილს ესაუბრება და სინთლისაგან თანამოსაუბრის ალისფერ კაბაზე მეტად ღუის, ან იქნებ საკუთარი მზეშეპარული თეთრი პირისახით ქალიშვილის კაბის ცეცხლოვანებას ირეკლავს და ამიტომ გადასდის ალმური... მე ვხედავ მშვილდით დაჭიმულ სხეულს და ანთლებულ კეფას და ყველაფერი უსიტყვოდ ცეცხლდება... და მაინც, საინტერესოა, რაზე საუბრობენ?! თუმცა რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარი ხომ ის არ არის, რაზე საუბრობ, მთავარი ისაა, ვისთან საუბრობ და რას ფიქრობ მაშინ, როცა მასთან ამ ყველაფერზე გინევს აზრების მიკიბვ-მოკიბვა... ვთქვათ, რალაც პროფესიულ-სასესიოზე: მაგალითად, „გენიტალური ენდომეტრიოზით გამონვეულ უშვილობაზე და მის პრევენციულ ღონისძიებებზე“... და ამ დროს, სინამდვილეში, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ მიახვედრო, რომ ის შენთვის, მინიმუმ, „სულერთი“ არ არის!... აი, ნამდვილი სამუცნობიანი ამოცანა!... ამას მე გვიან მივხვდი, უკვე კარგად ასაკს მონეული და იმასაც მივხვდი, რომ ცუდია ეს „გვიან“, მაგრამ ასე მოხდა, არადა, სწორედ ეს მიხვედრილობაა, რომ მახვევს და არ ვიცი, სად წავილო ხელ-ფეხი, რომელიც სიტყვებს ხელს უშლის როგორც არასდროს...

— „ეგ ბიჭი მეხუთეზეა, გინეკოლოგებთან“... ნეიკო თავის ჭკუაში მეჩურჩულება, არადა მისი ნემსივით ნიკინა ხმა მთელს ეზოში ექოსავით ვრცელდება და ყველა დანარჩენთან ერთად „ისიც“ თავს ატრიალებს... ორი ცასავით ლაჟვარდისფერი თვალი არაფრისმთქმელი კითხვისნიშნით მოგვჩერებია და ელის ჩემსა და ნეიკოს საუბრის გაგრძელებას... მე კიდევ უფრო მეტად ვიბნევი და მთელს სხეულზე როკვას ინყებს ჭიანჭველების რაზმი, რომელიც „ხორუმის“ რიტმული სვლით თმის ძირებიდან ინყებს მოძრაობას და სადღაც კუდუსუნის ძვალთან უჩინარდება, რათა ოფლის რამდენიმე წვეთს ფონს გასასვლელი მისცეს... „დებილი, სუფთა დეგენერატი!“ — გულში ვამკობ ჯერ საკუთარ თავს, მერე ნეიკოს, მაგრამ უაზრო ღიმილს არ ვიცილებ და ვხვდები, რომ ამით კიდევ უფრო სასაცილო ვარ. ვცდილობ, სახეზე მომსკდარი სისხლისა და ქარისაგან აშლილი თმის ტალღის მოგერიებას... კიდევ კარგი, ეს თმა მაინც მიფარავს ანთლებულ ლოყისთავებს, ჯიუტად რომ ეჯიბრებიან „მის“ სუფთად აპარსულ და დაფოთლილ კისერს ალმოდებაში... რა ჩემდა ჭირად მივაკითხე ინსტიტუტში ნეიკოს, რა მინდოდა?! „მისი“ მზერა დიდხანს მომშტერებია, თუ დრო გაჩერდა?! ეზო სავსეა ფუტკრის სკასავით მოზუზუნე წყვილებითა და მხიარულად მოლაყბე და ახალგაზრდული ენერგეტიკით დამუხტული გუნდებით, მაგრამ მე მხოლოდ ორ ლაჟვარდისფერ ლაქას ვხედავ და მეტს ვერაფერს და ჩემი აღქმის რდისფერში გამომკრთალი რენუარის საერთო პანორამის გაცრეცილ სიტყვებზე მისი თვალები ზუსტად ისე აჯდება, როგორც ქეთის „ცისფერი კობალტის“ „მაზოკი“ დაგრუნტულ ტილოს... ხშირად მიფიქრია, რა მოხდებოდა, მაშინ მეტად რომ გაგრძელებულიყო დრო... ან გამომლაპარაკებოდა... ან... ან... ან...

\*\*\*

— „ან“ — არ არსებობს! — არსებობს მხოლოდ მისი უდიდებულესობა ბედი-მდევარი!

— ეგ შემთხვევით კოელიომ ხომ არ თქვა? — ქეთი გველობის ხასიათზეა...

— კოელიომ არა ჯავაპარლალ ნერუმ!... — ზაკო თვალს უჭუტავს სიგარეტის მახრჩობელა კვამლს და თითით ატლიკავს ყავის ფინჯანის ფსკერს შემოტმასნილ ნალექს: — „მხატვარი შენ კი არა, მე ვარ,

შე ჩემა, ნახე რა გრაფიკა?!“ — ჩასახედად მიუმარჯვებს ფინჯანის ფსკერს...

ქეთის ეცინება და მოთხუზული ჭრელი ნაკუნით ცდილობს საღებავით დასვრილი თითების განმენდას...

— „აჰა, კოკა-კოლა გაგაცლის!“ — ზაკო მინის მაღალი ჭიქის ძირში ჩარჩინილ კოკა-კოლას უწვდის და სავსე გავას საპირფარეშოსკენ მიიქნევს... რაც თავი მახსოვს, დიეტაზეა, მაგრამ რად გინდა?

— ჩემი ორკარიანი გარდერობი! — კოცნის ქეთი: — გინდა ჩაგიხედო?

— კაცი მე აღარ მყავს და გათხოვებას ანი აღარ ვაპირებ და მევალებები ლაივიშიც მეყოფა! — ისმის საპირფარეშოდან ერთდროულად ზაკოს და უნიტაზის ჩარეცხვის ხმები... — „კეტავს ჯაფარიძე!“ — ქეთი მხიარული და კმაყოფილია, რომ ვან გოგის „ვარსკვლავური ღამე რონის თავზე“-ს ასლი დაასრულა და ხვალეიდან შეუძლია ქარივით თავისუფალმა იქრიალოს მომავალ შეკვეთამდე...

— ძაან დაამხეცე, ხო იცი ეს „კოპი ფეისტი“?!

— „ჯაფარიძე, აზრები ეკონომიურად, როცა არ გეკითხებიან!“ ეს ჩვენი სტუდენტობისდროინდელი სალექტორო ფოლკლორიდანაა და ყველას გვეცინება...

— აუუუ, ქალებო, რა მაზალო იყო ჯიმშერა?!

— ზაკო პლედში ეხვევა და სავარძელში ფეხაკეცილი ახალ სიგარეტს უკიდებს: შენა, ის როგორ იცოდა? — თავისთვის რო კაიფობდა: „სუსურუკუ!“... და ფიხტე?

— Борьба упущенного момента! აუუუ, ძაან ჯიგარი იყო! ბიჭო, გამოცდა რო ჩავაბარე ხო იცი, რა დამარიგა: ერთობ პრაგმატული ხართ და პატარა ბლოკნოტი აწარმოვეთ, სადაც წიგნებიდან ამოკითხულ რომანტიკულ აზრებს ჩაინიშნავთ... აზრზე ხარ?.. ვითომ ყანა უძახე და სადღაა ეგეთი „ნაროდი“?!

\*\*\*

არ მახსოვს, როდის მივხვდი პირველად, რომ ფიქრში ამედეგნა და თავის დანებება გამიჭირდა: სხვანაირად რომ ვთქვა, „საკუთარი პერსონის ფსიქოტროპულ ნამალზე შემსვა!...“ მაშინ, როცა საკონტაქტო ინფო გავცვალეთ და პირველი შეტყობინება გადავავაზვანე, არც მიფიქრია, რომ ამ წუთიდან დაიწყო ჩემი რეინკარნაცია!

— ოდესღაც (თუ დამცალდა, რასაკვირველია), მე უეჭველი დავწერ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ადამიანი თავიდან დაიბადოს, ანუ როგორ შეიძლება, იქცეს სამყაროს უდიდესი ექსპერიმენტის ცდის პირად, სადაც გამოსავალი მხოლოდ გარდაცვალებასა და ხელახლა დაბადებაშია!

— ნე სტრაკუი ნა რადოსნ! — ზაკოს არ სჯერა სულთა გადასახლების და ზოგადად, პრაგმატული ტიპია! — მე ჩემი „ატნაშენიები“ მაქვს ღმერთთან და შემეშვით! — იმეორებს ხშირად და ამას ისეთი თავდაჯერებული და მრავალაზროვანი იუმორშეპარული ინტონაციით წარმოსთქვამს, ჩვენს შორის ყველაზე ღრმადმორწმუნე ლულუსაც განაიარალებს. ლულუ მიმტვევბლური ღიმილით ისმენს მის ქოთქოთს, მიდის ბუხართან და ანთებს ათ თეთრიან სანთელს, რომელიც გამოუღველად მოეპოვება ქეთის სახელოსნოში და კითხულობს ლოცვას, რომელს? — არაინ იცის, რადგან ლულუ ამას იმგვარად ანუ უკიდურესად უჩუმრად, თითქმის ბუტბუტით აკეთებს ისე, რომ თავადაც არ ესმის საკუთარი შინაგანი ხმა და მე სწორედ ამ თვისების გამო მიყვარს ლულუ!... სახელოსნოს სურნელოვანი ინდური საკმევლის კვამლი ავსებს და ცნობიერება ის-ისაა ასტრალში უნდა გაძვრეს...



— რას მიხრჩობ, შე ჩემა, მაჩვი ვარ?! — ბობოქრობს ზაკო და მის ფრაზაზე სამივეს გვეცინება...

\*\*\*

მე დავინახე ცისფერი კობალტის წყვილი „მაზოკი“, რომლებიც დაჟინებით ცდილობდნენ ჩემი თითოეული მოძრაობის დახსომებას, ან ფიქრის წაკითხვას, ან ყურადღების მიპყრობას, ან უბრალოდ მაკვირდებოდნენ, რადგან იმ წუთებში აღმომჩინეს და უკვირდათ, რომ აქამომდე არ იცოდნენ ჩემი არსებობის შესახებ... და გავიფიქრე, რომ სადღაც, ოდესღაც მინახავს ისინი... მას მერე, კარგა ხანს, ჩვენი მზერა აღარ შეხვედრია ერთმანეთს, სულის სარკმლები საგულდაგულოდ დაიგმანა და მე მათ მიღმა ოთხკედელს შორის დატყვევებული აღმოვჩნდი... პატარა კელია... აგურის სადა წყობა და ალაგ-ალაგ შეთეთრებული კედლები და ასეთივე აღდგომისკვერცხისფერი აგურის იატაკი... საკმეველის სუნი და გაზაფხულზე ამოყრილი ჯეჯილის სურნელი... აჩქარებული მაჯა და გული, რომელიც შემცვივულ ბელურასავით ხტის ან კაკანათში გაბმული მერცხალივით ფრთხილდება... კედლის ძველებური საათის მონოტონური წიკნიკი, რომელიც ბებერი ბუზლუნა ბულალტერივით ითვისის სურვილების მოუთმენლობას და საათში ერთხელ ძველებური გონგის მაჟორული ხმა, პედანტური ასკეტიზმით რომ შეგვახსენებს მარადისობასთან მიახლოებას... ეჭვის მტანჯველი ჭია, ნიგნით დაძეკილი ძველი სტელაჟის კიდეს რომ ხრავს დაჟინებით და არ გვაგინებს ყოფიერების ამოებასა და წარმავლობას... იმედეცრუების დავიწყების სიძნელე და მოულოდნელი სიხარულით მოგვრილი განცდის სიმარტივე... ფიქრი რომელიც სიტყვებზე მეტია და სიტყვები, რომელიც ამხდარ ოცნებებს აღემატებოდა... მიჩვევა, რომლის ცმუკვა-ფორიაქი მოსვენებას უკარგავს ყველაზე განონასწორებულ და პრაგმატულ სულსაც კი... ფიქრი ერთი მიმართულებით, თითქმის ერთდროულად... მონათესავე გემოვნება და გემოვნური სისუსტეები... ნებელობის ტყვეობა და ნებაყოფლობითი სნეულება, რომელიც გინდა ქრონიკულ სახადად გექცეს...

— მე ეს თვალები ერთხელ უკვე ვნახე ხილვაში და უკვე მერამდენედ ამიხდა!

— მდააა! დაგძგერებია ეს უბედურება, ჩემო კარგო, ვერაფერს იტყვი! — ქეთი თვალს მიკრავს და ღიმილის ქვეტექსტში მამხნეებს...

— „ნუ იღურა!“ არა, ამის გამოსწორება არ იქნება! — ლამის მეათე სიგარეტს უკიდებს ზაკო.

— თავს იკლავ, რა?! — ქეთი ლამის პირიდან აცლის ის-ის არის მოკიდებულ სიგარეტს და ლამაპზე უქრობს...

— ილოცე რომ შეგინდოს! — ლულუ მშვიდად ასუფთავებს თიხის სასანთლეს თაფლის სურნელით გაჯერებული პარაფინის ნალვენთებისაგან...

— რად უნდა ამას ლოცვა და გვემა: უყვარს ტო, ხო არა სძულს და ეზიზღება? — ზაკო ამკარად ხიპიშის ხასიათზე და თავს ილიზიანებს, რომ ამოსხას:

— ნებისმიერი სიყვარული ცოდვია...

— აბა, სიყვარული ღმერთიაო და ესაო და ისაო, რო აბოლებთ ხალხს? — ზაკო ნელ-ნელა (როგორც თავად იტყვის ხოლმე) დასაბმელი ხდება...

— ღმერთი სიყვარულია და სიყვარული ღმერთი! — ლულუ კიდევ ერთ სანთელს ანთებს და თავდახრილი ლოცვას ბუტბუტებს.

— აი, ქეთი!... — არ ეშვება ზაკო — როცა ხატავს, კლასიკას უსმენს... ზოგადად კარგი გემოვნება აქვს და მუდამ მოეძევა იშვიათი ჩანანერები, იმიტო უყვარს მუსიკა და თავისი საქმე, რა? — „გრეხია?...“

დღეს რა გვაქვს რეპერტუარში? — ზაკო სავარძლის სახელურს ცალი მკლავით ეყრდნობა და დაბუჟებულ აკეცილ ფეხს მეორეთი ანაცვლებს...

— ცისფერ კობალტზე მხოლოდ ვოლფანგ ამადეუს მოცარტი მიდის: სიმფონია 21 ანდანტე...

— სიყვარულზეც მიდის, როგორც წამიკითხავს და გამიგონია! — პირველად ცხოვრებაში საერო ანუ მინიერი თემების განხილვაში ერთვება ლულუ...

— კი აკვდება პირდაპირ! — ზაკო ცინიკურია და აუტანელი და ასეთ დროს მე არ მიყვარს ზაკო, თუმცა როცა ხასიათზე ვარ, შემიძლია აყვყვე და გავერთო...

— გინდა მაგარი ვეშიჩი მოგასმენინოთ? — ქეთი ტელეფონს უერთებს დინამიკს და ოთახს სუნლადეის „ილონგა“ ავსებს...

სუნლადეის „ილონგა“-მ საბოლოოდ განმიმტკიცა შეგრძნება, რომ სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება და რომ მართალია, როცა ამბობენ, რომ არსებობენ მოხეტიალე სულები, რომლებიც უმცირეს ნაწილაკებად არიან გაბნეულნი კოსმოსში და უგზო-უკვლოდ დაბორიალობენ, სანამ ერთმანეთს არ გადაეყრებიან შემთხვევით, მაგრამ მთავარი საიდუმლო იმაშია რომ სწორედ ეს „შემთხვევით“ არასდროს არაფერი ხდება...

ჩვენი დიალოგი სპონტანურად, ასე ვთქვათ, დაუგეგმავად იბადება არარადან და ასევე სტიქიურად წარიმართება... იცი, რა მაგარი შეგრძნებაა, როცა ხვდები, რომ უხილავი ძაფით ხარ მიბმული სამყაროს, როგორც ნაყოფი დედის სამოს ჭიპლარის სადინრით ...ბურთივით მრგვალი დედამინის მეორე მხარეს ზუსტად შენნაირს არ სძინავს და იცის რომ მიუხედავად უკუნი ღამისა, შენც გაგიკრთა ძილი და პირიქით... რომ გესმის და ესმით შენი და კიდევ უფრო მეტი: ახლა ისე სჭირდებით ერთმანეთს, როგორც ჟანგბადი რომელიც სულ უფრო გაიშვიათდა ეთერში...

— ძან სექსუალურია ეს „მილონგა“, გენცვა! — ზაკო კმაყოფილი ურტყამს მორიგ ნაფაზს და თვალებს აწვრილებს და საოცრად ჩამოჰგავს იმ გეიმას, წუხელ რომ დამესიზმრა რატომღაც...

— და სექსი რა შუაშია?... — ელიმება ლულუს, — იმ დღეს ვკითხულობდი, რომ რაც უფრო მაღალია ინტელექტი, მით ნაკლებია ლტოლვა სექსისადმი...

— ვაუ, მასეთებსაც ვკითხულობთ? რა „პრადვი-ნუტი“ „პონტი“ გქონიათ სულისმიერ ელიტაში?... —

ლულუ დუმს და ზაკო ხვდება, რომ სრული დებილობა თქვა!

\*\*\*

უცნაური შეგრძნებაა, მაგრამ რომ ვაკვირდები, ასე მგონია ოდესღაც ვიცნობდი და მერე, როცა შევხვდით, დავრწმუნდი რომ ყველაფერი ახალი კარგად დავინწყებული ძველია, ანუ ბევრი წლის მერე, ხელახლა დავიბადე (უფრო სწორედ დამბადა!) ახალ მოცემულობაში ახალი თვისებებით, მისწრაფებებით, ინტერესებით... ახლა ეს ყოველივე ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იყო დრო, არ მიყვარდა მაგალითად, შემოდგომა, არ მახსოვდა რომ არსებობს სამყარო მისი მრავალფეროვანი, მაგრამ ელემენტარული დეკორით: ცა, ვარსკვლავები, მზე, მთვარე, წვიმა და ქარი, ღრუბლები და განოლელი მთათა მონოტონური ზოლი, რომელიც მზის სხივთა დახრის კუთხის მიხედვით ქამელეონივით იცვლის ზნე-ფერს... რომ მშვენიერია თვით ყველაზე გამხმარი, უსახური ბალახის ღერო, რომელსაც ტრასაზე მქროლავი მანქანების გამონაბოლქვი რუხ ლამინირებად ეკვრის მის ფოთლებსა და ღეროებს და რომელთაც უამრავი რამის განცდა და მოყოლა შეუძლიათ ამ მქროლავ

მანქანებსა და მათ მგზავრებზე, რომ არსებობს მუსიკა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება, არადა, უნინ ვერც კი ვუსმენდი თვით ყველაზე საყვარელ, აკვიატებულ მელოდიებს...

— ანუ „არ გემუსიკებოდა!“ — მე-მუსიკება, გემუსიკება, ე-მუსიკება: „გა-ვა-მუ-სი-კე მე შენთვის ენა! — აუ, რა გიჟია მანანა მენაბდე?! წარმოუდგენელი!... ფანტასტიური!... გიჟური!... აბსოლუტურად „ინცრედიბლი“! ძაან „ცოლო“ ვეშჩია!... ჩავიხვიე და ლამის მეთედ ვუსმენ!... არანორმალურთა კატეგორიდანაა!

— ეხლა თავად მიკვირს ეს ყოველივე და ვხვდები იმის ანალიზი, რაც მოხდა (თუ დამემართა!) ჩემს ცოდნასა და ინფორმირებულობას აღემატება!

— და ტრანსტენდენციურობის აპოგეას აღწევს! ხოლო იმპლემენტაციის... კაროჩე! თქვი რა მარტივად და სადად: არის — ხარ, მოგწონს — მოსწონხარ, გენატრება — ენატრები, გიყვარს — უყვარხარ! და დაამთავრე რა! ვისი რა ტრაკის საქმეა: ვის ანუხებ შენი ტემპერამენტიტა და სექსოთერმოდინამიკით?! — ცოლი... ქმარი... ბიძაშვილი... ნათლის მძახალი... მძახლის ქვისლი... მეზობელი და მისი მევალე ნუ გამოგვეხმაურებთან!

— „მშვენიერო ზაირა! მოდი ჩემთან უნდა გითხრა, აი რა?“ — ერთი ძველი მუსიკალური ოპერიდან იხსენებს ფრაზას ქეთი...

ზაკო ქეთის დისკებს ურევს ხელს და ერთ-ერთს გამოარჩევს: — აი, ისიც! — ვივალდის „ნელინადის დრონი“! — მაგრად ასწორებს! — ზაკო დისკს ფლეერში დებს და სანადიროდ გამოსული მხეცივით ირინდება... ოთახს ვიოლინოების მაჟორული ჰანგები ეფინება, ზაკო ენერგიული სადირიჟორო შესტით ასდევს მუსიკის ტაქტს და ნელ-ნელა ეშხში შედის...

— ხვალ ოპერაციაზე გავდივარ!...

ზაკო ისეა ჩართული დირიჟორობაში, არაფერი ესმის... ლულუ და ქეთი უაზრო თვალებით მომშტერებიან...

— რატო არ გვითხარი?

— ინერვიულებდით! ბევრი არაფერია, პატარა ლაზერული ჩარევა და... 15 წუთის ამბავია სულ...

— ე, რას დაშტერებულხართ? — ზაკო ვერ ხვდება, რა მოხდა და მე მეზარება თავიდან დავიწყო ასს-ნა-განმარტება, რატომ არაფერი ვთქვი ოპერაციაზე უახლოეს დაქალებთან...

\*\*\*

ავტომობილი განიერ, მაგრამ მოუასფალტებელ ტრასაზე მსუბუქი რწევით მიიწევს წინ და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს მანქანის ნაცვლად თეთრი ქათქათა ლაინერი მიაპობს მტვრის ღრუბელთა ბობოქარ ტალღებს. შორიდან ისმის ნაცნობი მუსიკა და მინდა გამოვიცნო, საგანგებოდ ჟღერს იგი თუ უბრალო შემთხვევითობაა... მაგრამ თუ შემთხვევითობა არ არსებობს? ცა გამჭვირვალეა... ამინდი „შეკვეთილი“ — უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცის გული, რომელშიც ფიქრები სულ უფრო ღივდება, სურვილები სულ უფრო მრავლდება, მასშტაბებიც იზრდება, — ავტორადიოში რომელიღაც ფსიქოლოგი ოდნავ მელანქოლიური და განათლებული, ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურალიზმზე მონყენილი საუბრობს:

— ...ურთიერთობა განიცდის სახეცვლას... განვითარდება, მნიფდება... როგორც კარგი ღვინო ჭურჭელში დულს და ვარგდება, ასე ვთქვათ, ადამიანური ურთიერთობაც განიცდის ფერმენტაციას!

— ფერმენტაცია! — ყველგან და ყველაფერში! მოკლედ, ვერ გავცდი ამ ფერმენტაციას!...

გზას ცხვრის ფარა გვიკეტავს და მორჩილად მივეყვებით საერთო დინებას... დუმაშესქელებული ცხვრის ერთი ნაკადი თანამიმდევრულად კვეთს სამანქანე გზას და ბლავილით გაშლილ მინდორზე მიმოიფანტება, მეორე ნაკადი ჯიუტად მიიკვლევს გზას მანქანებს შორის... და მე ისე მომწონს ეს ბუნებრივი დაბრკოლება ჩვენს გზაზე, რომლის თვალუნვდენელ სანახებს კარგა ხანია გადაჰკვრია შემოდგომის მზის ოქრო... მინდა გზა უსასრულოდ გაგრძელდეს და გაიჭიმოს, ისევე როგორც მუსიკა, რომელიც შემთხვევით ჟღერს ავტორადიოს მუსიკალურ პაუზაში... მაგრამ შემთხვევით ხომ არაფერი ხდება ცისქვეშეთში?!

\*\*\*

ექთანს მაჯა უჭირავს და დაფიქრებით მიზომავს პულსს... რამდენიმე წამიც და გრძელ და უსასრულო გვირაბში ჩავსრილდები და თავქვე დავეშვები ქარზე უსწრაფესად... გვირაბი განიერია და სარკესავით კრიალა, კედლებს ცეცხლი უკიდიათ, სწორედ ისეთი ალმური ასდით როგორც ლამის 30 წლის წინ „მის“ კეფასა და ლოყისთავებს ამხვართულ ქალიშვილთან საუბრისას... მაგრამ ეს „მას“ აღარც ახსოვს, მე კი რატომღაც დღემდე დამამახსოვრდა, ალბათ იმიტომ რომ სწორედ მაშინ, იმ 30 წამში (ან უფრო მეტში!) ვიგრძენი, რომ ჩემთვის სულ ერთი არ იყო რაღაც... ცისფერი კობალტის წყვილი „მაზოკი“, რომელიც ისე აეკრა ჩემს ავტოპორტრეტს, როგორც მელნიტ დალაქული დლიურის გარეკანი გაქიქნილ მუყაოს ყდას, რომელზეც ბატიფეხურა ბობორიკა ასოებით აწერია ინიციალები, რომლის ნაჭდვევი ნაჯახით ამოუჭრია ბედის წიგნში უზენაესს... მე მიყვარს შემოდგომა, გაბმული მტირალა წვიმებითა და პასტორალური სევდით... მიყვარს ქარი, რომლის ბავშვობისდროინდელი ზღაპრის მონაბერი კვამლი ბუხრის საკვამურს ასდევნებია და ნელა ტაატით მიიწევს ცისკენ... მიყვარს დილის რიყრაყზე დათრთვილული წითელი ძახველის კუნწულა... 15 წუთში ყველაფერი დამთავრდება...

— წნევას ვერ ვიჭერთ! სისხლის გადასხმა საჭირო!... პლანეტები ერთ ხაზზე ლაგდებიან!...

— მეორე, რეზუსუარყოფითი... სულხანს უნდა ჰქონდეს!... მთავარი ქირურგი პირბადიდან თვალით ანიშნებს რუსკას დაურეკეო და მედდაც გამალებით კრფვს ლატექსის ხელთათმანებით მობილურის ციცქნა კლავიატურაზე საჭირო ციფრებს...

ოთახში მედიკამენტების სუნთან ერთად რაღაც-ნაირი მოტკბო სურნელი ტრიალდება, რომელიც საოცრად წააგავს ქეთის სახელოსნოს სუნს: თაფლსა და პარაფინს შერეული ინდური საკმევლის არომატებს და ცისფერი ორი „მაზოკი“ ღღვება რძისფერ ბურუსში აკვამლებული გვირაბის გასასვლელის ნათელს... — მთავარი ქირურგი და მისი მედდა რუსკა კმაყოფილები ილიმიან!

მე ვხედავ მზის უზარმაზარ დისკოს, რომლის მენამული ზეცის ეკრანზე პროჟექტორივით ანთია და ოქროსფრად ალივლივებს თვალუნვდენელი მინდვრების ქარში დავარცხნილ ნაკუნებს...

— მინდვრები კი არა, ბატიკაა, მე მოვკვდე!... აი ახლა თამამად შეგიძლია თქვა: „Мы с тобой одной крови, Маугли!“ — ზაკო დამცინავად მექირქილება და თვალს მიკრავს.

გვირაბი სულ უფრო ვიწროვდება და ფერებიც ბაცდება... რჩება მხოლოდ ცისფერი კობალტის ორი სხივი, რომელიც მდუმარედ დამნათის საქიმო პირბადის ზემოდან და სჯერა სულთა გადასახლების!

— მომავალ შეხვედრამდე სხვა ცხოვრებაში!





მარია კობანიძე



კვლავ ქარისათვის

შენ არ იფიქრო, რომ დაგივიწყე. რა მოხდა, თუკი არ გწერ ბარათებს. მუდამ ძვირფასი იქნები ჩემთვის, სანამ დრო ბოლო სუნთქვას ამართმევს. მასულდგმულეზღვი, მავსებდი რწმენით, როგორც ქვის კერპი — ველურ წარმართებს. რა ვუყოთ მერე, ბევრს დამართია, გულუბრყვილობით, რაიც დამმართე...

შენ მეგობარი იყავი ჩემი. მეგონა, სხვაზე უკეთ მიცნობდი. ჩემს გაუმხელელ სევდასაფიქრალს — მჯეროდა, უხმოდ გამოიცნობდი.

შენ არასოდეს ყოფილხარ ახლოს... სულ, გვაშორებდა დრო და მანძილი. ჩემი გრძნობები იყო უსაზღვრო, ჩემი ლოდინი იყო ხანგრძლივი... მე შეპყრობილი ვიყავი შენით, როგორც სნეული — უცხო ბაცილით.

ნეტავ, ხანდახან მოსულიყავი, მაგ ფართო მკერდზე თავი დამედო... შენც ხომ მითვლიდი, შორიდან, სევდით — „ზოგჯერ, შენს გამო, ვტირი მწარედო“...

ნეტავ, ხანდახან მოსულიყავი... რომ აღარ მეგრძნო თავი ეულად... შენმა სიშორემ უსაზღვრო სევდით და მონატრებით დამასნეულა.

ჩემი ცხოვრება — არამარტივი, იყო რებუსი, იყო შარადა.. ნეტავ, იცოდე, ამ ხნის მანძილზე, რა არ შემემთხვა, რა არ გადამხდა... ხომ, უამრავჯერ, მატკინეს გული, ვერავის კკადრე ვალის გადახდა.

შენსავით, აბა, ვინ მოისმენდა, მეც სათქმელს, უკვე, ვეღარ ვარჩევდი. იმდენი დარდი შემოგწუნუნე, ბოლოს, შემრცხვა და ბოლოს, გავჩერდი... გამოგეთხოვე, რადგან, მეგონა, ცხოვრების ჭაპანს ცალად გავწევდი...

და გამოვკეტე ღარიბ სენაკში მარადიული დედა და ცოლი. სამზარეულოს თეთრი წინსაფრით დიასახლისის მოვარგე როლი და ავუკრძალე ცისკენ ყურება, როგორც მევახშეს — ოქრო და ბროლი.

ამასობაში, გაფრინდნენ წლები და... ოცნებები იქცნენ ლანდებად. დავაგვიანე, ჩემს და შენს შორის, საურთიერთო ხიდის გადება... ოდესმე, მაინც, თუ შეგეხები?... ვინ დამიდგება, ნეტავ, თავდებად?... ჩურჩულით გეტყვი, კვლავ მენატრება მაგ ფართო მკერდზე თავის დადება.

ნეტავი, სად ხარ, ანდა როგორი... შენც თუ გაგძარცვეს წლებმა — ქურდებმა?... მაგ ხმელ ლანებზე, ნეტავ ჩემს გამო, დროდადრო ცრემლი ისევ ცურდება?... მე ნუ მომძებნი... აღარ ღირს ნახვა... ვიცი, იმედი გაგიცრუვდება.

უმჯობესია — დარჩე, სადაც ხარ... რაც მიდის, უკან აღარ ბრუნდება. რაც, რამ, ლამაზი მებადა სულში, გამოგიგზავნე მტრედის ხუნდებად. დიდი ხანია, არ ვახარისხებ დღეებს კარგებად, ანდა — ცუდებად. დიდი ხანია, გაჩუმდა გული, ჩემი კალამიც, მგონი, ჩუმდება. ვიცი, ყოველთვის გემახსოვრება, გრძნობა ლექსებად როგორ ავკინძე. დრომ სიყვარული ჩამომახია, როგორც მეკობრემ — მეძავს საკინძე.

შენ ნუ იფიქრებ, რომ დაგივიწყებ. მემახსოვრები ბოლო სუნთქვამდე, მანამდე, სანამ — ჟამთაღმწერელი სასიტყვეთის კარს დამილუქავდეს.

მემახსოვრები ძვირფასო, სანამ სული ზეცისკენ გაილანდება, შენი სიშორით და მდუმარებით დაჭრილი გული დამიამდება... სანამ თაფლისფერ სხივჩამქრალ თვალებს „მზიანი ღამე“ დაუზავდება... მერე, ზეცაში გამყვება ნატვრად, მაგ ძლიერ მხარზე თავის დადება.





## უთხარი ზამთარს

უთხარი ზამთარს — გადარეკოს ღრუბლების რემა,  
თოვლით დატვირთულ ფორნებს ზურგის უსურვოს ქარი.  
უთხარი ზამთარს, რომ მობეზრდა სულს ცდა და თვლემა,  
რომ ჰაერივით მენატრება მზიანი დარი.  
უთხარი ზამთარს, ველარ ვუძლებ სიჩუმის სენთა,  
გეძებ სიზმრებში... თვალს ვახელ და ისევ არა ხარ...  
უთხარი ზამთარს — მოგიყვანოს ძვირფასო, ჩემთან,  
სანამ ამ რძისფერ სითეთრეში ცოცხლად დამმარხავს.

25. I. 16

## ინყება თოვა

ფიქრის საჩეჩელს მიუჯექი, ინყება თოვა...  
და ვინაიდან ეს ზამთარიც იქნება გრძელი,  
მოგონებები ამოპენტე ფერად ფთილებად,  
არავის უთხრა, გოგოსავით აპრილს რომ ელი.  
დროდადრო ღუმელს მიაშველე გამხმარი შეშა  
და, როცა, ოთახს გააბრუებს სურნელი ფიჭვის,  
ჩამოაფარე დალლილ თვალს ნამნამთა ფარდა...  
არ შეიძლება — სხვამ იცოდეს: გილხინს, თუ, გიჭირს.  
ახლა, ისრიმის მჟავე გემოს გიტოვებს სევდა,  
ჩუმად მარტობ... იცი, მაინც, არავინ მოვა...  
მინებზე, უკვე, ხატავს ვერცხლის ყვავილებს ყინვა,  
ფიქრის საჩეჩელს მიუჯექი... ინყება თოვა.

17. X. 2016

\* \* \*

ვცრი დღეთა ამაო ვნებების საფანელს,  
დარდებდა მოზელილს ვალაგებ გუნდებდა...  
ქრებიან ყველაზე ლამაზი ნუთებიც,  
ყველაზე სათუთი გრძნობებიც ხუნდება.  
ვაცოცხლებ კადრებდა წარსულის სურათებს...  
ვკითხულობ: ამქვეყნად, რა არის მარადი?  
გიხსენებ და ვნუხვარ, რამეთუ, მხდალი ვარ,  
მზესავით გიზგიზა სიყვარულს ვმალავდი...  
არადა, ყველაფერს ჟამი აქვს თავისი,  
გულს, ერთხელ დაფერფლილს, ვერ აქცევ, კვლავ ცეცხლად...  
ჩემს გზაზე იმდენჯერ განვიმდა, ძვირფასო,  
ბავშვური სიანცის კვალიც კი ჩარეცხა...  
და... ფქვავდა ნისქილი — დროისა, სიყალბეს...  
ბრუნავდა სიცრუის მსახვრალი დოლაბი...  
ნაცრად და მტვრად იქცა ოცნების სასახლე...  
ვერაფერს, რაც მსურდა, თავი ვერ მოვაბი.  
ახლა კი, ჩვენ შორის, დგას დრო და მანძილი...  
აქეთ — მე, სადღაც — შენ, ვხრავთ ხსოვნის ხმადებს...  
ნაილეს ქარებმა ჩვენი მზეგულები  
და... გასამრავლებლად ჩიორებს მიანდეს.

\* \* \*

როცა — ჩიტების ჩუმდება ქორო,  
მზე იცმევს როცა — ნისლის ფაჩუჩებს,  
დაიგებს გული დუმილის ფარდაგს,  
თვალს დახუჭავს და დარდს გააყურებს.  
შორს, სადღაც ტოლი დაეძებს ტოლს და  
ვილაც, ჩუმ ხმაზე, უკრავს ჭიანურს...  
ვინ აუკრძალავს ფრენას ჩიტს, ცაში,  
ანდა, მიჯნურებს ერთად სიარულს?..

დრომ ამოივსო თვალეზი ღრუბლით,  
მიდის და უკან არ იხედება...  
დაცხრება ყველა ჯანყი და ვნება,  
ყველა ტკივილი გაიხედნება.  
არაფერია, ცის ქვეშ, მუდმივი,  
ლამეს — დღე ცვლის და ზაფხული — ზამთარს...  
თმენის ფარდაგზე ფიქრების გორგალს  
გული იმედის ფთილებად ართავს.

21. XII. 2015



## უშენოდ

\*\*\*  
 მალე, აპრილის მზე აგიტკრეცავს ღანვებს,  
 ატმის ნაზ ყვავილებს ქარში გადაარწევს...  
 მალე, მწვანე მოლის, ფეხქვეშ იგრძნობ ხაოს,  
 მოგინდება ზეცამ მკლავზე განანაოს.  
 მალე, იასამნის გაგაბრუებს სუნი,  
 გაგიღვიძებს სულში სიყვარულის სურვილს...  
 ჩამოიშლი მხრებზე თავთუხისფერ თმებს და  
 გაუყვები ფეხით ამღერებულ გზებს და...  
 მალე, ჩიტების ხმა, ისევ გაგახარებს,  
 მალე, გაზაფხული შემოგიმტკრევს კარებს!

8. II. 2016

ნუხელის ისევ მოუთოვია...  
 მე ვარ და მთების თეთრი ნაბადი.  
 გამოვყვებოდი თოვლიან ბილიკს,  
 რომ მწამდეს სადმე დაგინახავდი.  
 შორს ხარ და დუმხარ, როგორც ქვის კერპი,  
 ქარსაც, არაფერს, აღარ აბარებ...  
 სიზმარში მაინც არ გწყდება გული,  
 ამ მთებს ეუღლად რომ მიმბარე?  
 აკვამლებულან ცაზე ნისლები,  
 მზე ხვითოსავით უნდა ეძიო...  
 გამოგიგზავნი ჩემს მონატრებას,  
 ეგება სადმე წამოგენიოს...  
 მოუთოვია ნუხელის, ისევ...  
 მე ვარ და... მთების თეთრი ნაბადი...  
 რას არ დავთმობდი, ძვირფასო, ახლა,  
 რომ მწამდეს სადმე დაგინახავდი.

## ივნისი

დილაა, ბავშვივით უდარდელი...  
 ჭიკჭიკებს ეზო და აივანი...  
 სახეზე მეფერება რტო — ცაცხვისა,  
 ნალამური და ნამიანი.  
 ეს ხმა, სიოსავით მომღერალი,  
 მზის ოქროს ფარჩის შრიალია...  
 ბავშვივით მახარებს ფრინველების  
 ყლურტული, ნავარდი, რია-რია!  
 დასრულდა წვიმების ეპოპეა,  
 უკვე, ცეცხლისფერი ივნისია...  
 ეს გული, გასკდომამდე, ბედნიერი,  
 სიზმარში რომ ვნახე, იმისია!  
 მერცხლები შესევიან თვალსაწიერს...  
 დილა აფრიალებს ცისფერ მანდილს...  
 მზე ძირს ჩამოსულა ოქროს კიბით,  
 ქუჩებში, ბოშასავით, ლალად დადის.

## ღვთისმშობლისადმი

დღეს და დღეიდან...  
 ან და მარადის...  
 არყოფნის ზღვრამდე...  
 ზეცის კარამდის...  
 ვხსნი სულის სკივრებს  
 და გიმხელ ყოველს,  
 რასაც ვფარავდი,  
 ან ვერ ვფარავდი...  
 გიმხელ სიყვარულს,  
 ტკივილს და სევდას...  
 როგორც უმხელენ  
 ჩუმ ზრახვებს დედას...  
 დამალულ ცოდვებს,  
 როგორც მარწუხებს...  
 დღემდე გულს რომ ფლეთს...  
 სულ რომ მანწუხებს...  
 ვდგები დედაო,  
 მუხლებზე, შენს წინ...  
 ნისლიან მზერით,  
 რიდით და ხვეწნით...  
 გთხოვ, მომიტევე



\*\*\*  
 ვთხოვ დეკემბრის ქარებს, —  
 ნუ მიმტკრევენ კარებს...  
 წამიყვანონ სადმე,  
 საოცნებო მხარეს...  
 ამომივსონ მზერა  
 ცის ხასხასა ფერით,  
 მომატარონ ლურჯი  
 ყვავილების ტევრი...  
 მზით გამითბონ პეშვი,  
 მზით გამითბონ კალთა,  
 შემასწავლონ ენა —  
 ბალახთა და ქვათა...  
 ამარიდონ იღბალს,  
 უსახურს და მწარეს...  
 ვთხოვ დეკემბრის ქარებს,  
 ვთხოვ დეკემბრის ქარებს.

22. XII. 2015

\*\*\*  
 ღიმილის მარმაშით მაღავდი ტკივილებს,  
 თვალეზით მოგქონდა წარსულის კირთები  
 და დღესაც, როს, სული წვიმებით გევსება,  
 ყველაზე ღამაში სამოსით ირთვები...  
 გადიხარ ქუჩაში „ლალი“ და „ამაყი“  
 და გინდა შენს კვალზე მღეროდნენ იები...  
 ზუზუნებს სამყარო... ქალები, კაცები, —  
 ქვეყანას იკლებენ წყევლით და გინებით...  
 მერე, კვლავ საღამო... კვლავ ზრუნვა ოჯახზე...  
 გწყინს, ჟამი ნაცრისფრად რომ უნდა გალიო...  
 ...დეკემბრის ბნელი და უმთვარო ღამეა...  
 ბავშვები ხმამაღლა გალობენ „ალილოს“.

25. XII. 2015

## ჩუმაღ

ჩუმაღ არაკუნე დარდის სარეკელა,  
 ჩუმაღ ინვიმე და ჩუმაღ იავდარე...  
 მთვარეს მიაბარე, მთვარე შეგინახავს —  
 გრძნობის სინრფელეს და სულის სიანკარეს.  
 ქარს ნუ მიენდობი, ქარი ოხერია,  
 წავა, დაარიგებს ჭორებს მინდორ-მინდორ...  
 მხრებზე შემოიდგი ფიქრის კიდობნები,  
 ბოლო სამყოფელთან ჩუმაღ გადაზიდო.  
 ჩუმაღ ჩამოჰკარი სევდის ზანზალაკებს,  
 ჩუმაღ გადალახე ყველა ბარიერი...  
 ჩუმაღ იგალობე უფლის სადიდებლად,  
 ჩუმაღ ილიღინე „მრავალჟამიერი“.

21. XII. 2015



ცხოვრება — ჩემი,  
 ხან, ხვავრიელი...  
 ხან, უშნოდ ბერნი...  
 მხილება, სხვათა —  
 თვალეში ბენვის...  
 სისუსტე, ავდარს  
 შერჩენილ ლერწმის!  
 გაგიმხელ კრძალვით;  
 მიყვარდი როგორ...  
 ვმღეროდი როგორ...  
 ვტიროდი როგორ...  
 და მერე, როცა —  
 ქარს შვევრი კენტად,  
 მოვკალი სულში  
 ფუსფუსა გოგო...  
 გიმხელ მწუხარედ,  
 დედაო, ღვთისა,  
 ვერ ვუერთგულე,  
 დავჭირდი ვისაც...  
 ვერა ვუნამლე —  
 სხვის დარდს და ჭირსა...  
 ვერ ვიქვეც შენი  
 წყალობის ღირსად...  
 და მტკივა, ახლა,  
 და მეტკიება  
 დღესაც და ხვალაც...  
 ან და მარადის...  
 ის, რასაც ვკრებდი  
 ცხოვრების გზებზე...  
 რასაც ვფარავდი...  
 ან, ვერ ვფარავდი.

\*\*\*

გზა არის რთული...  
 ან, იოლი ყოფილა როდის?...  
 დღიდან — გაჩენის...  
 ანმყოს გავლით...  
 არყოფნის დრომდის.  
 უმანძილოა სიხარული,  
 მიდის და მოდის...  
 მიაქანავებს დრო  
 ხურჯინებს —  
 მადლის და ცოდვის.  
 გზა არის რთული...  
 შურისა და ბოღმის მორევში,  
 არავინაა —  
 მინიერი ზადის მომრევი...  
 ჩამოდი, მზეო,  
 ამოშანთე ტკივილის ლაქა...  
 მთაში და ბარში...  
 ქუჩა-ქუჩა...  
 იქაც და აქაც!  
 ჩამოდი, მზეო,  
 უფალივით თბილო და სუფთავ...  
 სიცივე მახრჩობს...  
 გულგრილობა —  
 მაზრობს და მხუთავს...  
 დამაქვს ტვირთივით,  
 გული დარდით ჩამოღვენთილი...  
 ამ გზას, უძნელესს,  
 ბოლო, მაინც, ჰქონდეს კეთილი!


## ბილიკი

მივდივარ... არ ვიცი სად მიდის  
 ბილიკი, ვინრო და ირიბი...  
 მსურს მინას ვუყურო და, მაინც,  
 მზერა სულ ზეცისკენ მიმირბის.  
 მივდივარ... ჭრელ-ჭრულა ფოთლები —  
 მღეროდა სევდიან რომანსებს...  
 ეს ხმაა, ტკბილი და ნაცნობი,  
 გულს მძაფრი ტკივილით რომ ავსებს.  
 იღვრება ბილიკზე თაფლივით,  
 სხივები — სექტემბრის ნაზი მზის...  
 შორს დარჩა აპრილის სილაღე...  
 ვნებები, სუფთა და აზიზი.  
 მივდივარ... არ ვიცი, სადა აქვს:  
 ამ ბილიკს — ბოლო და სამანი...  
 რა მელის გრძელი გზის დასასრულს,  
 ჭინჭარი?.. თუ, იასამანი?..  
 ოდესღაც, მინთებდა ნკვარამებს,  
 კოცონი, მაგ შენი თვალეების...  
 ღვიოდა სამყარო სიამით...  
 შურისგან კვდებოდნენ ქალები...  
 მივდივარ... მიმიყვანს, ნეტავ, სად,  
 ბილიკი, ვინრო და ირიბი?..  
 ჩავყურებ მინას და თვალეები  
 ოცნებით, კვლავ, ცისკენ მიმირბის.

## დაბრუნდით

გინახავთ ხე — სუსტი, უფესვო,  
 ცოცხლობდეს და ქარებს უძლებდეს?..  
 ან, სახლი, პატრონის გარეშე,  
 ამაყი, ჭერიდან — ფუძემდე?..  
 გსმენიათ — უდელო ბავშვების  
 ლალი და უხინჯო სიცილი?..  
 გინახავთ — მფრინავი ტოლებში,  
 გიჟმაყი, უბელო კვიცივით?..  
 ამქვეყნად, ყველას და ყველაფერს  
 მადლი და ფასი აქვს თავისი...  
 ვერ ცოცხლობს ხე ფესვის გარეშე,  
 არც ბავშვი იზრდება თავისით...  
 ნუ ტოვებთ მინას და ოჯახებს,  
 სევდის და ტკივილის სასჯელით...  
 დაბრუნდით, მშობლებო, შვილებთან!  
 მათ ბავშვურ სიხარულს დასჯერდით!

6. I. 2017





თინათინ მრეაშვილი



და... გადარჩა ჩემი ერი...

მზე — ქართული, ენა — მჭევრი,  
მხარე — ღვთის წილ განაჭერი...

ქართველთ, მუდამ, ჰყავდა მტერი,  
დაუთვლელი, ბევრზე ბევრი...

თარეშობდა ყორნისფერი,  
ღრუბლის კვამლი, გულით ჭრელი...

ფეხზე დადგა ერიც, ბერიც,  
მტერს ადინა ზურგზე მტვერი...

სიმამაცით სძლია მტერი...  
დაიბრუნა ბრწყინვა, ფერი...

და... გადარჩა — ჩემი ერი...  
ღვთით გადარჩა — ჩემი ერი...

დაგვბედობდეს!..

მოდის ახალი და მიდის ძველი,  
წელს — ახალს, ახალ იმედით ველით,  
დაგვბედობდეს, წელო ახალო,  
რომ საქართველო საქმით ვახაროთ...

ჭიშნი – სიმღერა თელავზე...

თელავია ჩემი მზე, ჩემი თავდავინყება...  
სიყვარული, სიცოცხლე, — ჩემთვის, მისგან ინყება...  
შენი ზეცა თელავო!.. შარავანდით ინთება,  
გმირმა — მეფე ერეკლემ დაგანათლა დიდება...

დღეს ზეიმობს სიკეთე, დღეს ზეიმობს ღირსება,  
დღეს მომავლის იმედი, რწმენის შუქით ივსება,  
უძიროა ლაყვარდი, ხან ფერს იცვლის, ღვინდება  
და... სიცოცხლე, ნეტარი, უკვდავებად ბრწყინდება...

ვლორჯ...

ვინც არ გვტოვებს არვის ცალად,  
მზე-სიყვარულს ვინაც აჩენს,  
ვლოცავ უფლის დიად ძალას,  
ჩვენი სიყვარულის გამჩენს...

სიკეთე სიყვარულისა...

გულს ტრფობა, — ტკობად რომ ელტვის,  
რწმენად და სიტყვად გულისად,  
სანეტაროა, ყოველთვის,  
სიკეთე სიყვარულისა...

როცა, თვალს მოენატრები...

როცა თვალს მოენატრები,  
ფიქრიც აჰყვება ღელვასა...

თვალწინ მიდგები მაშინვე  
და... გულში ინყებ ელვასა.

რომ შექმნა შენი ხატება,  
ვლოცავ: ადამს და ევასა...

სიყვარულის და მამულის...

სიყვარულო... და... მამულის მრგვალო ცავ...  
თქვენი ხობტა, ქვეყნად, ვის მოსწყენია?..  
და, თუ, წყვილებს სიყვარულით დალოცავთ,  
ახლა, ჯერი, იცოდეთ, რომ ჩემია...

აიხდენ...

გზა, ერთურთისკენ, სწამთ და... ილტვიან,  
ბინა ერთ ჭერქვეშ, კი, ჯერ ვერ ნახეს,  
მიზეზი, თუმცა, არ დაილია,  
ტრფობის მზე, მაინც, იმედით ალხენთ...

თუმც, დრო წლებს ითვლის შეუბრალებლად,  
თუმც, — წლებიც თოვლის ფიფქივით ქრება,  
თუ, რწმენას ირჩევ, — შეუდარებს, მძლავრს,  
აიხდენ ნატვრას და — გულის ნებას...

მიყვარს...

მხოლოდ, შენი ხობტა, ქება,  
მაძლევს განცდის არსს და შვებას,  
მიყვარს... მიყვარს... მზისდარ ხედად,  
როცა, მაგ, თვალთ ხიბლსა ვხედავ...



## მწამხარ სიყვარულის ღმერთად...

ფრინველთა გალობა გაზაფხულს აცოცხლებს,  
წკრილით ერწყმება ზეცას,  
მზე — სივრცეს ყვავილთა სურნელით ათრთოლებს  
და... კვირტებს ლამაზად ძერწავს...

ჩვენი სიყვარული გაზაფხულს მაგონებს,  
მთა-გორს მივუყვებით ერთად...  
მიყვარხარ... შევხარით ამ, ლამაზ, მთა-გორებს,  
მწამხარ — სიყვარულის ღმერთად...

## მსურს...

წლები, ხან, — მზეობს, ხან, — მარტობს,  
სხვისი მზის მზერა არ მათბობს,  
მე, უშენოდ, ვგრძნობ თავს — მარტო,  
მსურს — შენმა სუნთქვამ დამათროს...

მსურს მეგულვოდე ჩემს ახლოს,  
მსურს — ნატვრამ ფრთები შემართოს,  
მსურს — მუდამ, გულში მესახლო, —  
მსურს — სიყვარული გემართოს...

## ვართ სიყვარულით ერთად...

გაფრინდა, წელთა, ფერთა ციალი, —  
ბავშვობის განცდით, გზებით,  
ხან, თუ — მზით, სავსე დღეთა ტრიალით,  
ხანაც, — ცრემლსავსე გზებით...

მოგონებები შორ წარსულს სცრიან...  
ჩნდები იმედის ფრთებით...  
ვისხნი გულიდან ბინდს, ველტვი ციაგს, —  
და... მაგ გულის მზით ვთბები...

რწმენაც, იმედიც სხივად ანთია,  
გთავაზობს ახალ ფერთა  
და... შენთან ვხვდები ცისკარს, განთიადს, —  
ვართ — სიყვარულით ერთად...

## ნუთუ შევძლებდი?!

მარწმუნებ, თითქოს, ტრფობით თანა მდევ,  
მაგრამ, — სათქმელი რად არ გამანდე,  
მთაში ნახვედი, ფიქრი არ მანდე,  
არ შემეკითხე, არად ჩამაგდე...

მზემ აიფარა ნისლის პირბადე,  
რადგან, — შენ, სხვაგან მეგულვობდი,  
ასე, ძლიერად, რომ არ მიყვარდე,  
ნუთუ — შევძლებდი, შემძულვობდი?!

## მენატრები...

შენს ლოდინში, — ყინვა ყვავილს ზაფრავს,  
მენატრები ძლიერ, მართლაც, ძლიერ...  
თუ, ვერ გნახე, ძირს არ ვუშვებ აფრას,  
ფრთებს, — ოცნებით, ვასხამ თვალსანიერს...

## ისე ვესწრაფვი...

უშენოდ, — ფიქრმა და გულმა,  
წამითაც ველარ ილაღეს,  
შენს ნახვას ისე ვესწრაფვი,  
როგორც არწივი — სიმაღლეს...

## ერთი მაქვს ნატვრა...

შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარის“  
კითხვისას, გული სევდის ტყვე არის,

ვერ ვიფიქრებდი, და... არ მჯეროდა,  
თუ, მისი, მსგავსი, ბედი მელოდა...

თუ, დრო ითვლიდა, სწრაფად, წამებს, და...  
თუ, შენი ტრფობა გამანამებდა...

ვიცი, დრო მოვა და დავწერ ამბად,  
გარდახდომია ჩვენს ტრფობას, რაც გზად,

ერთი მაქვს ნატვრა, — სიზმრად და ცხადად:  
შენ მყავდე კარგად, შენ მყავდე კარგად...

## მომნატრებია...

მომნატრებია, ძვირფასო,  
შენი სიტბო და ალერსი,  
ჩემთვის: დღეც, წუთიც, ის, ფასობს,  
როს, — ტრფობით მიმზერ თვალეში...

## ნუთუ ვთვალე...

წამთა სრბოლა, მე, ნუთუთი ვთვალე,  
ტელეფონის ზარს, შენსას, სულ, ველი...  
მსურს, რომ ერთ ჭერქვეშ ვიყოთ, ჩვენ, მალე,  
შენთან ყოფნის ვარ, მუდამ, მსურველი...

## ღვთიურმა ჰანგმა...

ცისკრისას, მესმა ბულბულის სტვენა, —  
დიდი ხანია ამ დღეს ველოდი...  
ღვთიურმა ჰანგმა დამიტკბო სმენა,  
ჰანგმა, — ტრფობის მზის სადღეგრძელოთი...

## ველი, მაგ გულის ზარათებს...

ღამეს ცისკარი ანათებს,  
დილას — მზის სხივთა მშვენება,  
ველი, მაგ გულის ზარათებს, —  
ამ, გულს რომ, — ნეტარ ენება...

## რატომ მიყვარხარ ასე?!

ეს მოფარფატე ფიფქები,  
სივრცეს სინაზით ავსებს,  
მე, შენი მზერით ვითვრები,  
რატომ მიყვარხარ ასე?!



## თუ, სიყვარულს მაზიარებ...

ოცნებით მთა მოვიარე,  
კოშკი ვაგე ბარადა,  
თუ, სიყვარულს მაზიარებ,  
წყენას ჩავთვლი — არადა...

## თუნდაც...

საშველად ფასკუნჯს მოვუხმობ,  
თუნდაც, წინ შემხვდეს დევი,  
მე, შენს სიყვარულს, ძვირფასო,  
ვერაფრით შეველევი...

## ჩემთვის მზეც ხარ და ზენაც ხარ...

ვარდ-ბულბულებს ენა ხარ,  
ამ გულის ნატვრა შენა ხარ,  
მზეჭაბუკი ხარ, ლხენა ხარ,  
ჩემთვის: მზეც ხარ და ზენაც ხარ!..

## ვიაროთ...

ვიაროთ, ერთად ვიაროთ, —  
მთა-ბარი შემოვიაროთ,  
წუთისოფელო, ტიალო,  
გზა არ შეგვყარო — ფრიალო...

## ქალო, გამომყევ ცოლადა...

ღამეებს თეთრად ვათენებ,  
წამიც არა მაქვს წოლადა,  
ნეტავი, რაღას მახელებ? —  
ქალო, გამომყევ ცოლადა...

## ქალავ...

ქალავ, ტურფა ხარ სინაზით,  
ვით, ვარდი — ედემს რგულიო,  
მინდა მანთებდე მბრწყინავ მზით,  
გულს შეგინყვილო გულიო...

## ქალი, ხომ, ანგელოსია...

ქალი, ხომ, ანგელოსია,  
მზის დარი, ღვთის დანაბადი,  
იმის ცოლობას რა უნდა? —  
კარგი ცხენი და ნაბადი...

## კარგ ყმას...

კარგ ყმას, მუდამაც უხდება,  
მტერთან მედგარი ბრძოლაო,  
მოდმის დახვედრა ძმურადა,  
ღამაზი ცოლის ყოლაო...

## ნეტავ, თავს რად არ მანებებ...

ნეტავ, თავს რად არ მანებებ,  
რად მელობები გზაზეო,  
ეს, ჩემი გული სხვას ეტრფის  
და... ვფიქრობ, მხოლოდ, მასზეო...

ხომ, კარგად, იცი, შორენამ,  
თვით მეფეს უთხრა უარი,  
ერთს რჩეობს, სხვას ვერ იგუებს,  
გული ერთის ტყვე, თუ, არი...

## ნაცვრა...

ნეტავი, გედად მაქცია,  
შენს სახლთან მომცა ბინაო,  
მანგია მქონდეს უჩინო,  
უჩინრად მაცქერინაო...

მეც, შენთან ერთად, მეტირნა,  
ან, შენთან გამეცინაო,  
გული საგულეს მქონოდა  
და მშვიდად დამეძინაო...

## სურათი...

თოვს... მოფარფატე ფიფქები,  
იტყვით, — ჰგვანანო მთვრალს...

თოვს... მთვარეცა და ვარსკვლავნიც  
სივრცეს შუქს ჰფენენ მკრთალს,

მათ ბრწყინვას, ეგ ზომ, ხიბლი აქვს,  
ვერ მოვუხუჭავთ თვალს...

აღბათ, ციმციმით, მნათობნი,  
ცარგვალს უხდიან ვალს...

## შემოდგომაა...

შემოდგომაა... ფოთლები თრთიან  
და ეშინიათ წვიმის და ქარის,  
წვიმა და ქარი, ნოტებსა სცვლიან,  
თითქოს, ბაძავენ მუსიკას ქნარის...

შემოდგომაა, — მტევანდაყრილი...  
ცის კაბადონზე გაკრთა მზის თვალი,  
ქარი კი დაჰქრის, — ფაფარაშლილი,  
მნიფე მტევნებთან ალერსით მთვრალი...

## სურათი...

იმუქრება ქარი,  
წელში ღუნავს ლერწამს,  
დაჰქრის, როგორც მთვრალი,  
არ ჩერდება ერთ წამს...  
ჯიქანსავსე ღრუბლებს  
აურია კვალი,  
უცებ, დაძრა — მალლით,





წვიმა, ნიაღვარი...  
მაგრამ... მზემ ანაზღადა,  
მოისურვა დარი,  
ცისარტყელამ, ნაზად...  
გაახილა თვალი...

### სურათი...

წუხელ წვიმდა... ქარი ფოთლებს —  
შარიშურით, მოღზე სცრიდა...  
ცა გრგვინავდა, ბობოქრობდა...  
და... ელვა — ცეცხლს ჰყრიდა ციდან...

მერე, უცებ, გადისარკა,  
გამოგოგდა ცაზე მთვარე,  
ვარსკვლავებიც აკიაფდნენ,  
გადანათდა არე-მარე...

### კავკასიონს...

კავკასიონო!.. მთა-ბარი,  
გამკობს წალკოტის სადარი,  
მხარე, — უტურფეს ბაღნარის, —  
ქვეყნად, სხვა, კიდეც, სად არის?  
გშენის ცა — ლურჯი, პირმრგვალი,  
მენამულ ფერს გფენს ცისკარი,  
დაგბედებია იღბალი,  
მზე საკოცნელად იჩქარის...

### სურათი...

ასე, — მეგონა: იძვროდა მთები,  
ცხვრის ფარა, როცა — ტოვებდა ფერდობს,  
ნანატრი წლები, ბავშვობის წლები,  
ბევრ საოცრებას მაგონებს ერთობ...

### ვით თეთრი ჩანჩქერი...

სარკმელთან ვდგავარ და, — ლურჯ  
სივრცეს გავცქერი,  
წეროთა გუნდი ჩანს, ვით თეთრი ჩანჩქერი,  
ეს ფრენა მიტაცებს, — ბავშვობის დროიდან,  
და... ეს სიყვარული, ამ დღემდეც, მოვიდა...

### ფილა მთებში...

მთები ღანვებს იმშვენებენ, —  
ცისკარს ელოდებიან,  
ღამის სიზმრებს იხსენებენ, —  
თვალეზარს კვლავებიანს...

მკერდზე თოვლი უელვარებთ,  
ცის მსგავს, ლურჯთვალეზიანთ,  
მზის ამოსვლას მოუთმენლად,  
ნატვრით ელოდებიან...

და... მზეც, აჰა, ამობრწყინდა, —  
სხივნი წითლად აანთო,  
მიეფერა მთებს შორიდან,  
ბროლის ფიფქით დანათოვთ...

შემდეგ, ნაზად ჩაეხუტა, —  
და... ალერსით აავსო,  
თქვენთვის ვქარგავ, — გრძნობით უთხრა,  
ამ სიყვარულს ღამაზსო...

### სათქმელს უხდება...

სათქმელს უხდება კარგი წვრთნა,  
სიბრძნის საცერში გაცრაო,  
მაშინ მოისხამს ლექსი ფრთას,  
სხვაფრივ დარჩება — არც რაო...

### ახალ თაობებს...

აგ-კარგით, წლებიც დაობენ,  
მომავლებს ვეტყვი ამ რჩევას:  
სცოდნოდეთ ახალ თაობებს —  
თეთრის და შავის გარჩევა...

### არწივს ნუ ჩათვლი მლილად...

მზეს ნუ თვლი ზეცის ღილადა,  
პაპანაქებას, — ქარ-ცივად,  
არწივს — ნუ ჩათვლი: მლილად და...  
ციცქნა მლილს — მთების არწივად...

### იმზეგრძელე...

ვინ არ იღწვის სახელისთვის  
და სიკეთეს ვინ არ თესსო,  
მე, შენ, გამოძღვრავ მომავლისთვის,  
იმზეგრძელე, ჩემო ლექსო...

### ტკბილად შეგვაბეროს...

ველტვი მზიან ფიქრებს და ღმერთს ვევედრები,  
რომ მალე შეჰყაროს ერთად ჩვენი გზები,  
ფრთები გამოასხას — ტრფობის, — ჩვენს ანგელოზს  
ერთურთს შეგვაფეროს, ტკბილად შეგვაბეროს...



## მომზებეგებია... მომნატრებია...

მომზებეგებია... მომფერებია... მომნატრებია...  
ვჭვრეტ რიჟრაჟს ცისას, ათინათებს სხივთვალეზიანს,  
მთათა ფერდობნი მზის ბრწყინვა-შუქით რომ ნათდებიან  
და... კლდით ნაჟური ბროლ-ცვარ-ნამით ინათლებიან...

## გვალალოს, გვალხინოს...

როდესაც, თავს ვუყრი, მე, ფიქრებს მღელვარეს,  
ვხვდები, ჩვენს ტრფობას, რა რთული გზა ელის  
და... თუმც, სიყვარული, სულ, უფრო ელვარებს,  
მაშფოთებს ფიქრები, ფიქრები მწველი...

ფიქრშიც, კი, არა მსურს, ერთურთს რომ ვერ შევხვდეთ, —  
ვაი, თუ, გაჰყაროს სანუთრომ გზები,  
ჩვენს ლამაზ მიზნებს და ნატვრას რომ ვერ შევწვდეთ, —  
არ ვიცი, რას ვიზამ, ... ამას, კი, ვხვდები:

სიცოცხლე დაკარგავს აზრსა და ნათებას,  
დამწვავს და დამნაცრავს ობოლი წლები,  
ამიტომ, გავბედავ და შევთხოვ განგებას:  
გვალალოს, გვალხინოს, გვამყოფოს შვებით...

## უსმინე, ამ გულის ძვრას...

ეგ, მზერა მათრობს და როდემდე ვხვალობდეთ?..  
უსმინე ამ გულის ძვრას...  
მსურს ერთად ვიყოთ და სიცოცხლით ვხარობდეთ,  
სხვას, რას ვინატრებდი, რას?!


## ვერარა გავნებთო...

მზით გაბრწყინებული ფუმფულა ღრუბლები,  
ფიქრს მიადვილებენ დაისის დროს...  
და... იცი? რას ამბობს, სულ, ყველა, უკლებლივ, —  
ვერარა გავნებთო თქვენ: ერთად, — ორს...



ლადო გუდიაშვილი,  
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია





## გარი ზურაბიშვილი

გარი ზურაბიშვილი (შახკულოვი) დაიბადა 1937 წელს, ქალაქ თელავში. დაამთავრა თელავის III საშუალო სკოლა. მსახურობდა თელავის სამხედრო ნაწილში.



### მიყვარს

მიყვარს მდინარე, როცა ხმაურობს,  
ვით გისოსებში — ვეფხვი მძვინვარე,  
მთებზე ნისლეები წამოჩოქილან  
და შესცქერიან მაღალ მყინვარებს.

მიყვარს ჯიხვები მთების წვერისკენ,  
ფეხის ბაკუნით ჯგროდ რომ მიდიან,  
მიყვარს სხივები, — მთებზე გაკრული,  
მიყვარს ირმები, როცა ყვირიან.

მიყვარს — კლდეებზე მიხუტებული,  
არწივთა ბუდე რომ სჩანს პანიად,  
საკინძმეკრულ მთების დიდ ბეჭებს,  
როცა ხავერდის ჩოხა აცვიათ.

### გარდასულ დღეთა მოგონებები

კუმეტი ღამე, მუნჯივით რომ სთვლემს,  
ის ელოდება დილის ალიონს,  
გაგუზგუზებულ ბუხართან პაპა,  
მეჩვენება, რომ ქაჩავს ყალიონს.

გარდასულ დღეთა მოგონებები —  
ნაღვერდალივით, ტვინში ღვივდება,  
თუთუნის ბოლში, ფიქრი-ფიქრს მისდევს  
და ის არავის არ ავინყდება.

ბუხრის ტრფიალი, ახლა, მეც გავხდი,  
ცეცხლის ტკაცუნი წარსულს მაგონებს,  
ბუხრის თავზე დევს პაპის ჩიბუხი,  
მეჩვენება, რომ იკრებს ძალ-ღონეს.





გვანცა ქეშიკაშვილი



ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი... გამიზონია

ისევ ოთახი. ცივი კედლები... ლაბირინთი...  
 გარეთ შეშლილი სამყარო. წარსულის აჩრდილები... დამასვენებ ოდესმე?  
 ასეთია განაჩენი... მეტსაც არ ველი... განა გარანტირებული აქვს ადამიანს რაიმე? მხოლოდ სიკვდილია  
 გარდაუვალი... სიკვდილიც არის და სიკვდილიც, — ვისთვის შვებაა, ვისთვის კი...  
 როდემდის?... არ ვიცი. ფიქრები უმონყალოდ შემომხვევია, მარწუხებივით მიჭერს, გასაქანს არ მაძლევს  
 ნათელი სხივი დავინახო. თითქოს ჩამოხნულდა, ჩამუქდა დღეცა და ღამეც. აღარც ვარსკვლავებია ცაზე...  
 შეამჩნიე? აღარც მზე იცინის.  
 რა ხანია ჩიტების ჭიკჭიკიც აღარ გამიგონია... დაზამთრდა... სულშიც დაზამთრდა.  
 სული დამიმძიმდა... სული!  
 ეშველება კი?..  
 ყველაფერს თავისი დრო აქვსო, ნათელიც თავისი დროით მოვაო... მოვა, კი?..  
 თითქოს მთელი სამყაროს ტკივილი, სიმძიმე ჩემზეა გადმოსული... ხოდა, მეც ველარ მივათრევე, ვერა...  
 მხოლოდ ერთს ვევედრები ღმერთს, — წყნარი „კელია“, სიმშვიდე.  
 ხო. ხო... გვირილებით დაფარული მინდორი. იცი, ჩავნებოდი შიგ და იქნებ სამუდამო ძილსაც მივცემოდი.  
 ადამიანი ტანჯვისთვის არის გაჩენილი... გამიგონია.

შენით იწყება

ცხოვრება თავიდან რომ დამეწყო ჩმეთვის საყვარელ ადამიანებს ყოველდღე ვეტყოდი, რომ ისინი  
 ძალიან მიყვარს, რომ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არიან და ხელს არ გავუშვებდი, რათა ისინი არ  
 დამეკარგა.  
 გულს გავუთბობდი, სულს ავუფლერებდი, ოცნებებით მოვატარებდი ცასა და მიწას. ფრთებით  
 შემოვავრდები ულამაზეს ადგილებს. ზღვებსა და ოკეანეებს ფეხით შემოვავტარებდი. ყოველ განთიადს  
 ჩიტების ჭიკჭიკით დავატკობდი. გვირილებით დაფარულ მინდორში ჩავანვენდი, რათა ცა უფრო კარგად  
 დაენახათ.  
 ყველა გამვლელსა თუ გამომვლელს მზის სხივებს ვაჩუქებდი, რათა მათი სევდიანი, უძირო თვალები  
 გაბრწყინებულიყო.  
 სამყაროს ფეხით შემოვავტარებდი. ყველა ტაძართან უფალს მათ თავს შევავედრებდი. სანთლად  
 დავენთებოდი და უსასრულოდ ვიციმციმებდი.  
 ვეტყოდი, ეცხოვრათ ყოველი წამით და წუთით, რადგან არავინ იცის ხვალისდელი დღე რას მოგვიტანს.  
 იქნებ ეს უკანასკნელი წამია?  
 და ასე სიყვარულში ჩამდნარი თავადაც სიყვარულის ნაწილი გავხდებოდი და ვიციმციმებდი უსასრულოდ.  
 ერთად შევკონავდი ყველა სიკეთეს, მერე მთის წვერზე ავიტანდი და მთელ სამყაროს მოეფინებოდა  
 სიკეთის სხივი.  
 ხელისგულზე დილის ნამს შევაქუჩებდი და ადამიანებს სახეებს ჩამოვბანდი, რათა თვალები აეხილათ,  
 ხელი შეეხათ მინდვრის ყვავილებისთვის, მათი სურნელი შეეგრძნოთ და გულს რიტმული ჰარმონიით ეძგერა.  
 სათითაოდ მოვასმენინებდი საგალობლებს, რათა მათი გონება გაბრწყინებულიყო და უფლის წყალობა არ  
 მოჰკლებოდათ.  
 ყველას გულის კარს გავუხსნიდი, იქიდან ბოროტებას გავდევნიდი და სიკეთეს, სიყვარულს ჩავუსახლებდი.  
 მერე ავიდოდი ყველაზე მაღალ ადგილას, გადმოვხედავდი სამყაროს და დავტკებოდი გაბრწყინებული,  
 გალალბებული გულებით, გაცისკროვნებული სახეებით.  
 ადამიანებს ყოველდღე ვეტყოდი, რომ მე ისინი ძალიან მიყვარს. შევახსენებდი, არ დაეშურებინათ  
 ერთმანეთისთვის ჯადოსნური სიტყვები: „მომიტყვეთ“, „ვნუხვარ“, „მჭირდებით“, „მიყვარხართ“.  
 მხოლოდ ფიქრისთვის არავინ შეგიყვარებს, ნაფიქრი რეალობად უნდა აქციო. ადამიანებს აგრძნობინე  
 თუ რაოდენ საჭირონი არიან ისინი შენთვის. ამით დღევანდელი გუშინდელზე უკეთესი გახდება, ხვალისდელი  
 კი დღევანდელზე ლამაზი იქნება.  
 მოასწარი ამის თქმა, რათა შენი ოცნებების ახდენა დაიწყოს.





რომან ზუკაკიშვილი

რომან ზუკაკიშვილი დაიბადა 1959 წლის 31 ივლისს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელში. წარჩინებით დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა პატარძელის საშუალო სკოლის დირექტორად. ამჟამად მუშაობს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირების საგარეჯოს რაიორგანიზაციის თავმჯდომარედ.

არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიის ლაურეატი და „ღირსების ორდენის“ კავალერი.

რომან ზუკაკიშვილი არის 10 პოეტური კრებულის ავტორი და 100-მდე სიმღერის თანაავტორი.



გოგლა

გოგლა, სულო კრიალა, გულო — თბილო ლადარო,  
საქართველოს ტრფიალში სანთელივით დამდნარო,  
შენი სიტყვა, მაძლარი, ბედაური ცხენია,  
შუქი არის ცისკრისა, მთებს რომ გადაჰფენია;  
ხანძარია იების, გაჩენილი ტყის პირას,  
შენს ლექსებში თვით ღმერთმა სიხარულით იტირა.  
შენი სიტყვა ჭავლია, ივრის ტალღის ერთგული,  
დედაბოძი მუხისა, მშობლიურ ჭერს შედგმული,  
ვაზი გამრჯე კაცისგან, მოვლილ-ნაამაგარი,  
უნმინდესი ზედაშე, გულის ქვევრში ჩამტკბარი,  
სიტყვა, როგორც მიმინო, სასწაულთა მდევარი,  
ოქროსფერი თავთუხი, ქარვისფერი მტევანი.  
სიტყვა არის ხან ხმალი, ხან — აბჯარი, თორი და...  
ცხელი დედას პურია, ამოხდილი თონიდან,  
დედოზარის გუგუნი, მყვირალობა ნუშების...  
სიტყვავე, ერთხელ გულდაჭრილს სისხლად აღარ უშრები...  
შენთან პაემანის დრო გათავდება აროდეს...  
ფუძე უნდა მტკიცობდეს, ჭერი უნდა ხარობდეს,  
სიტყვა, როგორც მერცხალი, ნავარდობს, ფრთებს მარად შლის,  
საქართველოს თამადავ, გვინვევ ლექსის მარანში.  
შენ — ღიმილის რაინდო, თავმდაბლობ და ხმამაღლობ;  
არის აუნონავი შენი სიტყვის ბაჯაღლო;  
გოგლა, სულო მწვერვალო, გულო — ტრფობის მადანო,  
საქართველოს ტაძარში წმინდა სანთლად დამდნარო!

საქართველო

საქართველო — ვეფხვის ტყავში გახვეული ზღაპარი,  
ბრდღვიალა მზე, ჩვენს მთა-ბარში უკვდავებად ჩამტკბარი,  
საქართველო მე ვარ, შენ ხარ, საქართველო ის არი,  
ვისიცაა საქართველო ნაღდად დასაფიცარი.  
...ხან თვალები დამთხარეს და ხანაც ძელზე გამკიდეს,  
ო, რამდენჯერ უცხოეთში მასთან ერთად გამყიდეს,  
სიკეთისთვის მკლავიც მომჭრეს, შემეგინეს ტაძარი  
და ვაი, რომ ნაავკაცარს ერქვა ნამამაცარი.  
წინამურთან მზე ჩამიქრეს, როგორც წმინდა სანთელი,  
და განწირულს ქართველისგან დამტიროდა ქართველი.  
თავად მე ვარ საქართველო, შენა ხარ და ის არი,  
ვინც მის წილ ჭირს მიუშვირა თავის გულის ფიცარი.





და ხელიდან ხელში წმინდა დროშად გადასაცემი —  
 საქართველო სიცოცხლეა, ჩვენგან გადასარჩენი.  
 რაც კი გაჩნდა, იმის მერე ბრძოლაშია მარადის,  
 სიმართლე აქვს ხმლად და ფარად, აგრემც ღმერთი ჰფარავდეს...  
 მარად ჩვენი სალოცავი საქართველო ერთია,  
 საქართველო სიყვარულის და სიცოცხლის ღმერთია!  
 შენც ერთი ხარ სხვებთან ერთად, ნაღდი, განა სიზმარი,  
 საქართველო შენ ხარ, მე ვარ, საქართველო ის არი!..

\* \* \*

მწვერვალზე დგახარ და არ გახსოვს სხვა არაფერი,  
 დამდგარა ახლაც ჟამი ლოცვის და აღმაფრენის,  
 თვით უფალს ხედავ, ეს წუთი კი ათას წლებს უდრის,  
 გფარავდეს მცხეთა — საქართველოს ნამუსის ქუდი.  
 ...ხმაურობს სისხლი, მზედ ბრწყინვალეებს წვეთი ყოველი,  
 სიყვარულს გვიხსნის უკვდავების სვეტიცხოველი.

### სამშობლო

ეს სიყვარულზე მეტია, ეს სიცოცხლეზეც მეტია,  
 სამყარო არის ტაძარი, სამშობლო ნათლის სვეტია,  
 ცხოვრება ოკეანეა,  
 ჩემი სიცოცხლე წვეთია,  
 დულს და გადმოდულს გრძნობები,  
 რაც გულში არ დამეტია...  
 კი არ ვთქვი, სანთლად დავანთე,  
 რაც სიტყვა გამიბეღია,  
 სამშობლო ჩემი გზაა და  
 თანდაყოლილი ბეღია.

\* \* \*

შენი წასვლა — მყინვარი, გამოჩენა — ხანძარი.  
 დამნაშავე ვინ არი ან საშველი სად არი?!  
 გაიღიმე? — მზე ბრწყინავს, მოიწყინე? — ჯანღია.  
 გული მისთვის მეტკინა, შენზე ფიქრმა დახია.  
 მე ჩრდილი არ მშორდება, შენ თან დაგდევს სხივი მზის,  
 ...მაგრამ ღირდა ცხოვრება შენი ერთი ხილვისთვის!

\* \* \*

დუმილის ბჭენი შემიღენია,  
 მკერდს მამჩნევია მზე — სისხლის წვეთი.  
 ეს გაზაფხული ჩემი ლექსია,  
 გიძღვნი და მიხვდი, თუ როგორ გეტრფი.  
 შემოფრთხილდნენ სულში მერცხლები,  
 გახსოვარ, ქარო, ველად გაჭრილო?  
 გპოვე და მაინც უნდა გეძებო,  
 რომ კიდევ ბევრჯერ აღმოგაჩინო.  
 შემოგენთება ახლა ცა თითქოს,  
 როგორც გარდასულ სულთა სინათლე.  
 ოლონდაც შენმა ტალღამ წამილოს  
 და გაღმა ნაპირს აღარც ვინატრებ.  
 სუყველა დღესთან გულს მთელს მივიტან  
 და მოლოდინით, მინდა, ვღელავდე  
 შენზე ფიქრების თავსხმა წვიმიდან —  
 შენი ღმილის ცისარტყელამდე.





## გალაკტიონი

მთანმინდის მთვარე გეჭირა ყანნად,  
 უსასრულობას ღამისას სვამდი...  
 შენ მარტოობის ნუხილმა დაგწვა,  
 შენ — ტანჯული და მართალი ცამდი.  
 სანთლად დაინთე მერის თვალები,  
 მისი სიშორით დატკბი, ამაღლდი  
 და ნიკორწმინდას როცა აქებდი,  
 იყავ მასავით დიდი, ამაყი.  
 ვერვინ გაიგებს შენს უთქმელ ნალველს  
 (ზოგი ვერც მას, რაც ლექსად გაბრწყინდა),  
 კი არ დაეცი, ღმერთისკენ ნახველ,  
 გადაერიე ოდეს სარკმლიდან.

## სინანულის დღე

ბაღში ცისკარი ისე წყნარია,  
 ვით იყო წყნარი ოდესღაც ჩვენთვის;  
 მოდიან ორნი და უხარიათ,  
 რომ ერთმანეთის გვერდით არიან...  
 წლები კი უღვთოდ მიიჩქარიან,  
 შენ შორით მწვავ და აღარ ნელდები,  
 ჩემი მზე უკვე თუ ჩამქრალია,  
 მაშ ისევ რატომ მეიმედები?...  
 რა ბედნიერნი არიან ახლა —  
 ერთად ყოფნისას ვერც გრძნობენ, ისე;  
 ბალი მათ ლანდებს შემოინახავს  
 და მათ ჩურჩულსაც ხშირად მოისმენს...  
 შენ დაიფარე, ღმერთო, ისინი,  
 დე, დაებედოთ სულ ერთად ყოფნა.  
 ნუ გაუთენებ ქართა სისინით  
 სინანულის დღეს, ეს მეც მეყოფა...

## ღალორჯა

ღმერთო, არ მაჩვენო:  
 სახლი გამოცარიელებული,  
 სახე — „გამოსერიალებული“,  
 ვაზი — დასეტყვილი,  
 კაცი — შებერტყილი,  
 ერი — გახარებულნი,  
 მტერი — გახარებულნი,  
 ნამუსი — გარეცხილი,  
 მამული — დამეწყრილი,  
 მოძმე — გაყიდული,  
 მონმე — მოსყიდული,  
 გუთანი — ჩაჟანგებული,  
 ბუხარი — ჩანაცრებული,  
 ენა — გადაგვარებული,  
 რწმენა — ფეხქვეშაგებული,  
 არამედ, ღმერთო, შენის მადლით:  
 არვის შიოდეს, არვის სტკიოდეს,  
 და ყველა სახლიდან, ყველა გულიდან  
 „მრავალჟამიერის“ ხმა გამოდიოდეს!

## ქაოს

შენ ილიმი და ქრება დღე ნისლიანი,  
 სადაც კი ხარ, იქ უფალიც არის ახლოს,  
 ყველა ქალი დედოფლობის ღირსი არის,  
 თუ ნიჭი გვაქვს — მისი ხიბლი დავინახოთ.  
 ოცნებებით მეცხრე ცასაც შესწვდები და  
 შენი ფიქრით მორთულია ველ-მინდვრები.  
 სინათლე ხარ გადმოსული ფრესკებიდან,  
 მზე ხარ სიყვარულისა და შენით ვდნებით.  
 უჩვეულო ბედისწერა მოგვიტანე,  
 გულს გვწვავ და თან სულს ტკივილი უამდება.  
 შენს თვალებში დავიანა ოდითგანვე  
 ყველა ლექსის და სიმღერის ჟრუანტელმა.  
 ძიება ხარ სასწაულის, სივრცე და დრო,  
 გაზაფხულის თან დაგყვება მუდამ დარი.  
 რა ხოტბა ან საჩუქარი შემოგკადრო,  
 თვითონ შენ ხარ ამ სამყაროს საჩუქარი!

\* \* \*

შენს თავს მივანდობ ქედებს  
 და ერთ ანკარა წყაროს,  
 ჩემი სიზმარი გეძებს,  
 ვერ გპოულობს და წვალობს.  
 შენ კი იცინი თბილად  
 და სულ არაფერს ითხოვ,  
 მოოქროვილი დილა  
 გვირგვინად გადგას თითქო,  
 ვიცი, მიხვდი და შეკრთი,  
 ქარით რომ გიძღვნი ამბოროს,  
 ფიქრით ვეხები შენს ფიქრს  
 და მეტს ვერაფერს ვამბობ.

## ახალი მუხამზაზი

ეგ თვალეები თავგზას ვის არ უბნევენ,  
 ეს სიმღერა შენს სულს სად არ უხსნია?...  
 თან დამდევენ ჩემი ყრმობის უბნები,  
 რომ მაშორონ ამინდს, ცივს და სუსხიანს.  
 მზე, სხივდასხივ, გვირილების ფურცლებად,  
 დაბნეულა ჩემი ნატვრის სიმძაფრით.  
 სიხარულის ახალ გრიგალს ვუძღვებ და  
 მერამდენედ შემეყვარდი, ვინ დათვლის!  
 ბრონეულის ნაწვიმარი ყვავილი —  
 ერთი ხატი ვარსკვლავთცვენის ღამიდან,  
 უჩვეულო ჟრჟოლა თუკი გამივლის,  
 შენი მზერის გაზაფხულში რა მინდა?!  
 თუმცა ჩემთვის ერთი სიტყვაც გებევრა,  
 მაინც ჩემზე დარდებს ველარ გადურჩი...  
 ჩაიარა ყველა მატარებელმა,  
 მე კი დავრჩი სიყვარულის სადგურში.

## თებერვალი დადგაო...

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო...“  
 ენძელების სიზმრები თავზე დამებარდნაო,  
 ცის მანდილი დაეშვა, შეწყდა ბრძოლა ქართაო,  
 გაზაფხულის ფეხის ხმა შემომესმა მართლაო.



ვილაც ისევ ჩამოგვრჩა, ვილაც შეგვემატაო,  
 რალაც მივიწყებული ისევ გამიხარდაო,  
 უცნაური ნაღველი გულზე შემომადნაო,  
 დღეა ისე სპეტაკი, როგორც უფლის კალთაო;  
 „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო...“  
 ყველაფერი დადნება სიყვარულის გარდაო...

\*\*\*

იქით იმერია,  
 აქეთ ამერია,  
 სადღაც მიმელიან,  
 თავგზა ამერია;  
 ვარდის დარებია,  
 ნამის ღვარებია,  
 შენი თვალებია,  
 მე რომ მყვარებია;  
 მზესთან ცისკარია,  
 შენთან მიხარია,  
 შენზე ფიქრებია,  
 რომ ვერ მიქრებთან;  
 გნამდეს — გევედრები,  
 ბედს არ ჩაუვლია,  
 შენთან შეხვედრები დღესასწაულია.  
 გული არ ილღება,  
 ტრფობა ხალისია, შენი გაღიმება  
 ჩემი მაისია...  
 დღეს რომ სიტყვას ვიტყვი,  
 ბევრჯერ ნამღერია,  
 თავად სიყვარული  
 შენი სახელია...

\*\*\*  
 რად ამირიე გზა-კვალი,  
 დამცხრალი მქონდა იარა;  
 შენ მზე ხარ ამომავალი,  
 უბრალო ქალი კი არა.  
 ბარემ დამბუგე, გადამწვი,  
 დამიშრე ვნების ფიალა...  
 ოლონდ თქვან: „მოკლა ეს კაცი  
 ერთი დედოფლის ტრფიალმა!“

\*\*\*

ისევ შიშით მიცემს გული,  
 მაგრამ სხვა რა ვინატრო გზა?  
 დნება ზეცა მენამული —  
 საქართველოს წინათგრძობა.  
 გაქრა ფიქრი წინნასული  
 და ყვარლის მთებს დაესიზმრათ:  
 დაჩოქილი წინამური —  
 შეძახილი ვაებისა.  
 ის დღე არის მუდამ ახლოს,  
 ბენვის ხიდს ჰგავს ოცნების გზა;  
 წინამური რაკი გვახსოვს,  
 ესე იგი, ცოცხლები ვართ...  
 მერამდენედ დავრჩი ობლად,  
 თუმც ტრფობისთვის მტრობას ვუძლებ,  
 არც მზე ცხრება, არც ქრილობა,  
 საქართველოს ნათელ შუბლზე.



მამუკა თავაქარაშვილი (XVII ს.)  
 „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია





ეკა ჯავახიშვილი



იები

ეს გაზაფხული დადგა — უშენოდ,  
აყვავებულა ბაღში შვინდები,  
გავცქერი შარას და შენ არ იცი,  
რომ მე, უშენოდ, ვერ დავმშვიდდები.

ვინ შემადარებს მზის პირველ სხივებს,  
ან, ვინ მომიკრეფს ატმების რტოებს,  
ან, ვინ მაჩუქებს ულევ სიხარულს,  
როცა ფიქრები დამიმარტოვებს.

როცა ამინენს თმებს ცელქი სიო,  
შენი ალერსი მგონია, რატომ,  
ან, მთვარის შუქზე, რად ვიცი ფიქრი,  
მინდა, რომ ყველამ იცოდეს, — გნატრობ.

ჩემს ნაცრემლარზე იები კვენისის,  
მათაც ვუყვარვარ, — ჩემკენ ილტვიან...  
და... რომ მიყვარხარ და... რომ გიმღერი,  
ყოველ განთიადს, მათ არ იციან.

ნაზი იები — სიყვარულია  
და სიყვარული — ცრემლებზე ჰყვავის,  
არ შეგიძლია, ისე, გიყვარდე,  
როგორც — ვუყვარვარ: ქარსა და ყვავილს?

ლექსი

ვწერ ლექსებს, ჰგვანან, ჯერ კიდევ,  
ცაში ასაფრენ ბახალებს,  
მასში ჩანს, თუ რამ მენყინა  
და ისიც, თუ, რა, მახარებს.

ლექსია ჩემი სიმდიდრე  
და სიღარიბეც ის არი,  
მე — მოზიდული მშვილდი ვარ,  
ლექსი — ნატყორცნი ისარი.

მთვარე

ახლა, შესცურავს სულში ფიქრები,  
ააფრიალებს ცისფერ იალქნებს,  
ყოველ საღამოს, მთვარის გამოსვლა —  
ასე, ნეტავ, რად მაფორიაქებს?

ო, ფიქრი, ფიქრი — მოუსვენარი,  
ვგრძნობ, რომ გონების გახდა თავადი,  
მთვარევ, ამ ღამით, ნულარ გამოხვალ,  
თორემ, ხომ ხედავ? — დავდნი, გავთავდი.

შემომეხვიე — სათუთ სხეულზე  
და ჩავინთქმები სადღაც, უძიროდ,  
თუმცა, — მანამებ და მაინც, მინდა —  
შენს ელვარებას მუდამ ვუცქირო.

დაუცინყარი

ახლა, გაიხდის შუადღე კაბას,  
ზღვაში შეცურავს ნაქეიფარი,  
სიბრწყინვალეთი ვინ შეედრება,  
რომელი — მეფე და კეისარი!..

ო, რა ლამაზი იყო საღამო  
და მოცურავე შუადღე ზღვაში...  
რომ შემძლებოდა, იმ ლამაზ ნუთებს  
გამოვსახავდი ზურმუხტის ქვაში.

რა მომხიბვლელი იყო — ბუნება,  
სიო დაქროდა, — გრძნობით აღვსილი,  
ამ ულამაზეს ნუთების შემდეგ,  
როგორ დავარქვა ამ დროს: განვლილი?..

დედოფლისწყარო

შირაქის ველი გიდგია ტახტად,  
დედოფალივით ზიხარ, ქალაქო,  
შენი წარსული გიდევს მუხლებზე,  
რამდენი რამ გაქვს სალაპარაკო.

წმინდა ელია გლოცავს, მარადის  
და სილამაზეს შენი მთებისას,  
ისევ, უმზერის ხორნაბუჯიდან,  
თვალეები დიდი თამარ მეფისა.

აქ, ოდითგანვე, ჩქეფდა სიცოცხლე,  
დღეს კი, ხვედრისგან, ცოტათი მწყრალი,  
გულს ნუ გაიტეხ, შენს ძარღვებში, ხომ,  
ხმაურობს დიდი დედოფლის წყარო.





ადამ ალვანელი (ბობლიაშვილი)

38



ადამ ბობლიაშვილი დაიბადა 1912 წლის 28 მაისს ზემო ალვანში. ბობლიაშვილები წოვა მთაში ცხოვრობდნენ, სოფელ ინდურთაში. იქ დაიბადა ადამის მამაც — იასონ ბობლიაშვილი — პედაგოგი. სოფელმა მას „ბუნტოვჩიკი“ შეარქვა, რის გამოც ხშირად აპატიმრებდნენ. 1905 წელს იასონი პარიზში ჩავიდა და თანამზრახველებთან ერთად ზუბალაშვილის თანხით საქართველოში იარაღი ჩამოიტანა.

ადამის დედა — მარიამ ჭყოშიშვილი მდიდარი ოჯახის შვილი ყოფილა, გონიერი, ლაზათიანი ქალი.

ადამმა შეიძწლელი თელავში, ნადიკვართან არსებულ სკოლაში დაამთავრა. მე-8 კლასში მისთვის ყველაზე საყვარელმა ქართულის მასწავლებელმა ნინო ყაზარაშვილმა მოსწავლეებს „გლახის ნაამბობი“ დაადგმევინა. სპექტაკლში დათიკოს როლს ადამი ასრულებდა. მე-9 კლასში იყო, როდესაც თელავის თეატრში შეასრულა რამდენიმე როლი.

ადამი მერვე კლასიდან თელავის პირველ საშუალო სკოლაში გადავიდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ 1931-1935 წლებში სწავლობდა ერევნის ვეტერინარულ ინსტიტუტში. ადამი 1935 წელს საქართველოში დაბრუნდა და 1937 წლამდე მუშაობდა ხევსურეთში — ბარისახოში, ზემო სვანეთში, შირაქის მომთაბარე მედპუნქტში ექიმად. 1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა. მან და მისმა მეგობარმა მიხეილ იმედიძემ შექმნეს ანტისაბჭოური ორგანიზაცია „სამანი“, რომელიც იმიფრებოდა ასე — „საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები“.

შეთქმულება 1941 წელს გასცეს და 17 სტუდენტი დახვრიტეს. ადამ ბობლიაშვილმა და იმედიძემ გაქცევა მოასწრეს და თავი ჯერ კახეთს, შემდეგ კი თუშეთს შეაფარეს. მათ მიზნად ჰქონდათ ჩეჩნური და ინგუშური ანტისაბჭოთა პარტიების შემოკრება და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. 1944 წელს მათი ადგილსამყოფელი ვილაცამ გასცა. შეთქმულთა წინააღმდეგ სამი ასეული გაიგზავნა. ახალგაზრდების რაზმმა სოფელ დოჭუდან გაქცევა მოასწრო, მაგრამ „თორღვას აბანოებთან“ უთანასწორო ბრძოლაში დაიხოცნენ. რაზმის მეთაურებს — იმედიძეს, ბობლიაშვილს და თავბერძეს თავები მოჰკვეთეს, თუშ პოეტს არჩილ კიტოშვილს აჰკიდეს და სოფელ ხისოდან ომალოში ჩაატანინეს. ახალგაზრდა პატრიოტთა სხეულები იმდენ ხანს ეყარა მიწაზე, სანამ არ გაიხრწნა. მერე ერთ თუშს, ბობლიაშვილის დედისთვის, პოეტის ერთი ძვალი ჩამოუტანია და უბედურ დედას მალულად დაუმარხავს ეზოში.

პატრიოტი, სამშობლოსათვის გულანთებული მამულიშვილი ადამ ალვანელი (ბობლიაშვილი) იყო უნიჭიერესი, კარგი მომავლის მქონე მწერალი. სასწაულად შემორჩენილი მისი ლექსები და მოთხრობები ამის ნათელი დადასტურებაა. „ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ ადამ ალვანელის მრავალმხრივ საინტერესო მოთხრობას „სიკვდილი კაკლიანში“.

სიკვდილი კაკლიანში

ბინდებოდა, როცა თუშების რაზმმა ალვანის კაკლიანს მიაღწია.

ეს მიდამო დავაკებდად განოლილა ალაზნის მარცხენა კიდეზე და იმ დროს ატეხილი ჭალითა და უზარმაზარი ხეებით ყოფილა აქოჩრილი. ჭალაში — ოდესღაც თეთრი, ახლა კი წვიმისაგან ჩამორეცხილი, თითქოს გავერანებული — ეკლესია მოჩანს. ეკლესიის აღმოსავლეთით კაკლიანი უფრო ხშირდება და თაღებად შეკრული მოშორებით მდებარე სასახლის ნანგრევებამდის მისდევს.

მგზავრებმა ამ ტევრისაკენ აიღეს მიმართულება. მიდიოდნენ ნელა, სრული დუმილით, ზოგი ცხენით, ზოგი ჯორით, უმრავლესობა კი — ფეხით. ერთი ჯორი შუაში ჩაეყენებინათ და ორ კაცს დიდი სიფრთხილით მიჰყავდა. ჯორს მარცხენა მხარეს ცალად შეკრული რბილი ტვირთი ეკიდა. მარჯვნივ კი ორ დიდ „ქოკრზე“ საკმაოდ ფართო ლასტი დაემარგებინათ და ნაბადი გადაეხურათ.

ლასტზე დაჭრილი ინვა.

როცა ეკლესიას და ნანგრევებს შორის ხშირ კაკლიანს მიადგნენ, წინამძღოლმა ჯორი შეაჩერა.

— აქ ვათიოთ ღამე, უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვით, შემაც ბლომადა და ბალახიც!

ცხენოსნები დაქვეითდნენ. — ყველაზე უფრო მსხვილი კაკლის ქვეშ მიაქუჩეს ჯორები და ყველა

მდუმარედ, შეთანხმებულად შეუდგა საქმეს, რამდენიმე მათგანი შეშის მოსაგროვებლად წავიდა. როცა ყველა ჯორი ჩამოაბარგეს, დაჭრილ მარტო მაშინ მიუბრუნდნენ. ის ლასტიანად მოხსნეს და ფრთხილად დაუშვეს მიწაზე. მეორე მხარეს ნაკიდი რბილი ბარგიც საკვირველი მზრუნველობით მოათავსეს იქვე.

ჯორები საბალახოდ მიუშვეს. ბარგი ხის ძირთან მიაღაგეს. ამასობაში ცეცხლიც დაინთო და ყველაფერი უფრო აშკარად გამოჩნდა. სახეებს ძველებური ხალისი და სითამამე აღარ ემჩნეოდა. ყველა მოქანცულივით ზანტად მოძრაობდა და, თითქოს მეორეზე გამწყრალი, ლაპარაკს ერიდებოდა. დაქრულულ წარბებიდან ჩამოშვებული გრძელი ბენვები წამწამებში იხლართებოდნენ და ბოლმისაგან დაბინდულ თვალებს უფრო აბნელებდნენ. ათიოდე მეომარს თავები ისე ჰქონდათ შეხვეული, რომ მარტო თვალები, ცხვირი და პირი უჩანდათ. ხუთს კი — ზოგს მარჯვენა, ზოგსაც მარცხენა ხელი კისერზე რომ ჩამოეკიდათ ცეცხლის ირგვლივ ჩაიმუხლეს. დაღლილი სახსარი ცხელ მიწას ჩაეკეცა. იდგა ნესტოების ქშენა და გაგორებული ჯორების კმაყოფილი ფრუტუნი.

ალაზანი შრიალებდა მკერდგამლით. შორს, სადღაც, მშვიერი ტურა შესჩხაოდა ღამეს. ჭოტის ძახი-



ლი გასდევდა ფრთამალ ნიავს და იქაურობას რაღაც ზღაპრულ ელფერს აძლევდა.

— ქავთარ!.. – გაეხმაურა ბერო ფერგამკრთალ სიბნელეს კაკლის ქვეშ, – დაჭრილი რას შერება? – მგონია, ჩაეძინა.

ტურის ჩხავილი, ჭოტის ძახილი და ხის კენწეროებზე ფრთავაშლილი ღამე. ცეცხლის გუგუნის და ცეცხლის ირგვლივ სამარისებური მყუდროება. დუმილი, დუმილი და შავი ღამე, ყორნის ფრთასავით შავი.

ბერომ ისევ სიბნელეში შეიხედა.

— ლაგაზ, ცალი გახსენი, თორო აყროლდებოდა, თქვენ კი, ვაჟებო, ჭრილობებს მოუარეთ, მალამო დაადეთ!

ლაგაზამ რამდენიმე ნაბიჯზე მდებარე რბილ ცალს ხელი გაავლო და ცეცხლისაკენ მოითრია. სისხლით დათხვრილ ცალს ჩათოები ფრთხილად შეხსნა, თითქო ეშინია, ბარგს რამე ზიანი არ მიაყენოსო. ირგვლივ შემოხვეული ნაბადი შემოაცალა და ორი დიდი ხურჯინი დარჩა ცეცხლის პირას. ხურჯინის ქვედა კუთხეებს ფეხები დაადგა, ორივე ხელი შიგ ჩაუშვა და ჯერ კაცის გასისხლიანებული თავი გამოჩნდა რამდენიმე ჭრილობით, შემდეგ კი შუაზე გაკვეთილი მკერდი.

— კაკლის ტოტზე დაჰკიდე!.. – დინჯი კილოთი უბრძანა ბერომ.

ჭაბუკმა თუშმა ბრძანება ზუსტად შეასრულა და ორი მეომრის გამოშიგნული, ნელში გადატეხილი ლეში კაკალზე დასტოვა ღამესთან.

— სიფრთხილე გმართებს, ბალო, ღამის ფრინველმა ან ტყის კატამ არაფერი ავნოს. – გააფრთხილა ბელადმა „ბალო“ და ცეცხლის ირგვლივ ისევ დუმილი ჩადგა. დაჭრილის თავთან მუხლებზე ჩამჯდარ დილოიძეს ფიქრჩაკეცილი შავი თვალები შავი ნაბდისათვის მიეშტერებინა, ფეხებთან მოკეცილი ქავთარი კი ღამეს ბურღავდა, ნესტოებს ათამამებდა და რაღაცას ჰკვირობდა.

ნაბადი ოდნავ შეირხა. ქავთარმა თვალები ღამიდან დაჭრილისაკენ წამოიღო.

— გაიღვიდა? – ჩურჩულით შეეკითხა დილოიძეს. – სსს, იყურე.

პირზე გადაფარებულ ნაბადს ფრთხილად გადასწია. დაჭრილს შუბლი და კეფა შეხვეული ჰქონდა. გაყვითლებულ სახის კანს სიცოცხლისა აღარაფერი ემჩნეოდა. თვალები დაეხუჭა. სუსტად სუნთქავდა. ქალღღვივით გათეთრებული ტურები თრთოდნენ, თითქო რაღაცის თქმა უნდათო. ერთხელ პირიც გახსნა, მაგრამ სუსტი ხრიალის მეტი არაფერი მოისმა.

დილოიძემ ყური დაჭრილს მიუახლოვა და სმენად გადაიქცა. ავადმყოფი მთელი ტანით შეინძრა, სახის უსიცოცხლო კანი დაეჭიმა, აუთამაშდა, ნესტოები უფრო დაებერნენ და ყელს გაურკვეველი ხრიალი მოაწვა. ქუთუთოებმა ნელა აინიეს ნარბეისაკენ, ჩამქრალი თვალები უმოძრაოდ მიაშტერდნენ დილოიძეს და ტურებმა ნაწყვეტად ამოიხრიალა:

— წყალი, – დასასრული ისევ ყელში ჩაკვდა, თვალები ისევ დაიხურა.

დილოიძემ მხრიდან მათარა მოიგდო, პატარა კოვზზე ნითელი ღვინო დაასხა და ტურებთან მიუტანა. დაჭრილმა კბილები ძლივს მოაშორა ერთმანეთს, სასმელი გაჭირვებით გადაყლაპა, თითქო დამშვიდდა, სხეულის ნაკვთები აღარ ინძრეოდა და სუსტ სუნთქვასლა შეატყობდა კაცი. დაჭრილს არაფერი ესმოდა გარე სამყაროსი. ის ბურანში შეცურებულიყო, ტკბილ ბურანში;

რა კარგია, რა ღამაში. აი, თუშეთის ხავერდით გადაფენილი მიდამო. ინდურთა, პატარა ხევის ყურეში შეშენებული სოფელი. სიპი ქვით დახურული სახლების ქვევით, ორ ალაზანს შუა, სამი დიდი ციხე

— უუუ უჰ!.. – უკვირს ბალოს, – მაგრე დიდები ვინ ააგო, ნან? – ეკითხება ვინრო აივანზე წინდის ქსოვაში გართულ შავ მანდილოსანს.

ეგ დედაა ბალოს. დედას ბალო უყვარს და მისი ტიტინი ეამება.

— ის ციხეები რატო ისე დიდებია, ნან?! – არ ისვენებს პატარა და ჭუჭყიან თითს ქვევით იშვერს.

— იმიტომ, რომ მტერს უფრო კარგად დახვდეს, ბადერ!..

— მტერი ვილა არი, ნან?..

— დიდო, ლეკი, ქისტის, აი, ამას წინათ ღამე რომ მოვიდნენ და კაცებმა გარეკეს თოფით.

ბალოს თვალები უფართოვდება, შუბლი ნაოჭად ეკვრება და ამბობს:

— მე ისინი მეჯავრებიან, ნან, როცა გავიზრდები, მეც თოფს ვესვრი!

მცირე დუმილის შემდეგ გაგრძელებულად ეკითხება დედას პატარა:

— დადა ხომ მიყიდის თოფს, ნან?

— გიყიდის, ბადერ, გიყიდის, თოფსაც, ხმალსაც, სამღარიან ხანჯალსაც.

ბალო იღიმება. თვალები ცეცხლივით უელავს.

— უჰ, უჰ, – რა კარგი იქნება, ნან, კაცი რომ გავხდები და ულვაში ამომივა, თექასაც, თექასაც შემიკერავ, არა, ნანალო?!

— ჰო, ბადერ, ჰო, თექას, დიდ ბორგებს.

— ნან, ჩემო ნან!.. – და ვარდივით გაშლილი ბალო ლელას კისერზე ეხვევა. – მერე ის დიდი ციხეები ვინ ააშენა, ნან?! – უბრუნდება ცნობისმოყვარე დაუკმაყოფილებელ კითხვას.

— ზეზვამ, ბადერ, გაფრინდაულმაზეზვამ. აი, ცხენი რო გაუორგულდა.

— ჰოო, – აგონდება პატარას, – დიდი რო ვიქნები, ხმალი რო მექნება, სამღარიანი გრძელი ხანჯალიც, ზეზვას უნდა ვაჯობო, მოვერევი, ნან?!

— მოვერევი, დაგენაცვლოს შენი ნან, მოვერევი!

— ეგეთი დიდი ქვები როგორ აიტანა იქ ზეზვამ? თითო აი, ამოდენა იქნება. – და ბალო ორი გაშლილი პანია ხელით ჰაერს ბლუჯავს.

— გმირი იყო და შესძლო, ბადერ!

— რა არი გმირი, ნან?!

— ყოჩალი, ვაჟკაცი!

— ვაჟკაცი!.. – ფიქრიანად იმეორებს ბალო და მრავლისმეტყველი თვალებით აშტერდება თავის პატარა ბორგებს. ღამდება.

დედა კერაზე შუა ცეცხლს ანთებს. ბალო ტოლიკზე ზის და ცარიელ ხალის გუნდას კმაყოფილებით შეექცევა.

— ეს ხელი ვისია, ნან?

კერის ზევით ორკაპა ჯოხზე წამოცმულ გამხმარ, მოკრუნჩხულ ხელისკენ იშვერს პატარა, პანია თითს.

— ეგ ლეკის მარჯვენაა, ბადერ!

— ისა?!

— ის ქისტისა!

— აი, ის, სისხლიანი რო მოსჩანს?!

— ის კიდევ დიდოსი.

— რად უნდა დადას მოჭრილი ხელები, ნან!

— წესია, ბადერ, ადათი, ვაჟკაცმა მოკლულ მტერს მარჯვენა უნდა მოაჭრას.





— მეც რომ ვაჟკაცი ვიქნები, ქისტს მოვკლავ და ორივე ხელს მოვაჭრი.

კარები ჭრილით იღება და შემოდის თექიანი დად.

— სად იყავი, დად! — ეგებება შვილი შემოსულს და მუხლებზე პატარა ხელს უცაცუნებს.

— აი, რა მოგიტანე, ბალო, — ამბობს გრუხუნით დად და კალთის წვერს ქამრიდან გამოადრობს.

იქიდან ორი სისხლიანი ხელი გადმოვარდება ნაცარში. შემკრთალი ბალო უკან გაიწეწს.

— ფუჰ, სისხლიანებია.

— ლაზათიც სწორედ მაგაშია, — ისევ გრუხუნებს დად, ახლად მოჭრილ ხელებს ახალ ორკაპზე ამაგრებს ჭერის ზემოთ, ბოლოში.

ბალოს ესეც უკვირს.

— ბოლოში რატო ინახავ, დად?!

— როცა გაიზრდები, მაშინ გაიგებ, ახლა კი სჯობია, დაიძინო, ათი უკვე დანოლილა, მეთერთმეტეს რალა ღმერთი გინყრება!

— ნან ღამე აღარ იძინებს, დად სულ შეკრული ბოღჩით, ტანისამოსიანა კერასთან ზის, სანამ მზე ამოვა და ჩვენ გაგვეღვიძება.

— შენ მაინც დაიძინე, თორე ქისტები მოვლენ და წაგიყვანენ.

ბალოს შიში იტანს, ნელა დგება და ძმების გვერდით თივაზე მიგდებულ ტოლიკში ეხვევა.

გადის ხანი. პატარას წლები ემატება. ის ტოლებში „ლაშქრობას“ თამაშობს.

— კობიო! — ეუბნებიან ტოლები — შენ საფერხეს ძალიან ნუ ფჭენებ, თორე მტერი მარტოს მოგატანს და... კობიო ხის „ცხენს“ ბანრის „ფლვირით“ აჩერებს, თავს უჭერს, ტურებით ეხმაურება.

კობიო დედამ შეარქვა მეტსახელად, რადგან ბალო სულ კახეთში წასვლაზე ოცნებობდა.

— „კობახ“ როდის წავალთ, ნან, ცხვარს როდის გავყვები იქითკენ, „კობივ“ თხილს მაჭმევენ, ნან, ჯიბეს ავივსებ და შენ მოგიტან.

გამოხდა კიდეც ხანი. კობიო გაიზარდა, დაჭაბუკადა, დედამ დაპირებისამებრ თეჯა და დიდი ბორგები შეუკერა. ის უკვე თვრამეტი წლისაა, ხის „ცხენი“ ნამდვილ ცხენში გადაცვალა და მთელ დღეს უბელო საფერხეთი ხევ-ღრანტეებში დაჯირითობს. მოუსვენარია. სახლში ვერ ნახავთ. თუშეთის მიდამოებში ყველა კენჭსა და ქვას იცნობს. შავტარა გრძელი ხანჯალი ჰკიდია წელზე, ტოლები რომ შეიყრებიან სამ ციხესთან, სამლარიან ფოლადზე მზე იცინის. ბიჭები ერთმანეთს ებრძვიან. ვარჯიშობენ. ხშირად გაჭრილი კანიდან სისხლი თქრიალით გადმოდის, მაგრამ ეს არაფერია, მარგებელიაო, — იტყვიან უფროსები.

და უდარდელია, ჯეილი, თავისუფალი, როგორც მის ხუჭუჭ თმაში შემძვრალი ანცი ნიავი. ჰო თამამია, დაუდგარი, — მერე რა მაგარი მუხლები აქვს! ყველგან და ყოველთვის სირბილით, მგლურით დადის, მოქანცვას როდი გრძნობს, თითქოს მგლის ფეხები ებასო. რა კარგია მთა, უყვარს კლდეთა ნაშალი, ჩამონოლილი ჯანლები და ნემქერქვეშ ჩაჭედილი მდინარის ზათქი. კარგია მთა, მის სოფელზე ლამაზი ხომ ქვეყანაზე სხვა აღარ მოიპოვება.

ჟამი კვლავ მოითვლის დღეებს, წლებს. ჟამმა კობიოს ოცდაორი წელი გამოუხვია თექის კალთაში და ჭაბუკმა ბალოური უზრუნველობა მხრებიდან ჩამოიგდო. ცხვარს გაჰყვა. არყის წვერგამოსული „კაპრანი“ ჯოხი ამოიჩარა ილიაში, ხალიანი „ყალჩალი“ წამოიკიდა და...

მთის ბურახის დილის ცრემლები თავის ბორგე-

ბზე დაყარა. მეცხვარე თვიდან თვემდის მარტოდ თელავს ხასხასა ფერდობებს. მარტოა ჯანლებთან, მარტოა ქარიან ავდარში, — სველი, გალუმპული მარტოა ღამესთან და დღესთან. არც ხმის გამცემია სადმე. თვეში ერთხელ ჯერს თუ ამოუტანენ, რამდენიმე სიტყვას თუ გადმოუგდებენ, პატარა ლეკვი დასდევს მეცხვარეს. ბანჯგვლიანი, ბურთივით ლეკვი და რაკი ლეგა ფერისაა, „ლეგო“ შეარქვა. ის მეტად გონიერია, ანჩხლი, ცხვარს არ მოსცილდება.

ერთხელ ჯანლიანში ნოტო დაუსხლტა მეცხვარეს. საღამოთი „ნანიდარს“ რომ მიუახლოვდა, ფარა თვალში ეცოტავა, არც ლეკვი ჩანდა სადმე. მახლობელ ბექზე გადაირბინა, ჯანლს შეუსტვინა და ყური მიუგდო.

ლეკვის ნკავნკავი მოისმა. ხმას მიჰყვა. ლეკვი კლდის თავზე ჩაცუცქულიყო და ძირს, ქანჩახებში, შერჩენილ ცხვარს გაჯათრებით უყეფდა. პატრონი რომ დაინახა, წამოხტა, უფრო გააგულისდა, გამხნევედა და ხმას შეუმაღლდა, თან ცალი თვალი პატრონისაკენ ჰქონდა მიქცეული. ნაფხვერებში ჩასვლა მოინდომა, სცადა კიდეც, მაგრამ ყეფა უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე პატარა თათის კლდეზე მოკიდება. მეცხვარეს შემოურბინა კუდის ქნევით. რამდენჯერმე გაეხლართა ფეხებში.

კაცმა და ლეკვმა კლდეში შერჩენილი ნოტო გამორეკეს: პირველმა ქვის სროლით, სტვენით, მეორემ კი — ყეფითა და დახვეული კუდის მოშველიებით. ჭკვიანი იყო ლეკვი. კაცივით საზრიანი და უფრო უკეთესი ძალლი დადგა. ჰმ, ასე მიითვლიდა ჟამი დღეებს, წლებს.

ერთხელ მეცხვრე ძმა მკვდარი მოიტანეს ქისტეთიდან, წელზე გადაჭრილი, ხურჯინში იდო. დედამ ბევრი იტირა, ივაგლახა, კინალამ თან გადაჰყვა, ბოლოს ლოგინად ჩავარდა და აღარ ამდგარა. ორი თვე დნებოდა ბეჩავი. ძვლებზე ტყავი შეახმა, თვალეები ჩაუქრა.

ახსოვს, როგორ არა, კარგად ახსოვს. საღამო ხანი იყო. ცაზე ღრუბელი თეთრი ნაბადივით ეკიდა. სწეულ დედასთან ორი მნახველი დედაკაცი იჯდა: ორივეს თვალეები შესწითლებოდათ და მანდილის სველ ყურს ხელში უაზროდ სთელავდნენ. დედამ ხელის ნელი მოძრაობით ანიშნა მისულიყო. ბიჭი მუხლების კანკალით მიუახლოვდა. დაიჩოქა და თავი სწეულისაკენ დახარა. იმან უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, გაძვალტყავებული ხელები კისერზე მოხვია შვილს და გამხმარ მკერდზე ნაზად მიიკრა.

— ბედნიერი კაცი გამოდი, ბადერ, ჩემი სიტყვები ყოველთვის გახსოვდეს. ორნილა დარჩით, თქვენ მაინც დაგიფაროთ სამების მადლმა მტრის ტყვიისაგან. გაფრთხილდი, ბადერ, ვაჟკაცი იყავი, მამაპაპის საფლავებს ურჯულოებს ნუ ამოათხრევენებ. დაიხსომე ჩემი უკანასკნელი დარიგება, ბადერ, არ დაივიწყო შენი ნან!

და სწეულს ხმა ჩაუნყდა, თვალეები ღია დარჩა, ხელები მოშვებულად მოეშვენენ მის კისერს და მოისმა მანდილოსნების ქვითინი.

— ნან, ჩემო ტკბილო ნან! — დაიბლავლა შვილმა და დედის უმოძრაო სხეულს გადაეხვია. ძლივს ააგლიჯეს მიცვალებულს.

დაჭრილს მღელვარებისგან სახე დაეპრანჭა, სხეული მძლავრად გაჭიმა და ყელში გმინვა ამოაგდო.

— ნან! — გაიპრიალეს უსიცოცხლო ტურჩებმა და ისევ დადუმდნენ.

— ბოდავს, ბურანშია, — წასჩურჩულა დილოი-





ძემ ქავთარს, – ეს ცუდს ნიშნავს, ნეტავი დამშვიდდებოდეს!

დაჭრილი კვლავ გაყურდა. მღელვარებამ გადაიარა. სწეული ტყვიანობისმულივით უძრავი გახდა. ცხვირთან მიტანილი ხელი ძლივს შეიგრძნობდა სუნთქვას. ბურანი, გადასული დღეები ქარში გაფანტული ფოთლებივით ირევინ და კოხიო ისევ თუშეთშია, ნოვათაში.

სალამოს ბინდი და ბრძოლიდან დაბრუნებული მხედარი ერთად მიადგნენ მამის ეზოს. ცხენოსანი შესავალ კართან ჩერდება. დაქვეითება ვერ გაუბედნია. რაღაც აკავებს.

რა?! იქნებ სინდისმა დააკრა უნაგირს?! იქნებ მშობლიური კერა აღარ იზიდავს!.. ჰო, – სინდისი, რა მძიმეა ის. სჯობია, მკერდზე ბორბალა დაიბჯინო, გულში ადამიანი მიუშვა, ვიდრე... ჰმ, სინდისი, მოვალეობა... უკანასკნელი ძმა მტერმა მოუკლა და იმისი სახლში მოტანა ვერ შესძლო, მტერს თავი ვერ დააღნია. ფუჰ, სირცხვილი, სირცხვილი.

მამამ ბინდიდან გამოაბიჯა და ბურნუთის წევით კარებს მოადგა.

– შენი ძმა სადღა არი?! – ეკითხება მოკლედ მოხუცი და ვაჟს ორ თვალს ლაღარავით ესვრის.

– მტერმა მომიკლა და იქავე დარჩა!..

ცხენის ფაფარში უაზროდ გაუყრია ხელი თავჩაკიდებულ შვილს.

– შენ კი ველარ მოკვდი?! რიღასთვის მოდიოდი აქ, უქუდო, შერცხვენილი!

მოხუცი ნელა ბრუნდება და უკანვე ბინდში შეაბიჯებს. მარტო დარჩენილი მხედარი ფიქრობს: სად წავიდეს?! ამაღამ სადმე მახლობლად გაათენებს. ხვალ კი ღმერთი უჩვენებს გზას.

ცხენი ბილიკს ღამეში შესდევს. მხედარს ბოლმით ავსებული გული მიაქვს და მხრებზე დამძიმებული სინდისი ჰკიდია. სად მიიტანოს ან ერთი, ან მეორე?! აგონდება შეჭირვებულს.

აკლდამა, კლდეში შეთხრილი მღვიმე, იქ წავა, იქ დასტოვებს ორივე ძნელად საზიდ ბარგს და ხვალ მხარმსუბუქად გაუდგება.

– საით?! ვინ იცის?!

პირსავსე მთვარე ოქროს ღილივით მთის ქედს ჩაეკრა. ჭაბუკი ფრთხილად აბიჯებს აკლდამის ღირეს. მთვარის შუქი მიუძღვება უცხო სტუმარს. თაღებად შეკრულ გამოქვაბულში მყუდროებაა. ქვის ტახტზე დაობებული ძვლების ხროვა მოჩანს. უცნაური, მძიმე სუნი დგას. კარებთან ახლო ჩონჩხი ასვენია ფერფლში დაფლული. ფერფლი ალბათ ტანისამოსის ნარჩენია. აი, თავის ქალის ირგვლივ შავი ფერფლი უსწორმასწოროდ გაშლილა. ეგ მანდილი უნდა იყოს, ჰო. ნამდვილად მანდილია.

ვაჟკაცი წვივის ფალანგს ჰკიდებს ხელს.

– უუუჰ, მტკივა!.. – წრიპინებს ძვალი.

მხარს შეეხო.

– მტკივა! – წამოიკვილა იმანაც.

– მტკივა!.. – გუგუნებენ თაღები.

– გვტკივა, მოგვმორდი!.. – გრუხუნებს იქაურობა და კარებთან მდებარე ჩონჩხი შეტოკდება, შეინძრევა, შავმანდილიანი თავის ქალა წამოინევს, მუხლები მოიხრებიან. და წამომჯდარი ჩონჩხი ხელებს შესულისაკენ გაიწვდის.

– ბადერ, ბადერ!.. ჩემო ხორცო, სად დამეკარგე, მოდი, მომიახლოვდი.

– ნან, ჩემო კარგო ნან!.. – კოხიო ნაბარბაცდება და უკვე წამომდგარ ჩონჩხს გაშლილ ხელებში შეუვარდება.

– ბადერ, ჩემო ნუგეშო, მამამ გამოგადო, დედასთან მოხველ, მოდი, მოდი, მომეკარ გამხმარ მკერდზე.

– ნან, რა ცივი ხარ, თითქო თბილი იყო შენი უბე, რა დაგემართა ნან!?

– აქ ყოველთვის ზამთარია, ბადერ, ყოველთვის ცივა, აი, მანდილს მოგახვევ, დაგათბობ.

– ნან, გადასწიე მანდილი, სუნთქვა მეხუთება, ვიხრჩობი, ნან!

ნესტოები დაებერა, მკერდი მძლავრად აუქანდა და ტანმა ნერვიული თრთოლვა დაიწყო. დაჭრილმა ცალი ხელის ამოძრავებაც სცადა, გულთან მიიტანა, თითები საზარლად დაეკრუნჩხა, ლილისფრად გადასწილმა ბაგემ კი ღრიალს ქაფიც გადმოაყოლა. დილოიძემ თექის კალთით პირზე მომდგარი დუჟი გადასწმინდა.

– წყ... – ყელში გაჭედილმა ხრიალმა აღარ დაამთავრებინა.

ისევ წითელი ღვინო გადააყლაპეს. დაჭრილი დამშვიდდა, მძიმედ და გაბმით სუნთქავდა. მოღუნებულ კანს კვლავ ყვითელი ფერი დაედო და გაყურდა.

– კოხიო, კოხიო!.. – ჩაუშრიალა დილოიძემ.

ხელი შუბლზე გადაუტანა, ოფლის ცივი წვეთები გადასწმინდა. დაჭრილმა თვალები გაახილა, უძლური და დამქრალი თვალები. მზერაში ოდნავი გაკვირვება გამოკრთა. ქუთუთოებმა უფრო გადაინიეს და უსისხლო გუგანი ამოძრავდნენ.

– მიტრო, შენა?!.. – შეეკითხა ის მისუსტებული ხმით.

– ობოლა ვარ, კოხიო, დილოიძე!

– ჰოო! – გააგრძელა და მზერა ახლა ქავთარზე გადაიტანა, – ჰოო! – გაიმეორა მან მცირე სიჩუმის შემდეგ.

– კოხიო, მოიხედე, კაცო, ამდენი ძილი ვის გაუგონია!

– მეძინა?! – სუსტად გაიკვირვა და შესვენების შემდეგ დაუმატა, – მე კი მეგონა ვიხრჩობოდი.

– დაგიფაროს სამების მაღლმა, რას ამბობ მაგებს!

– ობოლავ, ნაბადს დასწიე, გულზე ქვასავით მანვეს. სუნთქვას მიშლის.

ნაბადი წელამდის ჩააცურეს.

– წყალი დამალევიწე!..

წითელი ღვინო გადააყლაპეს.

– კიდევ!

კიდევ დააღვივინეს, პირი ორიოდჯერ გაანკლაპუნა, გამშრალ ტუჩებზე ენა გადაისვა და სახის კანი ოდნავ ამოძრავა.

– ფუჰ, მწარეა! – გადმოაფურთხა, თეთრი კბილები ნაცრისფერ ღამეს დაადგა.

დილოიძე და ქავთარი გამხნევდნენ; ავადმყოფმა მოიხედა, გამომჯობინდა უთუოდ, სახეზე ალისფერი გადაჰკრავს, ლაპარაკიც რომ დაიწყო, ჩანს ღმერთი არ გასწირავს. დანარჩენებიც დაჭრილისაკენ მობრუნდნენ. ყველას ღიმილმა შეურხია უღვაშის ბოლოები, ყველას, – ბეროსა და ზაქარის გარდა, ისინი კვლავ გულჩათხრობილი, მოქრუშული უნდობლობით უყურებდნენ დაჭრილის მომჯობინება-მოხედვას. არ სჯეროდათ, ალბათ ცუდ ნიშანს ხედავდნენ. კოხიომ თვალი გადაავლო რაზმელებს, თითქოს ვიღაცას ეძებო.

– შორთი სად არის?!

პასუხი არავინ გასცა, რამდენიმემ კაკალზე ჩამოკიდებულ ლეშს გადაჰხედა.

– ერისტო?! – კვლავ იკითხა დაჭრილმა.





ისევ დუმული და მეომართა დახრილი თავები.

— სად გაგზავნენ, ბერო, რატო არ მეტყვი?!  
— დამშვიდდი, ვაჟო, იყურე, ორივე მთაში გაგვზავნენ ამბის მისატანად.

— მთაში?! — კითხვითა და გაკვირვებით გაიმეორა დაჭრილმა, — ეხლა კარგი იქნება მთაში, — დაუმატა ნალვლიანად.

შემდეგ ღამეს მიაჩერდა და ასე დარჩა მცირე ხანს.

— ბერო, ახლა სადა ვართ?

— ალვანის ქალაში.

— როდემდის დავრჩებით?

— დილამდის.

— უჰ, შორია, ბერო, ძალიან შორი, დავიხრჩობი. სული შემეხუთება მანამდე!

ჰაერი აღარ ეყო, ცოტა შეისვენა, გამხმარი ტურები ენით გადაილოკა.

— მოვკვდები?.. — იკითხა ერთბაშად.

— გფარავდეს იახსრის ხატი, ეგ როგორ თქვი, ვაჟო, გულში როგორ გაივლე ეგეთები, სულ უბრალოდ ხარ გაკანრული კეფაზე.

— ჰმ, — მწარედ გაელიმა დაჭრილს, თვალები გადაენამა, ღრმად შეისუნთქა და გაგრძელებულად ამოიოხრა.

— სიკვდილს რა ხელი აქვს შენთან, კოხიო. დაღესტანს უნდა გადავუქროლოთ, ბისტეთის ბილიკები უნდა გადავზომოთ, ნაბარევე სისხლს მთა დაანმინდავებს, გაასაღებს, — ნაძალადევი ღიმილით ამოაქოთა დილოიძემ თუშური სული და თავის სიტყვებში თვითონვე შეეჭვდა.

— ობოლავ, ჩქარა წამიყვანე მთაში, თორე აქ ვერ ვძლებ, ქავთარ! აკი შენც მპირდებოდი, აკი ყველა მეუბნებოდი, მამ აქ რალად დამანვინეთ?!

— წაგიყვანთ, სამების მადლმა, წაგიყვანთ, მაგრამ ცოტა უნდა დაისვენო, მოჯანიაანდე!

— ბერო, ცხენზე ჯდომას შევიძლებ, მე თვითონ წავალ, ოღონდ ჩქარა, ჩქარა მომამოხრეთ აქაურობას!

— დამშვიდდი, ვაჟო, დამშვიდდი, ცოტა ნაიძინე და მერე გზას გავეუდგებით.

— არა, არა, ახლავე მომიყვანეთ ცხენი, მთაში მოვკვდები, ბარი კი მკლავს, ბერო, მახრჩობს!

დაჭრილმა მთელი ტანით წამოინია, ბეჭები ნაბადს ააცილა, მაგრამ უღონო იდაყვებმა ვერ დაიმაგრეს და მოდუნებული ისევ ნაბადზე დაეშვა. თვალეები მილულა, გაფითრებული ტურები დაიხურნენ, სახის კანმა ძიგძიგს უკლო, სიყვითლე ქარბად ჩაისხა და რამდენიმე წუთის შემდეგ დაჭრილი აღარ ინძრეოდა.

— ლაპარაკმა დაასუსტა და ჩაეძინა, მოერიდეთ, დეე, იძინოს, — ბერო ცეცხლისკენ მობრუნდა, დინჯმა ნაბიჯებმა გაიყოლა იძის ტანი, და იქვე მიგდებულ კუნძზე დასვა. ყალიონი ფიქრიანად გამობერტყა, ახალი ჩაყარა, მსუქნად გააბოლა და ღამეს გადაანიტა.

— დილამდე გათავდება, — თავისთვის დაასკვნა იმან. ნახევარი ხმით ლეგაზს მიუბრუნდა;

— ხალი გაზილე, წავივანშმოთ, ჯორებს მიხედეთ, კაცებო, შორს არსად წავიდნენ, ნადირმა არ გააფუქოს. ობოლავ, ქავთარ, მოდით აქეთ, მაგას ადვილად აღარ გამოეღვიძება, მემრე მივხედოთ!

ყველა განკარგულებისამებრ ამოძრავდა.

ღამე საკუთარ გულივით გაშავებულიყო. ტურას მოზარეები გამოენახა და უფრო თავგამოდებით ჩხაოდა. ჭოტი ისევ გაჰკიოდა ბებერ კაკალზე და ფრთის ქვეშ ნიაფმეკეცილ ღამეს კენკავდა. რიყზე განოლილი ადამიანი კი კუდმოქნევით კვლავ ჩა-

ლიანს შესჩიოდა. აქა-იქ ტოტების ტკაცუნის და ყრუ ხმაური მოისმოდა. მონყვეტილი სტვენა კაკლის ხეზე შევარდა და ჭოტი გააჩუმა. ქალაში ადამიანები დადიოდნენ.

როცა ჯორებმა ქოსა კუდები სიბნელიდან გამოაძრეს და ცეცხლს მოუქნიეს, გაფანტული მგზავრები ისევ ბინაზე მოგროვდნენ და თან ჯორების კმაყოფილი ფრუტუნი მოიყოლეს. ლაგაზმა გაზელ-ილი და დაბუბკული ხალი დაახვედრა, ყალჩალიდან რამდენიმე გამხმარი კალტი ამოაგორა და ვახშამი უკვე მზად იყო. ყველა ზანტად შეუდგა ჭამას, თითქო არავის შიოდა. ზოგი ცეცხლს მისჩერებოდა, ზოგი — ღამეს. ზოგი ფიქრობდა, ზოგს კი გული და ტვინი ცარიელი ჰქონდა, ფიქრი ეზარებოდა. წუთები მითვლებოდნენ. ხალის გუნდა დნებოდა, პატარავდებოდა, კალტის ნამცეცი ყელს კანრავდა და ალვანის კაკლიანში ღამე ღამისებურად იწვა. იწვა და სდუმდა.

ნელი, მინაზებული ნკმუტუნი მოისმა. ყურადღება არავის მიუქცევია. ნკმუტუნი და ფაჩუნი უფრო ამკარად ჩაიღვარა მყუდროებაში. ძალღი დაინახეს, ლეგა — დიდი ძალღი. დაჭრილს თავზე დასდგომოდა, სახეს ულოკავდა და თან საცოდავად ნკმუტუნებდა. ჩიოდა თუ უხაროდა?! — ვინ იცის!

პირველად დილოიძე მოეგო გონს, ძალღისაკენ გაინია, უნდოდა გაეგლო, მაგრამ ბერომ ხელის აქნევით შეაჩერა.

— მოიცა, ეგ ბობღიას ძალღია, მაგას კაცი უნდა მოჰყვებოდეს, მყეფარი დაწინაურებულა, მგზავრი კი უკან მოედინება.

მეომრები მინაზე დაკრულივით უმოძრაოდ შეჰყურებდნენ, უკვირდით და ამ გრძნობას ენა დაება, ფიქრი ღამესავით ჩაებნელებინა. ძალღი კი, ძალღი ისევ ლოკავდა დაჭრილს. კუდის ქნევითა და ნკმუტუნით ეალერსებოდა მწოლიარეს. დაჭრილმა ერთბაშად ამოიგმინა, თვალეები გადახსნა, აქამდე უაზრო, უსიცოცხლო მზერამ გაკვირვება, სიხარული და ბოღმა ერთად გამოხატა. ქუთუთოებმა ჯერ რხევა დაიწყეს, შემდეგ წარბის ქვეშ შეიკეცნენ და თვალის კაკალი თითქო ბუდეს გადმოეკიდა. ფართოდ გახელილმა თვალეებმა ძალღი იცნეს უთუოდ. ტანმა თრთოლვით წამოინია, ორი ყვითლად გამხმარი, უღონო ხელი ნაბადს მოსცილდა და აკანკალებულ ძალღს ქეჩოზე მოეხვია.

— ლეგო, ლეგო, ჩემო ძალღო!

მკლავები მოდუნდნენ, თავისით მოეშვენენ კისერს და აზიდული ტანი მოსხეპილივით დაეცა ნაბადზე. მთელი სხეული მძლავრად დაიკრუნჩხა, ყელიდან მონყვეტილმა ხრიალმა აძიგძიგებული ტურები ქაფით დაფარა. შემდეგ ტანი კვლავ მოეშვა და ღამეს თვალის თეთრად მიაჩერდა.

დილოიძემ მკერდზე ყური დაადო. ის უკვე აღარ სუნთქავდა.

— გათავდა, წავიდა! — ყრუდ ჩაილაპარაკა დილოიძემ და დანარჩენებს ხელით ანიშნა მოსულიყვენენ.

დაწინაურებული ქავთარი მიუახლოვდა ძალღს.

— დაიკარგე, შე სატიალევი! — შეუტია, თან წიხლი ნაჰკრა.

ძალღმა დაინკმუტუნა და მოშორების მაგიერ, იქვე, მკვდრის გვერდზე ჩანვა.

მიცვალებულს შემოეხვივნენ. ღიად დარჩენილი თვალეები დაუხურეს, ხელეები მკერდზე გადაუჯვარედინეს, ნაბადი მოაცალეს და ფეხების დაჭიმვის შემდეგ უკუდგნენ. მკვდარს ირგვლივ შემოერკალნენ, უღვაშები ჩამოიშალეს. ქედმოხრილებმა ხანჯლის



ვადები ხელით დაბლუჯეს და თავები მონყვეტილად დაეშენენ მკერდზე.

ძალი ნელა წამოდგა, კუდის ქნევით მკვდარს ტუჩი მიუახლოვა. დაჰსუნა. შემოუარა მეორე მხრიდან – კვლავ დაჰსუნა. შემდეგ შეჩერდა და ყურდაცქვეტილმა ჭკვიანი თვალები გვამზე მიუშვა. ასე დარჩა მცირე ხანს. ფეხებსაც მიაკითხა და ბოლოს ისევ თავთან მივიდა. რამდენჯერმე განმეორებით იყარა სუნი, კუდი ძირს დაუშვა და უკანა ფეხებს შორის მინამდე დაჰკიდა.

თავი აიღო. მხედრებს შეჰხედა და როცა იმათ თვალებს ვერ ნაანყდა, ძალღური მზერა ისევ მკვდარზე გადაიტანა. მერე თავჩალუნულმა ორი ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა, პატრონისაკენ მოტრიალდა და უკანა ფეხებზე ჩაჯდა, ჩაცუცქდა. თავი მალლა ასნია, კისერი გაჭიმა, ტუჩები ღამეს მიაბჯინა.

— უუუ! უუუ!

ყმუილი ღამეს ალაზანმა წაართვა და მკერდში ჩაიხვია.

— უუუ! უუუ! – ყმუოდა უპატრონოდ დარჩენილი ძალღი.

ღამეს თუ შესჩიოდა მასავით იდუმალს.

ვინ იცის? – არავინ.

ბერომ თავი ნელა ააცილა მკერდს. სახე გამოუჩნდა, ანთლებულ თვალთან ორი ცრემლი ბზინავდა, მარტო ორი ცრემლი.

— დედის მაგიერ ძალღი დასტირის, ტიალი, – სთქვა იმან გაბზარული ხმით და თავი ისევ კისერს დაეკიდა.

გაისმა ჩუმი, ოდნავ გასაგონი ქვითინი, ქვითინი შეკავებული, ვაჟკაცური.

— უუუ! უუუ! – შეჰყმუოდა ძალღი ჭალას.

ზაქარის ცალ უღვაშს ცრემლი დაეკიდა, მეორე ხელს მოხვდა, მესამე – ხანჯალს. ის ტიროდა, ტიროდა ცალი თვალთ.

ცხენის თქარუნი და გამხმარი ტოტების ლანანი ერთად მოხვდა ყურს. აჩქარებული კაცის ფეხის ხმაც გაისმა. მოიხედეს, მათ წინ ქალი იდგა, შავად მოსილი, მოლოზნის ტანისამოსით. იცნეს.

— ნანი, ნანი!.. – გაეხმაურნენ.

იმან ერთხანს უაზროდ უყურა მტირალ კაცებს, შემდეგ თითქო ნაცარი გადააყარესო, გაფითრდა, ხელები გაშალა.

— კობიო!.. – შეჰკვივლა საზარლად და გაცივებულ გვამზე დაემხო.

— უუუ! – გაჰყმუვლა მთებს ძალღმა

ისევ ქვითინი, ყრუ ოხვრა, უღვაშებზე დამსხდარი ცრემლები და ყმუილი, ყმუილი და გლოვა.

ბერომ ქუდით თვალები გადაინმინდა, უღვაშებზე ხელი ჩამოისვა.

— მოერიდეთ, კაცებო, დაიტეოს მაგ ბეჩავმა, მარტო დატოვეთ.

ყველა შემოეცალა, ცეცხლს შემოუმწკრივდნენ. დილოიძემ და ქავთარმა კი ჭალაში გაშლილ სიბნელეს მიაშურეს. წუთები კიდევ ჩაითვალნენ.

ღამე ისევ ღამისებურად იწვა.

— ჰეე, ბიჭოო!.. – მოისმა ძახილი.

ძალღმა ყმუილი შეწყვიტა და ყურები წამოიზიდა.

— ლაგაზ, მიდექი, ვინ იძახის! – ახალგაზრდა თუშმა ღამეს გაჰხედა.

— ჰეე! – გაეხმაურა.

— რომლები ხართ მანდა, სადაურები?..

— თუშნი ვართ, ქალაქიდან მოვალთ.

— ხო სისალეა, დიდი ზარალი ხო არ მოგსვლიათ? – შეეკითხა ისევ სიბნელიდან უცნობი.

— სამი მოგვიკლეს, იმათში ბობლიას კობიოც ურევია.

სიბნელემ მცირე ხანს იყურა. უცნობს მაშინვე არ გაუცია პასუხი. შემდეგ კი ღამემ ბოხი ხმით გადმოსძახა.

— თქვენ ცოცხლები იყავით, თუშებს გამარჯვება ნუ მოაკლდებით, რა ვუყოთ, მაგ ჭირსაც გავუძლვებთ.

ღამე ისევ ყურად ჩამოიფაფრა.

— ეგ თვითონ ბობლია არის, გასძახეთ მოვიდეს!..

— ბობლიავ!..

არავინ გამოეპასუხა.

— ლეგო, ლეგო! შენ მაინც სად დამეკარგე, ტიალო! – დაიგრუხუნა სიბნელემ და ისევ გაჩუმდა. ძალღმა წკმუტუნით პატარა მანძილზე გაიბზინა. შემდეგ ჰაერი დაყნოსა, მკვდარ პატრონს გადმოხედა და ღამეში ნასულ უცნობს უფრო საცოდავად გაჰყმუვლა.



რუსუდან ფეტვიაშვილი,  
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია



ნუნუ ქაჩუკაშვილი



2016 წლის ივნისში მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოაწყო ახალგაზრდა მწერალთა კონკურსში — „ჩვენ მოვდივართ“ გამარჯვებულთა დაჯილდოება და ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამო.

საღამოზე სიტყვა წარმოსთქვა მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელმა — ქალბატონმა ნუნუ ქაჩუკაშვილმა.

გთავაზობთ ამ სიტყვას.

მომავლის რწმენით და იმედით...

ჩვენი დიდი, სასიქადულო მწერალი ილია ჭავჭავაძე ასე გვამბობდა:

„ჩემო კარგო ქვეყანავ,  
რაზედ მოგიწყენია!  
ანმყო თუ არა გვწყალობს,  
მომავალი ჩვენია“.

ეს მომავალი მაშინ, ჩვენი მშობლები, ჩვენ ვიყავით, — ახლა, თქვენ ხართ ჩვენი მომავალი.

ძვირფასო ახალგაზრდებო!

დიდი ვაჟა-ფშაველა ასე გვმოდგვრავდა: „ვინც ბალებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღზრდილი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უზგად გამოიღებს ნაყოფს“.

აკაკი წერეთელი ასე მიმართავდა ახალგაზრდობას:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..  
ვიცინი, ალარ ვტირი მე.  
ახალგაზრდებო, ან კი თქვენ  
გამოდით, თქვენი ჭირიმე!“

გავა გარკვეული დრო და... ჩვენ, ქვეყანაზე ზრუნვა თქვენ უნდა მოგანდოთ. ჩვენი თაობის ესტაფეტა თქვენ უნდა ჩავაბაროთ და, რაოდენ, გასახარია, როცა თქვენ ასე გიყვართ — სამშობლო, ხელოვნება, შემოქმედება, პოეზია, მწერლობა. სასიხარულოა, როცა — თქვენ ასეთი კარგები, ნიჭიერები ბრძანდებით.

ლიტერატურული კონკურსები — შესანიშნავი სტიმულია თქვენი შემოქმედების ნახალისებისა, თქვენი მუშის გამონვევაა, თქვენი შემოქმედებითი ძალების გამოცდაა.

ჩვენ კერიაზე დაოსტატდნენ და ეგრეთ წოდებული მწერლური ნათლობა მიიღეს ახალგაზრდა შემოქმედებმა: ალა დათუკიშვილმა, გიორგი ელიზბარაშვილმა, პაატა შალამბერიძემ, ნათია ბოტკოველმა, ფარნაოზ რაინაულმა (უმცროსი), ქეთევან ნათელაძემ, მარიამ ქუფარაშვილმა, სოფიო დაუშვილმა, თამარ ბურნაძემ, ანა ანაშვილმა, შორენა გუმბათოვამ, ნინო მოსიაშვილმა, გიორგი გვერდელაშვილმა, თია ყავრელიშვილმა, ხატია კვიციანიამ, მარიამ დედაბრიშვილმა, ქეთევან გუგუშაშვილმა, რუსუდან ყოჩიაშვილმა, მაკა ღარიბაშვილმა, ანი რაინაულმა, ელისო შაბალაძემ, ვაჟა ყოჩიაშვილმა, მიხეილ ხალიჩაშვილმა, გიორგი ესიტაშვილმა და სხვებმა.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულმა კახეთმა“ პირველი ლიტერატურული კონკურსი ახალგაზრდებისათვის 2004 წელს გამართა დევიზით: „პოეტების ახალი თაობა“.

მეორე კონკურსი — 2006 წელს დევიზით: „ჩვენ მოვდივართ“.

მესამე კონკურსი — 2008 წელს, ასევე დევიზით: „ჩვენ მოვდივართ“.

გამარჯვებულებს შესაბამისად გადაეცათ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს დიპლომები, სიგელები.

კონკურსებმა ბევრი საინტერესო დამწყები პოეტი და პროზაიკოსი გამოავლინა, — წარმოდგენილი იყო: საუკეთესო ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები და მინიატურები.

2005 წელს გამოვიდა ახალგაზრდული ჟურნალი „ნაბიჯი“, — ჟურნალ „ოლეს“ ახალგაზრდული დამატება. ახალბედა ჟურნალმა საყოველთაო მონონება დაიმსახურა. ჟურნალს ამშვენებს თელავის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ლინა ბაციაშვილისა და გიგია გემაზაშვილის ნახატები.

ჟურნალში შევიდა კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდების მოთხრობები, ლექსები, მინიატურები, წერილები.

2014 წელს ჟურნალ „ოლეს“ მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა, რომელიც, მთლიანად ახალგაზრდობას მივუძღვენი. ჟურნალი გაფორმებულია ნორჩი მხატვრის თეკლა მელაძის ნახატებით და წარმოდგენილია 27 ახალგაზრდა შემოქმედის თხზულებებით.

ჟურნალი „ოლე“ თავის ფურცლებს ხშირად უთმობს ახალგაზრდების ნაკალმარს.

2016 წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა ლიტერატურული კონკურსის მასალები — რუბრიკით „ჩვენ მოვდივართ — 2016“.

რით გამოვარჩიეთ 17 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდები, რომლებსაც ოქროს დიპლომები გადავეცით? — აზრის სიღრმით, მხატვრული სახეებით, მუსიკალობით. მომყავს ნაწყვეტი — ქეთევან ნათელაძის ლექსიდან — „შენ რომ გყვარებოდი“.

„იქნებ, ამ დღითაც, მზე უჩანდეს





ცას და ისე დათბეს, რომ გიყვარდა...  
 შენ რომ გყვარებოდი ჩემს ქუჩამდე  
 ერთი ქუჩა მაინც მოგიყვანდა.  
 ქალაქს დეკემბერი შემოჰქონდა,  
 მე ვარ ისეთივე აზიატი,  
 მახსოვს ჭორფლიანი შემოდგომა,  
 იყო ზამთრისწინა ხასიათი...  
 ...სისხლიც აღარ მოდის მაჯებიდან,  
 როცა ყველა განცდა ნული არი,  
 დუმილს ახმოვანებს ფანჯრებიდან,  
 ნლობით ხელუხლები როიალი.  
 და მხოლოდ ფოთლების ხმაურია,  
 ჩემი აქ დარჩენა მერთულება,  
 უმწეო, სუსტი და ქალურია  
 ჩემი ყოვლისშემძლე ერთგულება...“  
 შორენა გუმბათოვამაც ოქროს დიპლომი  
 დაიმსახურა. მისი ლექსები გამოირჩევა უშუალო-  
 ბითა და ლამაზი სიტყვიერი პალიტრით. ლაღად  
 იკითხება და მკითხველი ადვილად ითავისებს. „სა-  
 ქართველოა სამშობლო ჩემი“.  
 „...რომ შენი ზეცა, ჩემი აკვანი,  
 ძმობის ფესვებით ჩაჰკვრია ნახნავს,  
 სულ მეყვარები, ჩემს ყოველ ნაბიჯს  
 ქართული მიწის დალოცვა ახლავს.  
 შენი ამაგი ყველგან გამყვება,  
 ჩემო, ქართულო მიწავ, ნათელო,  
 მე შენს კალთაში ვიზრდები თბილად,  
 ჩემი სამშობლო ხარ, საქართველო“.  
 გიორგი ნიკლაურმა ვერცხლის დიპლომი  
 დაიმსახურა. „გაზაფხულის მოლოდინში“.  
 „როცა, მთებში ჩამოთოვს და...  
 ტყეს ბურუსი მოიცავს,  
 მაშინ, ალბათ, ქარიშხლები  
 შენს სურნელსაც მომიტანს...“  
 ვერცხლის დიპლომი ხვდა წილად გიორგი  
 სოხაშვილს. მისი ლექსი სამშობლოს სიყვარულით,  
 აზრის სიღრმით გამოირჩევა. „ილია II-ის ვედრე-  
 ბა“.  
 „...მუხლმოდრეკილი ლოცულობს, —  
 სანთლის ცრემლებად დაღვრილი,  
 ილია ჩვენთვის ქართველნო,  
 უფლისა არის გზავნილი...“  
 ვერცხლის დიპლომი დაიმსახურა აგრეთვე  
 ანი ჭამაურმა. მისი ლექსიც მხატვრული სახეე-  
 ბითაა გაჯერებული. ბუნების, მთის სიყვარულია  
 გაჟღერებული ანის ლექსებში. „უნდა გყვარებო-  
 დი, კარგო“.  
 „უნდა გყვარებოდი, კარგო,  
 რა ვქნა, გული ისევ ტირის,  
 რომ ავსულიყავით მთაში  
 გვესმინა მწყემსის სტვირის...“  
 ბრინჯაოს დიპლომი მიეკუთვნა ნინო კუ-  
 ტალაძეს. ლექსი „დედას ვფიცავ“.  
 „დამიფიცია დედა — მშობელი, —  
 ქვეყნად, რომელიც, მხოლოდ ერთია,  
 მისი ცხოვრების წელი, ყოველი,  
 სახეს ნაოჭად გადაჰფენია...“  
 ბრინჯაოს დიპლომი დაიმსახურა ელიზბარ  
 ნერსესოვმა. მისი ლექსები გამოირჩევა მხატვრუ-  
 ლი სახეებითა და მუსიკალობით. ლექსი „ფარული  
 გრძნობა“.  
 „როგორც ფოთოლს — დილის ნამი,

ფუტკარს — მინდვრის ყვავილები,  
 ისე მიყვარს შენი სხივი მხიარული...“  
 ბრინჯაოს დიპლომი მოიპოვა ნათია ბოტკო-  
 ველმა. იგი ლამაზად ხატავს პეიზაჟს ლექსში „შე-  
 მოდგომა“.  
 „...ცას, ლოდებად, გულს დაანვნენ ღრუბლები,  
 აწვიმა და, რა აწვიმა მთა-ბარს,  
 და... ხეებსაც გაუხდიათ სამოსი, —  
 შემოდგომაც იკრავს გუდა-ნაბადს“.  
 შთამბეჭდავია თინათინ ყავრელიშვილის ლექ-  
 სები, რომლებშიც ლირიული განცდები სჭარბობს.  
 ლექსი „მიყვარხარ“  
 „...გრძნობავ დიადო და ბობოქარო  
 ჩემში რომ ცოცხლობ, სუნთქავ, ბინადრობ,  
 შენ, ხარ — ჩემი გზა, — სიცოცხლისა,  
 რაც — მინატრია... და... რაც — ვინატრო...“  
 17 წლამდე ასაკის მოზარდებშიც ბევრი საინ-  
 ტერესო ავტორი აღმოჩნდა. მათ ლექსებშიც, უდა-  
 ვოდ, პოეტური ნიჭი ჩანს. აქვთ კარგი მიგნებები,  
 სათქმელს ლამაზად და უშუალოდ ამბობენ. „მხო-  
 ლოდ სიყვარულისთვის“ ასე დაარქვა მარიამ ჩო-  
 მახიძემ თავის ერთ-ერთ ლექსს. მისი სურვილია  
 დიადი და ფაქიზი გრძნობა ყველას გულში გასხი-  
 ვოსნდეს.  
 „...წელს, თებერვალში გაზაფხულდა, ადრე,  
 პირველად.  
 დიდი ხანია ფიქრით დამაქვს თეთრი ლანდები,  
 უდავოდ მქონდა ნაბიჯები ძალიან ჩუმი,  
 შენ, სიყვარულო, ჩვენთან როდის  
 გასხივოსნდები?  
 .....  
 ...მინდა მშობელი გამოვიდე ყველა ღიმილის  
 პატარა ბავშვებს რომ აჩნიათ, სულზე, სახეზე,  
 და იმ ღიმილსაც, ვინც თავისთვის გულში  
 იღიმის.  
 ღიმილით, ყველა გულს ხომ უფრო ძლიერ  
 ვაქეზებთ...  
 .....  
 ...სანამ ვიცოცხლებ, ქვეყანაზე, ვიდრე  
 ვიქნები,  
 მე გულისცემას ვიგრძნობ, მხოლოდ  
 სიყვარულისთვის“.  
 მარიამმა ვერცხლის დიპლომი დაიმსახურა.  
 ლალი იუმორი გასდევს მარიამ ასპანაშვილის  
 საბავშვო ლექსებს. „ჩინელების მაღაზიაში“, „ბა-  
 რი-ბარში“ და სხვა.  
 მას ვერცხლის დიპლომი გადაეცა.  
 კარგად გამოხატა თავისი დამოკიდებულება  
 სიცოცხლის, ცხოვრების ფასის, არსის შესახებ  
 დიანა ჯალალოვმა.  
 „...ზოგმა, არ იცის სიცოცხლის ფასი,  
 ანდა რა არის — ცხოვრების არსი,  
 ღმერთს მოვუხადოთ დიდი მადლობა,  
 მუდამ თან რომ გვდევს მისი წყალობა“.  
 დიანამ ვერცხლის დიპლომი დაიმსახურა.  
 ლამაზი მხატვრული სახეებით აზროვნებს  
 ნანა ბართიშვილი, მისი ლექსები ლირიულია, რო-  
 მელსაც მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა.  
 გთავაზობთ ნაწყვეტს ლექსიდან, რომელსაც ავ-  
 ტორმა „შენი ღიმილი“ დაარქვა.  
 „...შენა ხარ, ვისაც ვნატრობ და  
 მე, შენ მიყვარხარ, კვლავ!



შენ თუ გამიღებ გულის კარს,  
მოვივლით ხმელეთს, ზღვას!“  
ნანას ვერცხლის დიპლომი მიეკუთვნა.  
ლამაზი სიტყვიერი პალიტრა ამშვენებს ნუცა  
ყურბან ყიზის ლექსს „გაზაფხული“.

„მზემ სიმბურვალით გამათბო,  
კარგს მიქადაგებს ეს გული,  
იამ სურნელით დამათრო,  
გვენვია ჩვენ გაზაფხული...“

ნუცასაც ვერცხლის დიპლომი ხვდა წილად.  
მხატვრული სახეების სიუხვით გამოირჩევა  
ყარა ზაქირ ოღლის ლექსები. მოვიყვან ნაწყვეტს  
ლექსიდან „ნაკადული“

„მთიდან მოედინები, ხარ ციმციმა ანკარა,  
მგზავრებს ნყურვილსაც უკლავ,  
მზე დაგყურებს თაკარა,  
მოდინხარ და ლილინებ,  
ვინა მღერის ამგვარად?...  
ყვავილებსაც ახარებ,  
მთის წყარო ხარ პატარა“.

ყარა ზაქირმაც ვერცხლის დიპლომი დაიმსახურა.

თავისებური ემოციით გამოირჩევა ნათია ჯავ-  
შანაშვილის შემოქმედება.

„...მინდა დაგისვა ხელის გულზე და  
მთელი ცხოვრება ასე გატარო,  
მინაზე ფეხი არ დააკარო,

იქნება ასე ფრენაც გასწავლო...“

ნათიას ბრინჯაოს დიპლომი გადაეცა.

პატრიოტულ თემას ეხება აიშა იდრისოვას  
ლექსი „რომ შემეძლოს“. აიშა ლამაზი ფერებით  
ხატავს საქართველოს სიყვარულს... მისი ლექსი  
მუსიკალურია, აქვს ლამაზი რითმები.

„...სანატრელო საქართველო,  
ჩემო თბილო ქვეყანავ,  
შენ ჩემი ხარ, ცის სადარო  
სიკვდილამდის შენთან ვარ“.

აიშამ ბრინჯაოს დიპლომი მიიღო.

კონკურსის მონაწილეებს მინდა ვუჩიო, რომ  
ლექსის წერისას ყურადღება მიაქციონ შინაარსი-  
სა და ფორმის ერთიანობას, — რომ აზრი ლოგი-  
კურად იყოს განვითარებული და არ იყოს წინააღმ-  
დეგობრივი, რომ შეძლონ ნათლად, მკაფიოდ გად-  
მოსცენ განცდილი, ნანახი თუ წარმოსახული შთა-  
ბეჭდილებები, რომ ლექსს ამშვენებდეს მდიდარი  
აზრობრივი, სიტყვიერი პალიტრა, რომ ლექსი  
იყოს მუსიკალური და თემატურად მრავალფერო-  
ვანი.

კონკურსის ყველა მონაწილეს ვუსურვებ მო-  
მავალში ისეთი ლექსები დაენეროთ, რომ ოქროს,  
ვერცხლისა და ბრინჯაოს დიპლომები დაემსახუ-  
რებინოთ.

ახალ-ახალი გამარჯვებები იყოს თქვენი მეგ-  
ზური...



თამარ აბაკელია,  
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია







ედუარდ კოჩერბინი

ედუარდ კოჩერბინი დაიბადა 1937 წელს ლენინგრადში. პროზაიკოსი, თეატრალური მხატვარი, სანკტ-პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი.

არის ლაურეატი პრემიების — ნიკოლაი რერისის (2013), სერგეი დოვლატოვის „თანამედროვე რუსულ პროზაში მიღწეული წარმატებისთვის“ (2010), ნაციონალური ბესტსელერის (2010).

მოთხრობა „სააპრილო ამბავი“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ზნამიას“ 2016 წლის VI ნომერში.



სააპრილო ამბავი

ეს სააპრილო ამბავი სრულიად მოულოდნელად გადამხდა თავს. ცუდ ამინდში, ყოველგვარი სურვილის გარეშე, ჩემგან დამოუკიდებლად აღმოვჩნდი ცაში. აპრილის თვეში გაზაფხულის დადგომის იმედი ხშირად ქრება, ზამთარი იმარჯვებს და პეტერბურგელებიც სითბოზე ოცნებას გაურკვეველი დროით ივინყებენ. ასე მოხდა 1961 წელსაც.

თორმეტ აპრილს, დილის რვა საათზე, პეტერბურგის ძველ ცირკში საერთაშორისო საცირკო წარმოდგენის დეკორაციები უნდა დამემონტაჟებინა. პირველად, ომის შემდეგ, ლენინგრადში სახალხო დემოკრატიული ქვეყნების საცირკო კოლექტივები ჩამოდიოდნენ. ათ აპრილს, საბჭოთა არმიის ლვოვის თეატრში (მაშინ ასეთი თეატრიც არსებობდა) გაიმართა სპექტაკლის პრემიერა, რომელიც აშტინის „ოკეანეს“ მიხედვით დაიდგა და რომლის მხატვრობაც მე მეკუთვნოდა.

დილის თერთმეტ საათზე ლვოვიდან პეტერბურგში გაფორნდი. ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და თვითმფრინავი მოულოდნელად მოსკოვში დაეშვა — პეტერბურგის „პულკოვოს“ აეროპორტმა დაჯდომის უფლება არ მოგვცა. ამგვარად, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო, თერთმეტი აპრილის საღამოს „შერემეტევოში“ აღმოვჩნდი და პეტერბურგის ცირკში დროულად მოხვედრის იმედი გადამენურა, რაც დიდ უსიამოვნებებს მიქადდა. დეკორაციების პირველი მონტაჟი მხატვრის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. რა ვქნა? ეს უძველესი რუსული ნაციონალური შეკითხვა მთელი სერიოზულობით დაფუსვი საკუთარ თავს. აუცილებლად უნდა გამერკვია, ხომ არ არსებობდა რაიმე სპეციალური თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვიდან პეტერბურგში ნებისმიერ ამინდში დაფრინავდა და მასზე მოხვედრა მეცადა.

გაზაფხულის სურნელი ჯერ არ იგრძნობოდა. ქარს თოვლი მოჰქონდა და მხედველობა ჭირდა. სპეცტექნიკა აეროდრომს თოვლისგან წმენდდა. აეროპორტის ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკე, მოსამსახურე პერსონალი შევაფუცხუნე, მაგრამ სპეცრეისის შესახებ სასიკეთო ვერაფერი შევიტყვე. ყველანი დარწმუნებით ამბობდნენ, „პულკოვოში“ რაღაც გაფრინდება, მაგრამ მხოლოდ თორმეტ აპრილს. სასონარკვეთილმა აეროდრომის ტერიტორიაზე შევალნიე, სადაც მტვრითავეს გადავანყდი,

რომლებსაც გადამზიდი სპეცმანქანებით საკვირველი ტვირთი — უხეში ქსოვილის მუქი ტომრები — მოშორებით მდგარ ხრახნძრავიან ილ-14-ზე გადაჰქონდათ. ვიკითხე: „ღამით ლენინგრადში რამე გაფრინდება?“ მშვიდად მიპასუხეს: „ეს თვითმფრინავი აუცილებლად გაფრინდება. ყოველ ღამე დაფრინავს, ნებისმიერ ამინდში — ცენტრალური გაზეთების ანაწყობ ტექსტის სვეტებს ეზიდებაო“. ანაწყობი ტექსტის სვეტები, იმ დროს, მოსკოვიდან თვითმფრინავებით გადაჰქონდათ.

„თვითმფრინავზე როგორ მოვხვდე, არ იცით?“ — „იქ მოხვედრა შეუძლებელია, დაცვის სპეციალური სამსახური იცავს და პილოტების გარდა ჯერ არავის უფრენიაო“.

როდესაც აეროპორტში აქეთ-იქით ვეხეტქებოდი I რანგის ახალგაზრდა კაპიტანს შევეჩხე, რომელსაც ხელში სქელი პორტფელი ეჭირა და ლენინგრადში სასწრაფოდ გადაფრენის გზებს ეძებდა. კაპიტანმაც იცოდა ღამის სპეცრეისზე და მიჩრია, დრო პირად თხოვნებზე არ დამეკარგა, რადგან ეს არ მიშველიდა. უკეთესია, ცირკის ხელმძღვანელობას, ავიაციის გავლენიანი გენერლებისთვის ეთხოვა, რომ საერთაშორისო წარმოდგენის მხატვარი სპეცბორტით გადაეფრინათ.

ლენინგრადის სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელის — გიორგი სემიონოვიჩ ვენეციანოვის გარდა სხვა ხელმძღვანელებს არ ვიცნობდი. მაშინვე დავურეკე და ვითარება ავუხსენი. ვენეციანოვი დამპირდა, რომ იმავე წამს დაუკავშირდებოდა სახელმწიფო ცირკების საკავშირო გაერთიანების ხელმძღვანელობას მოსკოვში. ერთი საათის შემდეგ ვენეციანოვს კვლავ შევეხმიანე და შევიტყვე, რომ ყველაფერი მოგვარდა, ანაწყობი ტექსტების სვეტების გადასატან თვითმფრინავზე ამიშვებდნენ და მთხოვა ადმინისტრატორის ზარს დავლოდებოდი. „შერემეტევოს“ აეროპორტის ხელმძღვანელობის კართან მე და კაპიტანი კიდევ ნახევარ საათს ვიდექით. როგორც იქნა, ადმინისტრატორმა ჩვენი გვარები ამოიკითხა, პასპორტები და ბილეთები შეამოწმა და გვიბრძანა სატვირთო ნაკვეთურთან მივსულიყავით, სადაც გველოდებოდნენ. ადამიანმა, რომელიც მტვრითავს ჰგავდა, აეროდრომზე გაგვიყვანა, უკვე ნაცნობ მუქ ტომრებზე მიგვითითა და გვითხრა, რომ სხვა ტვირთი ამ თვითმფრინავს არ გადააქვსო.



პირდაპირ ტომრებზე დავსხედით და ილ-14-ისაკენ გავემართეთ.

და აი, ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, სტრატეგიულ ტომრებთან ერთად, რომლებშიც ლენინგრადისთვის განკუთვნილი ცენტრალური გაზეთების ანაწყოები ტექსტის სვეტები ელაგა, სპეცთვითმფრინავს მივადექით. ძველ, მოფამფალეულ კიბესთან, ასე ორმოცი წლის ძია-პილოტი გვიცდიდა, რომელიც სალონში შეგვიძღვა და გაგვაფრთხილა, რომ ცუდი დღე დაგვადგებოდა — თვითმფრინავი კეთილმოწყობელია, არ თბებაო და გვიბრძანა, ზედ პილოტების კაბინასთან დამონტაჟებულ ექვსი სავარძლიდან ნებისმიერში ჩავმჯდარიყავით. სავარძლებს უკან, მუქ ტომრებში მოთავსებული ძირითადი ტვირთი პირდაპირ იატაკზე ეყარა. საშინლად ციოდა. თვითმფრინავში მხოლოდ პილოტების კაბინა თბებოდა და ყინვისგან სული რომ არ ამოგვხდომოდა ზურგჩანთიდან უკრაინული წინაყის არაყი ამოვაძვრინე. კაპიტანმა კი საპასუხოდ მზეზე გამოყვანილი ციმბირული ჭიჭყინა თევზები დააძრო და პილოტებს ჭიქები სთხოვა. დასაწყისისთვის ასორმოცდაათ-ასორმოცდაათი გრამი არაყი გადავხუხეთ.

სასმელისგან ოდნავ გამოცოცხლებულმა ირგვლივ მიმოვიხედე. სატვირთო თვითმფრინავის ინტერიერისგან მიღებულმა შთაბეჭდილებამ დამთრგუნა. თითქოს უზარმაზარი ნიანგის ცუდად განათებულ შიგნეულობაში ვისხედით, სადაც ლითონის ნექნები გარდიგარდმო იყო გადაებული. ძველისძველი სამგზავრო სავარძლები აშკარად რომელიღაც საპენსიო ასაკს მიღწეული თვითმფრინავიდან მოეხსნათ. მუქი ბრუნების ტომრების გროვა შეფუთულ ფეთქებად ნივთიერებასთან ასოცირდებოდა, რომლებიც ფრენისას უნდა გადაეყარათ.

როგორც იქნა, მტვირთავებმა, თვითმფრინავის ფაშვში მძიმე ტომრები შემოზიდეს. პილოტმა, როგორც კი კაბინის კარი ჩაკეტა, გასახურებლად მეორე დოზა გადავკარით. ბორტინჟინერმა კაბინიდან გამათბობელი გამოიტანა და გაფიჩხულ ფეხებთან დაგვიდგა. დიდება უფალს, ახლა ფეხის განძრევა შეგვეძლო. პილოტმა გვიბრძანა, უსაფრთხოების ქამრები შეგვეკრა და ლენინგრადის აეროპორტში ჩასვლამდე არ შეგვეხსნა. გაგვაფრთხილა, კომმარული ამინდის გამო ფრენა უალრესად რთული იქნებოდა.

განმეორებით შესმულმა არყმა, პირვანდელი შთაბეჭდილება, რომ რომელიღაც იხტიოზავრის მუცელში ვიმყოფებოდით, კიდევ უფრო გაამძაფრა, რაშიც კაპიტანიც დამეთანხმა. ძრავა გამაყრუებლად აგუგუნდა და თვითმფრინავი აძაგდაგდა. ხელისგულები უნებლიეთ ყურებზე ავიფარე. თვითმფრინავმა ძლიერი ბიძგით ბორბლები ყინულს ააგლიჯა და ასაფრენ ბილიკზე გავგორდით. უცებ თვითმფრინავი შედგა, შემზარავი ღრიალით სისწრაფე აკრიფა, უმაღლფრინდა, სიმაღლე მკვეთრად აიღო და შავი ღრუბლებით დაფარულ ცას შეუტია. სავარძლებს ზურგით მივანყდით. თითქოს, თვითმფრინავი ბურლად იქცა და ჰაერს ხვრეტდა. გამძვინვარებული სტიქია სათამაშოსავით აქეთ-იქით და ზევით-ქვევით გვისროდა. კაპიტანი პორტფელს დასწვდა, გახსნა, ბოთლით სომხური კონიაკი ამოიღო და ხმამაღლა მითხრა, დასამშვიდებლად კიდევ დავლიოთო. ასეთ ჯაყჯაყში ჭიქაში დასხმა შეუძლებელი იყო და პირდაპირ ბოთლიდან ვსვამდით — თითო ჯერზე სამი ყლუპი. მესამე ჩამოტარებისას ერთგვარი გულგრილობა და სით-

ბო დაგვეუფლა. თვითმფრინავმა ღრუბლების კიდევ რამდენიმე ფენა დასძლია და ფრენის მაქსიმალურ სიმაღლეს მივაღწიეთ. ძრავის ხმა ოდნავ ჩაცხრა, ნაკლებად გვანჯღრევდა. სასმელი თავისას შერებოდა და ორგანიზმი ნახემსებას ითხოვდა. კაპიტანმა კვლავ გულუხვობა გამოიჩინა და თევზი სიამოვნებით გადავსანსლე. უცებ, პილოტების კაბინა გაიღო და კარში, სანახევროდ დაცლილი ლიტრიანით ხელში, უცნობი მომღიმარი მეთაური გამოჩნდა. ბოთლში გამჭვირვალე სითხე ესხა. საოცარია, ისიც ბოთლით — ჩვენც ბოთლით... ნეტავ ჩავფრინდებით? თვითმფრინავი?! თვითმფრინავი მორევში ჩაგდებული ნაფოტივით ტრიალებდა.

მომღიმარი მეთაური უცებ ალაპარაკდა; „ძვირფასო მეგობრებო, მოხარული ვარ გაცნობოთ უდიდესი მნიშვნელობის ამბავი, რომელიც ეს წუთია მოსკოვიდან მივიღეთ. ჩვენს თვითმფრინავს ცენტრალური გაზეთების ანაწყოები სვეტები გადააქვს, რომლებიც ადამიანის კოსმოსში წარმატებით გასვლას იუნწყებიან. გესმით, კოსმოსში ჩვენი კაცია?! გილოცავთ ამ გრანდიოზულ გამარჯვებას და გთავაზობთ ეს სიხარული ჩვენი საბრძოლო საფრენი სითხით აღვნიშნოთ!“ მეთაურის ზურგს უკან ორი ნაცნობი მფრინავის სიფათი გამოჩნდა. მეთაურმა ჩვენი აღელვება შენიშნა და დაგვამშვიდა — ასე ნუ განიცდით, თვითმფრინავი ავტოპილოტით მიფრინავს. ლენინგრადამდე, სადაც ქარბუქი მძვინვარებს, კიდევ ორმოცი წუთის საფრენია. „მოდით ეს უზარმაზარი წარმატება აღვნიშნოთ. ამხანაგო პირველი რანგის კაპიტანო და თქვენ, ახალგაზრდავ, შემოგვიერთდით, — მოგემართა თვითმფრინავის მეთაურმა. — „ემმაკმა დალახვროს, ბოლოს და ბოლოს შეიგნეთ რაც მოხდა?! ცნობა ამის შესახებ თქვენს ზურგს უკან, ტომრებში!“ ურწმუნო ანთროპოპედივით გავხევედით და გაცოცხლებულმა თვალბეჭდით ვაფახულებდით. ილ-14-ის მეთაურს არა თუ არ დავუჯერეთ, თვითმფრინავის ჩონჩხში თავსდატეხილი ასეთი გამაოგნებელი ცნობის უცებ აღსაქმელადაც კი არ ვიყავით მზად. ამასთან ერთად, თავი იჩინა გასათბობად დალეულმა სასმელმა და სიმაღლეზე ასვლისას დაუნდობელმა ჯაყჯაყმა. როდესაც გამოვერკვიეთ, პილოტებმა ნახევარი ჭიქა „საფრენი სითხე“ გამოგვინოდეს. I რანგის კაპიტანმა, ვითარების სერიოზულობა და საზეიმო განწყობა შესაბამისად შეაფასა და პორტფელიდან ქილებით ამოალაგა წითელი და შავი ხიზილალა, თეთრი და წითელი საუცხოო თევზი, კობორჩხალები და ეს ყველაფერი ასაკეც მაგიდაზე დაანყო. ასეთმა მეფურმა საუზმემ მფრინავები ალაფრთოვანა. კაპიტანმა დაიჩივლა, რომ პური არ იყო. ეს პრობლემა არაა, განაცხადა მეთაურმა: „შტურმანო, პური მოიტანე!“ შტურმანი გაქრა და იმავე წამს გამოჩნდა სამი მოსკოვიური ბატონით და წუთის შემდეგ ყველას ხელში გვეკავა კრემლის ბუტერბროდი, რომელიც სხვა დროს შესაძლოა მხოლოდ დაგვსიზმრებოდა. თვითმფრინავის მუცელში ნამდვილი პატრიოტული ნადიმი გაჩაღდა. ერთმანეთის მიყოლებით წარმოითქმებოდა სადღეგრძელოები გამარჯვებაზე, საბჭოთა კავშირზე, მოსკოვზე, მფრინავებზე და იმ ადამიანზე, რომლის სახელი და გვარი ჯერაც უცნობი იყო. ეს ყველაფერი ხდებოდა ჰაერში, კალინინის ოლქის თავზე, ტვერის ყოფილ სამთავროში 1961 წლის თერთმეტი და თორმეტი აპრილის ღამით. მე და I რანგის კაპიტანს სუპერპროფესიონალების, საჰაერო ასების კომპანიაში შემთხვევით მოხვედრილებს გულწრფელად გვიხაროდა



მათი კოლეგის, კოსმოსში პირველად გაფრენილი ადამიანის წარმატება. ამ გრანდიოზულ მოვლენას ორმოცი წუთი ავლნიშნავდით. მერე პილოტები კაბინაში გავიდნენ — თვითმფრინავმა ჩრდილო-დასავლეთით მობობოქრე სტიქიის საზღვრებს უწია. თუ გაგვიმართლებდა, სადღაც, ნახევარ საათში, პეტერბურგში დავეშვებოდით.

ნახევარი საათით ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდით. ქარბუქი ყველა მიმართულებით გვისროდა. თვითმფრინავი ხან მარცხენა, ხან კი მარჯვენა ფრთაზე წვებოდა, ხან ძირს ვარდებოდა, ხან კი ზევით მიექანებოდა. ისე გვაბზლრიალებდა, რომ სულ ერთი გახდა გადავრჩებოდით თუ დავიღუპებოდით, დავეშვებოდით თუ დავენარცხებოდით, მაგრამ იმაზე გაფიქრებაც კი — იქ ჩვენი კოსმონავტი, ალბათ ჩვენზე უფრო ბევრად ცუდადაა, — გვამხნევებდა.

ჩვენ, ცოდვილები ღმერთმა მაინც დაგვინდო. აეროდრომის ყინულზე რამდენჯერმე შევხვით, საფრენი ბილიკის ბოლოში დავჯექით და უზარმაზარ თოვლის გორასთან მივგორდით. ილუმინატორიდან ჩანდა, ქარბუქის საბურველს მიღმა, როგორ მობოდნენ ჩვენსკენ ადამიანები — ხელს გვიქნევდნენ, სასიგნალო მაშხალებს ისროდნენ. უამინდობის მიუხედავად თვითმფრინავთან კიბე სწრაფად მოაგორეს.

თავდაპირველად, უკანა სატივროთ კარი გახსნეს და დამხვდურები ყვირილით ამოცვივდნენ: „ვაშა, ჩვენებურმა გაიმარჯვა!“ მერე ჯაჭვისებურად გამსკრივდნენ, მუქ ტომრებს ერთმანეთს მწყობრად გადასცემდნენ და თვითმფრინავთან მდგარ დახურულ მანქანაში ალაგებდნენ. შემდეგ პილოტებმა წინა კარი გახსნეს და I რანგის კაპიტანს და მე შემოგვთავაზეს კიბეზე პირველები დავშვებულებით. ზამთრის ქუდებით, ჯუბაჩებითა და კაშნებით შეფუთული აეროდრომის მოსამსახურე პერსონალი კიბეს გარს შემოხვეოდა და მიუხედავად ქარიშხლისა, თოვლს თვალეში რომ აყრიდათ, ყინულზე ხტუნაობდნენ და სკანდირებდნენ: „ვაშა, კოსმოსში ჩვენიანია! ყოჩაღ, ვაშა!“ საზღვაო კაპიტანი, რამდენიმე დამხვდურმა, კიბის ბოლო საფეხურიდან აიტაცა. წუთის შემდეგ, მფრინავ ასებთან ერთად, ჰაერში გვისროდნენ და ყვიროდნენ: „ვაშა, კოსმოსში ჩვენებურია! ვაშა! გამარჯვება! ვაშა!“

როგორც კი ძირს დამაბრუნეს, მაშინვე დავეცი — შესმულმა სასმელმა ახლა იჩინა თავი. არ მესმოდა, ასე რატომ გვხვდებოდნენ — ჩვენ ხომ კოსმოსში არ ვყოფილვართ! საერთოდაც, შემთხვევითი ადამიანები ვიყავით. ნამოდგომაში დამეხმარნენ. პილოტებმა, დშვების წინ დისპეტჩერს შეატყობინეს, რომ საბჭოთა ბალისტიკური რაკეტა ორბიტაზე გავიდა. აეროპორტის მომსახურე პერსონალი, მიუხედავად გამძვინვარებული ქარბუქისა (იმ ღამით პეტერბურგში მინუს თხუთმეტ გრადუსზე მეტი ყინვა იყო) თვითმფრინავისა და მაცნეების დასახვედრად დაუ-

ფიქრებლად გამოვარდნენ და ილ-14-დან გამოსულები კვლავ ჰაერში აღმოვჩნდით. ასეთი მოულოდნელი მისაღმების შემდეგ მე და კაპიტანი აეროვავზალთან, სტალინური არქიტექტურის დიდებულ შენობასთან მიგვიყვანეს. მძინარე ტაქსის მძღოლები გავაღვიძეთ და ერთმანეთს გულითადი მეგობრებით დავცილდით. გამომშვიდობებისას I რანგის კაპიტანი ცირკში, ხვალინდელ პრემიერაზე დავპატიჟე.

„ვოლგაში“ ჩამჯდარმა ახალი ამბავი მძღოლს ვაცნობე, მაგრამ არ დამიჯერა და მირჩია ჯერ კარგად გამომეძინა და მერე მელაყბა. როგორც კი მანქანის სავარძელში აღმოვჩნდი, მაშინვე ჩამეძინა. გაუგებარია რატომ, მაგრამ მძღოლმა ზედმეტი ფული არ გამომართვა. მანქანიდან გადმოსვლისას კვლავ გავუმეორე, რომ ჩვენი ადამიანი კოსმოსშია, მაგრამ რეაქცია აღარ ჰქონდა და მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

შინ ორი საათით წავთვლიმე, აბაზანა მივიღე და ცირკში კვლავ ტაქსით წავედი. ამჯერად მძღოლისთვის კოსმოსზე აღარაფერი მითქვამს — იფიქრებდა, გააფრინაო და ცირკამდე აღარ მიმიყვანდა.

ზუსტად მონტაჟის დაწყებისას მივედი. დეკორაციები რომ ავანყვე და საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა მეგობრებმა თავიანთი ნომრების რეპეტიციები დაიწყეს, უცებ თვალი რაკეტას მოვკარი, რომლითაც ცირკის გუმბათქვეშ ბულგარელი საჰაერო ტანმოვარჯიშეები უნდა გაეტყორცნათ. ასეთი საოცრების დანახვით კინალამ გამოვთაყვანდი. კოსმოსში რაკეტის გაშვებასთან დაკავშირებულ ჩემს მონათხრობს არავინ იჯერებდა. მოთენთილსა და სახეგაცრეცილს ეჭვით მიყურებდნენ და მამშვიდებდნენ, რომ დღეს კოსმოსში ბულგარელი ტანმოვარჯიშეები გაფრინდებოდნენ. მხოლოდ ერთმა ადამიანმა ირწმუნა ჩემი — ჩემმა მფარველმა, საიმპერატორო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილმა გარდემარინმა, დღეს კი ლენინგრადის სახელმწიფო ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი სემიონოვიჩ ვენეციანოვმა.

სადღაც, დღის ათი საათიდან, მანუჟზე იმ ადამიანებმა დაიწყეს მოსვლა, რომელთაც რადიოთი შეიტყვეს კოსმოსში ჩვენი მფრინავის — იური გაგარინის გაფრენა. როგორც ამ ამბის პირველ მაცნეს, ცირკის სასადილოში, საჩუქრად გადმომცეს მთელი ჭიქა კიტრის მწნილის წვენი. ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ეს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო — სამუშაოს დასამთავრებლად კიდევ რამდენიმე საათი მჭირდებოდა.

სალამოს, გენერალურ რეპეტიციაზე, რომელსაც მაყურებელიც ესწრებოდა, ლენინგრადის ჩინიზელის ცირკის გუმბათქვეშ, ბულგარელი ტანმოვარჯიშეების რაკეტიდან გაფრენას არნახული წარმატება ხვდა წილად.

რუსულიდან თარგმნა  
აკაკი დაუშვილიმა





**ზაალ ბოტკოველი**



2016 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ზაალ ბოტკოველის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა და პუბლიცისტური სტატიების კრებული „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“. ავტორის ნებართვით, ჟურნალ „ოლეს“ წინამდებარე ნომერში, ვთავაზობთ სამ წერილს; ასევე წიგნის რედაქტორის — მაყვალა გონაშვილის წინასიტყვაობას.

**რედაქტორისგან**

ძვირფასო მკითხველებო!

ამ წიგნის ავტორი ზაალ ბოტკოველი გახლავთ. იგი 1974 წლიდან მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირში და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში მუდამ ლიტერატურული მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა.

უფრო მეტიც, მის თვალწინ იქმნებოდა წინარე საუკუნის 70-იანი წლების ის ქართული მხატვრული ლიტერატურა, რომელმაც სრულიად ლიტერატურული სამყარო ააღაპარა ქართული მწერლობის ფენომენზე...

ზაალ ბოტკოველი, სამწუხაროდ, იმ ავადსახსენებელ ჟამსაც შეესწრო, როდესაც ქართული მწერლობა დედაეკლესიასთან, ქართულ უნივერსიტეტთან და სხვა უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ინსტიტუტებთან ერთად არნახული, გაუგონარი, არ მოვერიდებით, დიასაც რომ სატანისტური ძალების შეტევების, დამცირებისა და ქვების სროლის სამიზნედ იქცა. საბედნიეროდ, ქართულმა ეროვნულმა სხეულმა მეტნაკლებად გაუძლო ჯოჯოხეთის მოციქულთა პირველ შემოტევას და გაიმარჯვა ამ უთანასწორო ომში. ბატონი ზაალი იმ დროს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი იყო და მისი არაერთი წერილი ხელმოუწერლად გამოქვეყნდა იმდროინდელ პერიოდიკაში.

ასე რომ, მკითხველს ვთავაზობთ, როგორც ავტორის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, ისე პუბლიცისტურ სტატიებს, რომლებიც წერტილოვან დარტყმებს წარმოადგენდა, ქართველთა მოძულე ძალების წინააღმდეგ მიმართულს.

ვიმედოვნებთ, რომ ეს წიგნი დააინტერესებთ ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის მოყვარულთ.

*მაყვალა გონაშვილი*

**მზის შვილი**

თუ თქვენ გსურთ ეზიაროთ ჭეშმარიტ ქართულ იუმორს, ცინცხალსა და განუმეორებელ ქართულ იუმორს, იკითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ ნახოთ როგორ იბადება ცრემლი, ნაღდი და ყოვლისწამლეკავი ცრემლი, იკითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ მიხვდეთ, თუ როგორ უნდა გიყვარდეს სიცოცხლე, ეს ღვთიური ჯილდო, გინა ბედნიერება, იკითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ იხილოთ, თუ რა ვაჟკაცურად ეგებებიან ქართველები სიკვდილს, რომელსაც ვერსად გაექცევი, იკითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ დარწმუნდეთ იმაში, საქართველოს მართლაც რომ ანდამატის ძალა აქვს უცხოტომელთათვის, რომელთაც განგებამ ამ მიწაზე დაბადება არგუნა წილად, იკითხეთ ნოდარ დუმბაძე;

თუ გსურთ გაიგოთ, როგორი სიყვარული შეუძლიათ ქართველებს ამ მიწაზე მოსახლე სომხებისა, რუსებისა, ბერძნებისა, სხვათა და სხვათა, იკითხეთ ნოდარ დუმბაძე.

იკითხეთ ნოდარ დუმბაძე, მისი ბრწყინვალე რომანები („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ

მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა“, „თეთრი ბაირალები“, „მარადისობის კანონი“) და უბრწყინვალესი ნოველები („ძალი“, „დიდრო“, „სისხლი“, „ჰელადოს“, „ჭინკები“, „ბოშები“, „ხაზარულა“, „მზე“, „ნუ გააღვიძებ“, „ყანნი“, „ასტვანი! იჩნუ ჰამარ...“) და მერწმუნეთ, სხეულში რაღაც ისეთი ჩაგელვრებათ, რომ თან გაგათბობთ და თან სულ სხვა თვალით დაგაკვირვებთ თქვენს გარშემო არსებულ სამყაროზე, ბევრ რამეზე ჩაგაფიქრებთ, გაგწმენდთ, უფრო უკეთესს გაგხდით, სიკეთისა და მადლის ქმნის წყურვილს ალგიდრავთ, ყველაზე დიდ და უტყუარ ჭეშმარიტებებთან გაზიარებთ. ჰოდა, ამას ყველაფერს ერთად თუ შევკრავთ და საერთო სახელის დარქმევასაც მოვუნდომებთ, კათარსისია ეს სახელი და მეტი არაფერი.

დიახ, ბატონებო, ნოდარ დუმბაძესთან, მის შემოქმედებასთან ზიარება კათარსისის ტოლფასი აქტია და ალბათ, ამიტომაცაა, რომ როგორც XX საუკუნის ქართული კრიტიკული აზროვნების აღიარებული მეტრი გურამ ასათიანი წერდა, მან შეძლო ლიტერატურიდან ცხოვრებაში, ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში გადასულიყო და თანამედროვე ქართველო-



ბის დიდი ნაწილის განწყობილებებს დაუფლებოდა.

სიცილი იყო მისი უმთავრესი იარაღი. არ დაგვა-  
ვინყდეს საბჭოთა იმპერიის ზეობის ხანაში მოუწია  
ცხოვრებამ და მოღვაწეობამ და სწორედ სიცილი  
იქცა ბატონი ნოდარისთვის ფარადაც და მახვილად-  
აც ერთდროულად. სიცილითა და იუმორით შემოაპა-  
რა თავის პირველსავე შედეგში („მე, ბებია, ილიკო  
და ილარიონი“) ისეთი სიმართლე, რომლის თქმის-  
ვისაც ციმბირს უკან დაგატოვებინებდნენ. „ყველა  
იპარავს და მე რა, მამა აბრამის ბატკანი ხომ არ ვარ,  
ბოლოს და ბოლოს, ძალღი ვარ“ — ათქმევინა ზური-  
კელას ერთგულ მურადას და საბჭოთა ცენზორმაც  
ისე გაატარა ეს ყველაფერი, თითქოს ავტორი კომ-  
პარტიას ოსანას უმღეროდა.

ნოდარ ღუმბაძის ნაწარმოებები სიკეთითა და  
თანადგომის, თანაღმობის პრინციპებითაა გამსჭვა-  
ლული. მის თვალწინ ჩაიარა მეორე მსოფლიო ომის  
ტრაგედია, რომელმაც დაწყებიდან ორიოდე კვირა-  
ში გააჩანაგა და გაალატაკა ყველა და ყველაფერი.  
და რომ არა ქართველი კაცის გენში  
გამჯდარი სიკეთისა და მაღლის ქმნის  
დაუოკებელი წყურვილი, ვინ გადაურ-  
ჩებოდა ომის მსახვრალ ხელს. ნოდა-  
რი ამას ხედავდა, ამას გრძნობდა და  
ამანაც შეაქმნევინა წლების შემდეგ  
ასე მართალი და დაუვინყარი სახეები  
ილიკოსი და ილარიონისა, ბეგლარა  
მენისქვილესი და ბაბილო ვაშაყმა-  
ძისა, სხვათა და სხვათა.

მაღლიანი მწერალი იყო და ყველა-  
ში, უკანასკნელ არამზადაშიც, ადამი-  
ანს ეძებდა, უფრო სწორად, ადამიანის  
ნამცვრევს და უზომოდ ბედნიერი იყო,  
თუ ამას მოახერხებდა. მისი „ბოშები“  
ამის ერთი მშვენიერი დასტურია. ომის  
დროს გურიის ერთ პატარა სოფელში  
შემოხეტებული ბოშათა ბანაკი კიდევ  
ერთხელ გვარწმუნებს იმ ყავლგაუსვ-  
ლელ ჭეშმარიტებაში, რომ ქურდბაცაცა, სულგა-  
ლეთილ არსებებშიც კი, რომლებიც გადარჩენისათ-  
ვის, არსებობისათვის თითქმის ყველაფერს იკადრე-  
ბენ, სადღაც სულის იდუმალ ხვეულებში ძინავს დიდ  
ადამიანურ ვნებებსა და განცდებს... მათ გასაღვი-  
ძებლად კი მასპინძლების მართლაც რომ საარაკო  
კაცთმოყვარეობა გამოდგება, რომლებიც ფარად  
დაუდგებიან ამ ბაცაცა ბოშებს და მილიციას არ ჩაუ-  
გდებენ ხელთ.


განა შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო „ჰე-  
ლადოსი“, ნოველა, რომელიც ბერძენი ბიჭის იანგუ-  
ლის ტრაგედიაზე მოგვითხრობს, რომელმაც ისტო-  
რიულ სამშობლოში დაბრუნებას სოხუმის ზღვის  
ტალღებში აღსასრული არჩია, არჩია იმიტომ, რომ  
ტანით იგრძნო, ქართული მიწის სურნელს, აქაურ  
სიყვარულს, ერთგულებას, სიკეთეს სხვაგან ვერსად  
ეზიარებოდა.

ბატონმა ნოდარმა ყველას დაგვანახა, რომ  
ღვარცოფივით მოვარდნილი დიდი, ნაღდი სიყვარუ-  
ლისთვის შეიძლება დაუნანებლად გასწირო თავი  
 („ჭინკები“), თუ კაცი ხარ და იცი ამ დიადი გრძნობის  
ფასი.

„ძალღი“ ჰქვია ნოდარ ღუმბაძის ერთ-ერთ საუ-  
კეთესო, თუ ყველაზე საუკეთესოს არა, ნოველას,  
რომელშიც მწერალმა დიდი ადამიანური სიმართ-  
ლით დაგვანახა, რომ ნებისმიერ ტირანიასთან, დი-  
ქტატურასთან ბრძოლას მაინც აქვს აზრი, თუნდ-

აც ეს ბრძოლა წაგებული ბრძოლა იყოს. სიმართლე  
ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიმარჯვებს, გვმომ-  
ღვრავდა მწერალი და ჩვენც, მის მკითხველებს, შეუ-  
პოვრებისაკენ, ქედუხრელობისაკენ, სიმართლის და  
სამართალის დამკვიდრებისკენ ბრძოლისათვის მოგ-  
ვინოდებდა.

მზე ნოდარის ცხოვრებისა და შემოქმედების  
მუდმივი თანამგზავრი და მეგზური გახლდათ. შეიძ-  
ლება ითქვას, რომ მწერლის ძარღვებში სისხლთან  
ერთად მზეც ჩუხჩუხებდა და სწორედ ეს გარემოება  
აძლევდა განუმეორებელ ხიბლს მის შემოქმედებას.  
მე თუ მკითხავთ სწორედ მზე იქცა ნოდარის შემო-  
ქმედების თანაავტორად და ეს ძალუმად იგრძნო-  
ბა მწერლის თითქმის ყველა თხზულებაში. ბატონ  
ნოდარს თუ დავესესხებით, შეიძლება ითქვას, რომ  
მზე მუდმივად ეახლებოდა ხოლმე ამ ბრწყინვალე  
მწერალს, სხვის აბამდა წელზე და თავისკენ ეზი-  
დებოდა. მერმე კი ისინი ერთად მოუყვებოდნენ ალ-  
მართს, სულ უფრო მაღლა და მაღლა, რათა მწვერ-



ნოდარ ღუმბაძე

ვალზე აეფრიალებინათ თეთრი ბაირალი, როგორც  
სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო.  
სწორედ მზესთან სიახლოვემ, მზესთან წილნაყა-  
რობამ აპოვნინა ნოდარს მარადისობის კანონი, მა-  
რადისობასავით უბრალო და, ამავე დროს, ტყეადი  
და ყოვლისმომცველი:

„ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა,  
ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს  
მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლე-  
ბი ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და  
ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული:  
თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბა-  
მოდ. რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ  
დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“.

ნოდარ ღუმბაძე დიდი მწერალი იყო და მისი  
ყოველი თხზულება ახალ-ახალი აღიარების მიზეზი  
ხდებოდა. სამწუხარო რეალობა კი ის გახლდათ, მის  
ნებისმიერ რიგით აღიარებას დარდი და ტკივილი და-  
ედარებოდა ხოლმე. ოღონდ ნოდარის ერთ-ერთ უმ-  
თავრეს ღირსებას ისიც შეადგენდა, არავის თავზე არ  
მოახვევდა პირად დარდსა და სატკივარს, უფრო კი  
პირიქით, მისი დარდი და ვაება სხვებისთვის შვების  
მოტანის ცხოველმყოფელ წყურვილად გარდაისახე-  
ბოდა ხოლმე.

მკითხველი მკითხველად, მაგრამ ნოდარს ეს  
ტკივილები ინფარქტების კასკადად დაუჯდა, ინფარ-  
ქტებისა, რისიც არც ეშინოდა და თითქოს შეგუებუ-





ლიც იყო მათ არსებობას. რატომო თუ ვიკითხავთ, პასუხს თავადვე გაგვცემს: ყოველ გაზაფხულზე, თითქმის ყოველდღე, გამოდიოდა ყვავილებით მოჩითულ ველზე, დგებოდა ათასწლოვანი ცაცხვის ძირში, გასცქეროდა სივრცეს და ელოდებოდა ცის დასალიერზე ულამაზეს, შვიდფეროვან ქარბორბალას, რომელსაც ნოდარი თავის ყველაზე დიდ ტკივილთან, ყველაზე დიდ მონატრებასთან უნდა წაეყვანა.

ეს დღეც დადგა და მწერლის სულიც მარადიულ ნათელში გაფრინდა, მზის საუფლოში, იქ, სადაც მხოლოდ რჩეულნი ბინადრობენ. ოღონდ, მანამდე, წინაღობით თავის საუკეთესო მეგობართან გიგალორთქიფანიძესთან ერთად იმღერა, კიდევ ერთხელ დაგვანახა ყველას, თუ რა ადვილია სიკვდილი, თუ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხარ და გასიგრძეგანებული გაქვს შენი მისია ნებისმიერ განზომილებაში.

იმღერა, არარსებობას დასცინა და მარადისობის ბინადარი გახდა.

მარადისობის ბინადარი!

სულ რალაც 56 წელი იარა ამ ცოდვითდაცემულ დედამიწაზე, სადაც ყოველ კუთხე-კუნჭულში შური და ბოროტება, ღვარძლი და ანგარება, უზნეობა და გახრწნილება ჩასაფრებულა და ჯოჯოხეთისაკენ ექაჩება ადამიანთა უმანკო სულებს, ათასგვარი საცთურით ხიბლავს და ლუპავს მშვენიერების იმ საოცრად სურნელოვან ყვავილს, სათნოება რომ ჰქვია სახელად.

ნოდარ დუმბაძე კი გვასწავლიდა:

„ცხოვრების ჭეშმარიტება ისაა, რომ ისწავლო ადამიანის სიყვარული, ცხოვრობდე ადამიანებს შორის და ცხოვრობდე ადამიანებისთვის“.

მთელ მის შემოქმედებას, თუ კარგად დავაკვირდებით, შარავანდედად სიყვარული ადგას თავზე, ადამიანის სიყვარული, მის ნებისმიერ გამოვლინებაში. მწერლის სიდიადეც ალბათ ისაა, რომ ძალზე ფაქიზად, ძალდაუტანებლად, დიდი მოთმინებით დაყვავართ ადამიანური ურთიერთობების ლაბირინთებში, იქ, სადაც ჭეშმარიტი ადამიანური ვნებები ბობოქრობენ. ისეთი ღრმა, საინტერესო და მიმზიდველია ყოველივე ეს, რომ ხშირად არიანდნეს ძაფიც კი გვაავიწყდება და იმ სამყაროს ბინადარნი ვხდებით და ვცდილობთ რაც შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ მწერლის ჩანაფიქრს, გავისიგრძეგანოთ ჩვენი ყოფის უცნაურობანი და ამ მოგზაურობის შემდეგ იმაზე ოდნავ უკეთესნი გავხდეთ, ვიდრე აქამდე ვიყავით.

ნოდარ დუმბაძე — XXI საუკუნის ქართველობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ჩიჩერონია, რომელსაც შეუძლია უვნებლად გვატაროს ჯოჯოხეთისა და სამოთხის სამანებზე, ჩაგვიტაროს კაცთ-

მოყვარეობის გაკვეთილები და თან სცილასა და ქარიბდასაც მოხერხებულად აგვარიდოს.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასაფასებელია დღეს, როდესაც ჩვენს თვალწინ ერის მამათა მანტიებში გამოკვალთული დახვეწილი, რაფინირებული არამზადების ძალისხმევით თითქოს გაფერმკრთალდა ისეთი მარადიული ცნებები, როგორცაა სათნოება, სიყვარული, ერთგულება, პატრიოტიზმი, თითქოს ჯუნგლებად გვიქცის ღვთისმობლის ნილხვდომილი მინა-წყალი და აფთრებით გვიღრენენ, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევენ, თუკი ვინმე გაბედავს და იმ ინროებიდან გადაუხვევს, რომლის იქით ვეება უფსკრულს დაუღია პირი და იავარქმნით გვემუქრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ დედაშვილობის საოცარ გრძნობასაც კი შეუტყის ამ მანქურთებმა და დაქირავებული, ეგრეთ ნოდებული მწერლების ხელით ლაფს ესვრიან, ურცხვად აგინებენ, ლირნით მოიხსენიებენ ქართველ დედას — ჩვენს უმთავრეს სალოცავსა და საესავს.

ყოველივე ამ უბედურებას ებრძვის ნოდარ დუმბაძე, ოცდაათი წლის წინ აღსრულებული დიდი მწერალი, ებრძვის თავისი დიდებული შემოქმედებით, რომელიც ასერიგად სჭირდება დღევანდელ საქართველოს მის ანმყოსა და განსაკუთრებით კი მის მომავალს. რა საოცარ თანხვდომამაია მისი რომანები თუ ნოველები ბიბლიასთან, წიგნთა წიგნთან, სწორედაც რომ ბიბლიური მადლით და მირონითაა გასხივოსნებული... ალბათ, ამაშია მწერლის დიდი წარმატების საიდუმლოც. ვინ იცის...

ჩვენ კი, მის მკითხველებს, ისლა დაგვრჩენია, სრულად ჩავწვდეთ ამ ტკივილიანი, ქართული მზით გათანგული მწერლის ნააზრევს და მასთან ერთად დაუღლეულად კვლავ და კვლავ ვიღვანოთ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს გადასარჩენად, რომელიც ახლა ბენვის ხიდს გადის მოულოდნელად უმკაცრესი და უავესი XXI საუკუნის გარიჟრაჟზე.

ხშირად გაგვიგონია ამა თუ იმ ერის სიბრძნისა და გონიერების შესახებ. მე თუ მკითხავთ, ერის სიბრძნე იმაში გამოიხატება, თუ რამდენად ზუსტად შეძლებს იგი ათასი ჯურის ცრუ წინასწარმეტყველსა თუ წინამძღოლს შორის გამოარჩიოს ჭეშმარიტად ღვთითმოვლენილი ერისკაცი, რომელიც მის სამშობლოს მირიად უბედურებას ააცილებდა, ისეთი ერისკაცი, როგორც ნოდარ დუმბაძე იყო, რომელიც ახლა მთანმინდაზე, ილიას, აკაკის, ვაჟას უწმინდესი ძვალშესალაგათა გვერდით განისვენებს და იმ ფანტასტიკური სიმაღლიდან არ გვაძლევს მოდუნებისა და ხელების ჩამოყრის უფლებას.

2014

## უფალთან ახლოს... სინათლის წრეში

„ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის“ ასე ჰქვია გივი გეგეჭკორის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ლექსს, რომელსაც მკითხველის ნებართვით სრულად მოვიყვან:

ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის  
შუალამისას დგებიან მხოლოდ  
ჩვენი მამების წმინდა ლანდები...

შუალამისას დგებიან მხოლოდ,  
ხელის ცეცებით მოდიან ჩვენსკენ  
და ბნელში კედლებს ეჯახებიან.....

ძირს ეცემიან, ფეხზე დგებიან  
და უთვალავჯერ კვდებიან მერე,  
ჩამოძენძილი დროშების ჩრდილში...

რომ შემდეგ ისევ შუალამისას  
წამოდგნენ მათი წმინდა ლანდები  
ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის.

ეს პოეტური შედევი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე 1963 წელს ბატონ გივის პოეტურ კრებულში, რომელსაც „მზიანი დღე“ ერქვა. მაშინ მამა უკვე აღარ მყავდა და გასაგებია, თუ რა ეფექტს მოახდენდა 13 წლის ბიჭზე ეს საოცარი ტკივილით,





სიყვარულით და რწმენით დამუხტული სტრიქონები. იმ ლექსისა მაშინ ბევრი ვერაფერი გავიგე, თუნდაც ის, თუ რატომ კვდებოდნენ უთვალავჯერ ჩვენი მამები და რატომ მაინცდამაინც ჩამოძენდილი დროშების ჩრდილში, მაგრამ ქვეცნობიერად იმას კი ჩავნვდი, რომ ერთ ამოსუნთქვაზე, შექმნილ ამ ლექსს ხშირად უნდა მივბრუნებოდი, როგორც ჩემი ბავშვური ტკივილის სალბუნს...

გამოხდა ჟამი და გივი გეგეჭკორი თავად იქცა ლეგენდად, თავად იქცა წმინდა ლანდად მისი უკვე დავაჟაკცებული ირაკლისთვის, რომელსაც ღირსეულად და თამამად შეუძლია თავის დიდ მამას, ზმანებებისა თუ სიზმრების საუფლოში, ჩამოძენდილი დროშების ჩრდილში, ეახლოს და უამბოს, რომ მართალი და შეურცხვენელი დადის ამ ქვეყანაზე...

ბატონი გივი კი, XX საუკუნის დიდი ქართული პოეზიის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამშვენებდა ქართულ სამწერლო-ოჯახს და მართლაც რომ ნორმა და ნიმუში გახლდათ იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, როგორ უნდა იღვანო, როგორი დუღაბით უნდა შეკრა ის წმიდათანმიდა ცნებები, სახელად სიყვარული, სიკეთე, სათნოება, რწმენა, ერთგულება რომ ჰქვია.

რაც კი მოველ ამქვეყნად,  
ჩემი სულის ტკივილი  
მოვიღვიარ და მომაქვს,  
ნუთუ როგორც იონა  
ველარ გადავურჩები  
კაშალოტის სტომაქს?

ამ ტკივილებით იარა სამშობლოში, ეს ტკივილები მარადიულ მეგზურად ექცა.

რატომ?

იმიტომ რომ, პატარა ქვეყნის შვილი გახლდათ, მსოფლიო რუკაზე ავაზასავით განოლილი ქვეყნის შვილი, იმ ქვეყნისა, თავისი სამიათასწლოვანი არსებობის განმავლობაში საკუთარი ისტორია ვარსკვლავებით მოჭედული გუმბათისთვის რომ დაუმსგავსებია. დიდგორზეც უფრიალებია ჩალისფერი დროშები. ბასიანშიც, შამქორშიც, ტაშისკართანაც და მარტყოფის ველზეც... ჭირიც ბევრი უნახავს და ამ ჭირს, როგორც პოეტი აღნიშნავს, სახელად „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ჰქვია, ქართველობის დიდი გვემისა და ვაების დავთარი, რომელშიც დასაკლავი ხარებივითაა დათვლილი ქართული სოფლები, ქართული ოჯახები, გადასაჯიშებლად გამზადებული ქართული გვარ-სახელები. გივი გეგეჭკორმა კარგად იცოდა, რომ ის დავთარი, ჩვენი მოსპობისა და იავარქმნის მოსურნეთა მიერ სახელდახლოდ შექმნილი დოკუმენტი, შემდეგში სახეცვლილი, კიდევ არაერთხელ ქცეულა სისხლმონყურებულ ველურ სახელმწიფოთა სამოქმედო გეგმად.

პოეტი კი იმ დროზე ოცნებობდა:

როცა კაცი იბრძოდა,  
მახვილით და შუბით,  
როცა მტერი წინ იყო  
და მტერს ეჯახებოდა  
მკერდითა და შუბლით.

მის ვარამს ისიც აძლიერებდა, რომ ერთი მოკეთე რა არის, ერთი მოკეთე არ აღმოაჩნდა საუკუნეების ლაბირინთებში მოხეტიალე ქართველობას. ვითომ დახმარებისათვის შემოსულ უცხოტომელებს ხომ მხოლოდ ჩვენი დაბეჩავება და ხელსაყრელი მომენტის პოვნა ენადათ საქართველოს საბოლოო განადგურებისათვის. გივი გეგეჭკორის ლექსი

„ტოტლებენი“, ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი მისი შემოქმედებისა, რუსეთის იმპერიის ორპირობისა და ვერაგობის სავალალო მატთანეს წარმოადგენს. იმ იმპერიისა, რომელიც ვერ შეცვალა საუკუნეების წყება და დღემდე ვერ მოუნელებია ჩვენი ვერმონელება. მაგრამ ტოტლებენის ლალატმა ჩვენს მატთანეს, ასპინძის ომის სასახლოდ დასრულება აჩუქა, იმ ომში ერეკლე მეფის მხედრული შემართების არნახული გაელვება...

ბატონ გივისთვის სამშობლო ხომ მხოლოდ შეჩვეული პეიზაჟი არ იყო, ტკივილიც იყო და სიხარულიც, ჟრუანტელის მომგვრელი სიხარული, ერთანმინდის სპეტაკ სიოს ელამუნებოდა მისი სული და გული, ნოსტესა და ხოვლეს სანახები იყო მისი შთაგონების უპირველესი წყარო, აქედან დანახული საქართველო ეიმედებოდა და ძალას მატებდა. თუმცა იმასაც კარგად ხედავდა, თუ რა ველური გავგებით აცლიდნენ ქვასა და კრამიტს ჩვენს საყდრებს გარეშე თუ შინაური ჯაყოები და ამ წმინდა მასალით საკუთარ ბოსლებს იშენებდნენ. გივი გეგეჭკორის ერთ ყველაზე იმედიან ლექსს გრძელზე გრძელი სათაური აქვს „პიტუინტის რომაელთა სამხედრო ბანაკის პრეტორის წერილი მეგობრისადმი რომში“. რა მაღალმხატვრულადაა ნაჩვენები რომაელი მოხელის განცვიფრებაც და გახელებაც ქართველთა შეუპოვრობის გამო, აქედან უნდა ავიყაროთ და რომში დავბრუნდეთ, ამ ხალხთან ვერაფერს გავხდებითო, ხელებს შლის პრეტორი, ახსნა ვერ მოუძებნია, რა ძალა, რა შემართება აქვთ ასეთი იბერიელთ, რომ მაინც ფეხზე დგანან ამაყად და უდრეკად. დაპყრობილი ხალხის თავად მონად ქცეულმა რომაელმა არ იცოდა, რომ ამ ძალას სახელად თავისუფლება ერქვა, თავისუფლების მოპოვების ჟინი და სურვილი. თუმცა პოეტი აქვე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მისი მშობელი ხალხი ტირანისა და მესიის გარეშე ვერ ძლებს, რითაც ხშირად ქვეყნის საზიანოდ სარგებლობენ ფსევდომესიები, გაურკვეველი უცხო ძალისაგან მართულნი... ასეა, მუდამ ლალატი და ორპირობა გვლუპავდა, სხვანაირად არესის ველზე ვინ გაუბედავდა დაჩოქებას ჩვენს ოქროსმფრქვეველ ხარებს, არადა, რემაში შევარდნილ მგელს ცხენები რომ იგერიებენ, ისინიც კი ერთმანეთს ზურგით ეყუდებიან და ისე იცავენ თავს. ყოველივე ამის შემხედვარე პოეტს გულამოსკვნით წამოცდება:

„ვის რა ვუთხრა, ვის შევჩივლო  
ანდა ვის რა დავუბარო,  
მე ცრემლები როცა მახრჩობს,  
შენ იცინი, ალუბალო!“


ალუბალოო! თუმცა იქნებ მისი მწიფე ნაყოფიდან გადმოსული წვენი ალისფერი სისხლია, ჩვენი წინაპრების სისხლი და სხვა არაფერი, ვინ იცის...

თუნდაც იმ წინაპრებისა, XIX საუკუნეში რომ გამოაფხიზლეს საღათას ძილს მიცემული ქართველობა და ბრძოლის ჟინი და ნება დაუბრუნეს. რა საოცარი სიყვარული და მონინება იგრძნობა ამ დიდი ქართველებისადმი ლექსში „XIX საუკუნის პოეტები“:

რად არის ასე უძვირფასესი,  
წუხილის ასე გამქარვებელი,  
მშობლიური და შვების მომტანი  
ეგ თქვენი სახე, სპეტაკი წვერი  
და თქვენი შუბლი-ეკლესიის თეთრი პორტალი.

მართლაც რომ ბრწყინვალე ლექსია. თქვენს ცრემლში თრთოდა ეს საქართველოო, თუნდაც ეს ერთი სტრიქონი ღირს სხვათა მთელ შემოქმედებად და, შეიძლება თამამად ითქვას, ასე ზუსტად, ასე ტე-





ვადად არავის აღუნიშნავს ღვანლი და რუდუნება გარდასული საუკუნის დიდი ქართველებისა.

როგორ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ის მაღლიერების გრძნობა, რაც გივი გეგეჭკორს გააჩნდა იმათ მიმართ, ვინაც სრულად გაისიგრძეგანა საქართველოს, ქართველობის ფასი და მნიშვნელობა მსოფლიოს ცივილიზაციაში. ამ მხრივ მართლაც რომ სწორუპოვარია „ლექსი მისის მარჯორი უორდროპ-ზე“, ბრიტანელ ქალბატონზე, რომელიც ჩანვდა რუსთაველის გენიას, მის განუმეორებელ ხიბლსა და ანდამატს. მარჯორი უორდროპს ხომ მართლაც ნათელმხილველის ძალა აღმოაჩნდა, რომ რუსთავეტა იმპერიის კუნჭულში გამოკეტილი ერის სული ამოეცნო და ეს სული შეძლებისდაგვარად დაენახვებინა ცივილიზებული სამყაროსათვის. გივი გეგეჭკორის თაყვანისცემას ინგლისელი ქალბატონისადმი ისიც აძლიერებდა, რომ მან სწორედ „ვეფხისტყაოსანი“ — ქართველთა ბიბლია თუ ზნეობრივი კოდექსი აირჩია სათარგმნელად და ისე შეექიდა ათრთოლებულ სტრიქონებს, როგორც ვაზის ლერწი ეჭიდება ხოლმე ჭიგოს...

ბატონ გივისთვისაც ხომ ქართული პოეზიის ეს მწვერვალი იყო უმთავრესი საესავი საგანი, კარგად იცოდა, რომ სამოთხის კარიბჭემდე სწორედ რუსთაველი მიგვაცილებს და სწორედ რუსთველური სიზმრებია ჩვენი სასუფეველი. ამიტომაც ემუდარებოდა ღმერთს:

საქართველოს აღირსე  
მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“  
ბედნიერი ბოლო!...

ბოლოს რაც შეეხება, თავად მაინცდამაინც არ ანალვლებდა საკუთარი აღსასრული. უფრო მეტიც, იქნებ იმიტომაც უნდოდა მალლა აფრენა, რომ ჩრდილში დამნიფებულ ნაყოფივით უგემური გახდა ცხოვრება, გვერდით აღარ დარჩა კაცი, ვის საათზეც დააყენებდა წინ წასულ თუ ჩამორჩენილ საათს, ღირსეულად ვერ ატარებდა სიამაყის უძძიმეს უღელს,

აღარ ექნებოდა განურჩევლობასთან შებრძოლების უინი და თუნდაც მზერით ვერავის გაასამართლებდა. ამიტომაც ელაპარაკებოდა სიკვდილს შენობით, მისი ავიც მოეხსენებოდა და კარგიც, ერთი სიტყვით, მოშინაურებული ჰყავდა, იცოდა, რომ ბოლოს მაინც უნდა ნაქცეულიყო, ისე, როგორც ქარი აქცევს ხოლმე თეფშზე დამაგრებულ თაფლის სანთელს.

თუ არის გარდუვალიო,  
სული, უხმოდ და უთქმელად,  
ჩემსავით უნდა დალიო.

საკუთარი აღსასრული თუნდაც იმიტომ არ ედარდებოდა, რომ ერთანმინდაში, თეთრი ტაძრის შორიახლოს, სურდა საბოლოო განსასვენებლის პოვნა, იქ, სადაც მის წინაპარს უხნავს და უთესია, სადაც ოროველა უმღერია, სადაც სახნისი თუ ცელი, ხმალი და სიათა უჭედია, სადაც ზვარაკად შეწირვია სამშობლოს ურჯულო თათრების ხელში ჩავარდნილი. დიახ, გუთნისდედის, მეხრის, მჭედლის, ბერი თევდორეს, უსახელო უფლისციხელის შთამომავლისთვის. მართლაც უპრიანი იყო სული ერთანმინდაში დაევენებინა, მისი ველებისა და გორების განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო, მით უმეტეს:

კაცს დედა წინ თუ გაუძღვა  
ან თუ ჩასჭიდა ხელი  
და ნაიყვანა, სიკვდილი  
არა ყოფილა ძნელი.

ხედავთ რა სადად, რა გულში ჩამწვდომადაა გადმოცემული სიყვარული და თაყვანისცემა დედისადმი, ყოველგვარი ღვლარჭნისა და ზიზილიპილოების გარეშეა ახსნილი, რომ ქართველი კაცისთვის უპირველესი ჭემმარიტება სამშობლოსთან ერთად დედაა, რაც თითქმის ერთი და იგივეა. მამას რაც შეეხება, პოეტის დამოკიდებულება უდროოდ აღსრულებული მშობლისადმი ბრწყინვალედაა ახსნილი ამ წერილის დასაწყისში მოყვანილ ლექსში. სხვათა შორის, მამის ხსოვნას ბატონმა გივიმ კიდევ ერთი ლექსი მიუძღვნა, რომელმაც ძალზე მოხდენილი შედარებით დამამახსოვრა თავი.

და თაროდან წიგნი ისე  
მონინებით გადმოგქონდა,  
თითქოს ფრთხილად  
ქალს ცხენიდან  
გადმოსვლაში შველოდი.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში ძალზე ძნელია გივი გეგეჭკორივით ზნეკეთილი, კრისტალურად სუფთა და პატიოსანი პიროვნების მოძებნა, ისეთისა, ვინც სიკეთისა და ბოროტების ჯვარედინი ცეცხლიდან შეურყვნელი გამოვიდა. ბატონი გივის შემოქმედება სხვა არა არის რა, თუ არა ყველა კაცში უმანკო ბავშვის გაღვიძების თავგანწირული მცდელობა. ჩვენი ყოფის სრულყოფილად მცოდნეს ისიც მოეხსენებოდა, რომ ძალიან ცოტასთვის თუ აბრიალდებოდა მისი სიტყვების კოცონი, ცოტა ვინმეს თუ მოხვდებოდა გულზე მისი ღაღადისი. მაინც არ ნებდებოდა და სწამდა, ბაყაყი რომ ბაყაყია, იმასაც კი შეუძლია ჩვენი ცოდვილი სულელების აფორიაქება, და იმის შესხენება, რომ თუ არ განვიწმინდეთ, ცოდვით დაცემულებმა თუ არ გავიაზრეთ რა ჯოჯოხეთში ვაპირებთ შთანთქმას, არაფერი გვეშველება.

ერთი ცხოვრობს ხმაურით, მხოლოდ ფუჭი დიდებით,

სახელით და ფულით,  
ხოლო დააქვს მეორეს დღემდე გაუზზარავი  
სული-ფაიფური.





სწორედ ამ ფაიფურის სულითაა გივი გეგეჭკორის პოეზია დამუხტული, სწორედ ამ ფაიფურის გირლანდებისთვის გვიყვარს მისი პოეზია და თავად ბატონი გივიც. რეგალიებივით ნაბოძებ ოცნებებს, ზმანებებს, ვარსკვლავებს, სათუთად უფრთხილდებოდა და მარტო არსთაგამრიგემ იცის, მისი მკაცრად, კატეგორიულად შეუვალი სინმინდის ბასტიონებს მიღმა რა ვულკანები თუხთუხებდა. რანაირად ახერხებდა იმ ყოვლისნამლეკავი ლავის შეკავებას, ამისთანა რა დამბები ჰქონდა აგებული, ესეც უზენაესმა იცის მხოლოდ და მხოლოდ.

და ამ სინმინდის და ამ სინათლის  
წრეს არ გადავალ მე არასოდეს!

არც გადასულა, რადგანაც ყველა შესაძლო ხიდი, ბორანი თუ ბოგირი, რომლებიც ჩვეულებრივი მოკვდავთა საუფლოსთან დააბრუნებდა, კარგა ხნის წინ საგულდაგულოდ გადაწვა და მაინც მთელი ცხოვრება ებრძოდა ნებადართული და, ამავე დროს, აკრძალული სუსტი და მძაფრი სურვილების ყლორტებს, რომლებიც მის მკერდს ოქროს თევზებივით ეხლებოდა, როგორ ცდილობდა სურვილების ზღვისთვის დაებრუნებინა ის სხმარტალა არსებები.

თუმცა გივი გეგეჭკორი რა პოეტი იქნებოდა, სილამაზისა და მშვენიერების აღქმა რომ არ შესძლებოდა მის უმცირეს ნიუანსებშიც კი:

და კაბის ორი სახელოდან მოედინება  
ხავერდზე ორი თეთრი მდინარე.

ეს სტრიქონები დიდი ფლორენციელის „მონა ლიზას“ ეძღვნება, რომლის მაგიური ღიმილი მდინარის ოდნავ შერხეულ ზედაპირს გვაგონებს.

სხვა ლექსში პოეტი შეჰყურებს თქამის ხიდზე ჩამომჯდარი ქალის ფეხებს და ეჩვენება, რომ ორი შიშველი ტერფი ნიგვზის ორი ლეზანივით ციმციმებს. უდარდელად იცინის გოგონა და ვერც კი ხვდება, რა ძალის პატრონია, რომ მისი სიცილის თეთრ მდინარეს პატარა ნისქვილის დატრიალება შეუძლია.

ეტყობა, მხოლოდ გივი გეგეჭკორს შეეძლო თუნდაც ერთი წამით საკუთარ არსებაში გაედვიძებინა წინაპართა სული და ჩვეულებრივ შინდის ბურქს, როგორც ღვთაებას, ისე მიახლოებოდა; დაენახა მისი სიცილი, მისი უმწეობა, მისი ათრთოლებული სულის ბურუსი თუ სიხარულის ნათელი ლანდი:

და მე ვარ წმინდა,  
რადგან წმინდა ხარ  
და თავდახრილი ბავშვივით სათნო...

და თუ რამ უნდოდა ჯილდოდ, საკუთარი უგნური ოცნების ჯილდოდ, შინდის უსიტყვო მზერა უნდოდა და სხვა არაფერი.

გივი გეგეჭკორის ლექსებში ობოლი მარგალიტით ბრწყინავს „თაყვანისცემის ლექსი“, რომელიც მან გვარიშვილობით, სილამაზით, სიმშვენიერით გამორჩეულ კოლეგა ქალბატონს მიუძღვნა, ქალბატონს რომელსაც გაუხუნარი ანჩის ღვთისმშობელი უწოდა და ეს შედარება არავის მიუჩნევია მკრეხელობად თუ თავხედობად.

შენთან ვერავინ გადავა  
კეთილგონიერების,  
გინდა სიღარბაისლის  
და ზნეობის სამანს,  
ყველას შენი თვალების  
ნაკვერცხლებით ერევი,  
მზერით ათვინიერებ,  
მშვენიერო თამარ!

აქვე ვთქვათ, რომ ლექსის ადრესატი თამარ ერისთავი იყო, მართლაც რომ უმშვენიერესი და ულამა-

ზესი ქალბატონი. რომელმაც სამარის კარამდე ატარა ხიბლი და ათინათი შეუბღალავი სულის მქონე, ბანოვანისა...

დაბოლოს, სულისშემძვრელი ლექსი „შენ სულამითი შეგიყვარდა ბოლოს, სოლომონ!“

ეს ლექსი ასკეტი პოეტის სრულ კაპიტულაციას ჰგავს იმ უბრალო ჭეშმარიტების წინაშე, რომ ჩვენ, რიგითი მოკვდავნი, ამაოდ ვებლაუჭებით ამქვეყნიურ სიკეთეებს, რომ თითქმის ერთადერთი რამ, რისთვისაც ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც, სასურველი ქალის სადაფივით გადახსნილი ტურჩია და რომ სიყვარულის გარდა სხვა ყველაფერი ფუჭია დედამინაზე. ესეც მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეეძლო ეთქვა.

გივი გეგეჭკორი ნათელმხილველის დარად ამჩნევდა შავი ღრუბლების მოჯარებას მშობელი ქვეყნის თავზე და ხმამაღლა აფრთხილებდა ყველას, ჟამთაველის უმკაცრესი მსაჯული გვიახლოვდება, ვიღაცას დაჟინებით სურს დედამინა ორბიტიდან ამოვარდნილი იხილოს და გალაკტიკაში ჩაძირულ „ნაუტილუსად“ აქციოსო, აპოკალიფსური ზათქისა და გრუხუნის ხმა ესმოდა, ნგრევის ხმა და იმასაც ხედავდა, სასწაულებრივ გადარჩენილი ტაძრები როგორ ეკავათ მხრებით წელში გადრეკილ კარიატიდებს.

გივი გეგეჭკორის „სიზმრის ლექსში“ მისტერია თამაშდება, რომელშიც პოეტი საკუთარ დასაფლავებას ესწრება. ჰოდა, ამ მისტერიაში სასახლე სასახლე კი არ არის, არამედ მამაპაპისეული საწნახელი. იმ საწნახელში კი რა აღარ დანურულა, უბრწყინვალესი რითმები, შედარებები, მეტაფორები, ერთი შეხედვით ისეთი სადა და უბრალონი, დაბუა ჩიტებივით შემინებულნი და აკანკალებულნი, რომ შენ, უბრალო მოკვდავს, გგონია, ასე ხომ მეც გავირჯებოდით, არადა, მათ შემქმნელს შეეძლო ჩამავალი მზე ყრმასავით მხრებზე შეესვა და ისე ეტარებინა. პლანტატორი გახლდათ, ლექსისა და ფიქრის ვეება დიუნების მეპატრონე, საიდანაც დროდადრო ყოვლისნამლეკავი ლავა იფრქვეოდა ხოლმე; იცოდა, რომ მისთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი, უფრო კარგად კი ის იცოდა, ზოგი რამ ცხადი რომ იყოს, ცხოვრება ჩირადაც არ ეღირებოდა. არც ის ავინყდებოდა, რომ ცხოვრება ლექსის რეფრენი არ არის და ამიტომაც არასოდეს განმეორდება. სულ ადარდებდა, როგორი იქნებოდა ხმელი ნიფელი მისი აღსრულების მერე, ანდა მისი ბავშვობის საოცნებო მდინარე, ანდა დაქცეული ციხე-კოშკის ქონგურები; მასზე კარგად აბა ვინ იტყოდა, რომ ყველაზე გულწრფელი და სპეტაკი ცრემლი სხვის ცრემლზე დაღვრილი ცრემლია, ყრმობის სიზმრებს ბევრჯერ რეცხვით გაცრეცილი ქსოვილივით უხილავ თოკზე ფენდა სასოებით, ბავშვური მორიდებითა და სიფრთხილით. რაც მთავარია, მან გვითხრა პირველად მწარე სიმართლე: ჩვენ, ვინც ასე მივესწრაფოდით თავისუფლებას, სამშობლოს ნაცვლად ეგვიპტელა შეგვრჩა ხელში და ამიტომაც მისი ცხოვრება მხოლოდ სინანულია გარდასულის გამო. მხოლოდ ლექსი შერჩენია ჭეშმარიტ ჭირისუფლად და მოზიარედ:

დღეს ლექსია მხოლოდ ჩემი  
არსებობის თავდები.  
სად ხართ ჩემო სტრიქონებო?  
ვცოცხლობ თქვენი იმედითლა,  
ამ ცხოვრებას მე უთქვენოდ  
ველარ გავუმკლავდები.  
ველის ყვაილებივით ასოების ღალანს დაჰყ-



ურება ტკივილითა და იმედით. იმედმაც არ უმცყუნა. მისი ლექსები ქართული პოეზიის საუფლოში მეტად საპატიო ადგილს იკავებს. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მაღლსა და მირონს უამრავი დამჭაშნიკებელი გამოუჩნდება.

თავად ბატონი გივი კი დიდი სინათლის წრეში დგას, რწმენას ზვარაკად შეწირული პოეტი, სიცოცხლეში რომ დედინაცვლის გამეტებულ ცრემლში არეულ ქატოს აძალებდნენ მუდამ, პოეტი, რომლისთვისაც ლექსი რელიგია გახლდათ და უბრალო ჭეშმარიტებას გვახსენებს, რომ ჩვენ, ადამიანები

სიყვარულისა და ბედნიერებისთვის ვართ გაჩენილი და ამიტომაც მუდამ უნდა ვიბრძოდეთ დედამიწაზე ამ უმშვენიერესი ცნებების დასაცავად.

მე კი, გივი გეგეჭკორის ერთგულ მკითხველს, ისლა დამრჩენია, თავი მდაბლად დაეუხარო რაინდად დაბადებული პიროვნების წმინდა ლანდს და მისივე სტრიქონებით მივმართო:

რა მშვიდად მინგრევს ახლა სიმშვიდეს  
შენი მშვიდი და ნათელი სული.

2014



### „ობლის ერთი ცრემლი...“

ერთმა მშვენიერმა პოეტმა განაცხადა, წიგნის გადაშლამდე „სარიტუალო გალობის“ შესრულებაა საჭირო, წიგნთან რწმენით უნდა მიხვიდეო.

დავუმატებდი: გაათმაგებული რწმენაა საჭირო, როცა ხელში პოეტურ კრებულს იღებ.

თუ ამ სენტენციას ვერწმუნებით, სარიტუალო გალობას ჩავატარებთ და ისე მივეახლებით მანანა ჩიტიშვილის შემოქმედებას, აღმოჩნდებით ჩვენთვის სრულიად უცნობ გალაქტიკაში, რომელსაც სასწაულების მოხდენა ძალუძს.

რა თქმა უნდა, მანანა ჩიტიშვილის ლექსს კარგად იცნობს გემოვნებიანი ქართველი მკითხველი, იცნობს მის მომცრო პოეტურ კრებულებსაც, მაგრამ, როცა ერთ წიგნშია თავმოყრილი პოეტის თითქმის მთელი შემოქმედება, სულ სხვა განზომილებაში აღვიქვამთ პოეტსაც და მის შემოქმედებასაც.

მერწმუნეთ, ბატონებო, პოეტის სამყაროში შეღწევისას თვალნათლივ დარწმუნდებით, რომ თანამედროვე ქართული პოეზიის თანავარსკვლავედში მანანა ჩიტიშვილს თავისი გამორჩეული, დამსახურებულიად გამორჩეული ადგილი უკავია და ამის დაუნახაობა მეტისმეტად უმაღური საქმეა.

მანანა ჩიტიშვილი მართლაც რომ მზის შვილია, ასე მართლად, ასე მშვენივრად რომ დააბიჯებს პოეზიის საუფლოში და მზით ავსებულ ლაჟვარდებში შერევა სურს; მაშინაც კი, როცა ზამთარს უმღერის, მზისკენ რჩება ყელი განვდილი, სულიც ქართული მზითა და მთვართა აქვს სავსე.

მაინც ვინ არის მანანა ჩიტიშვილი, ნისლისფერი მიმინო, რომელსაც ერთფეროვანი სევდიანი დღეები თავის მოკვლის სურვილს რომ უჩენს თუ პანანინა ლურჯი ბილია, ქსნის პირას რომ ჰყვავის ასე შეუმჩნევლად და კდემით? იქნებ, გალიიდან გამოპარული ნობლიაა, ნდობით, მორჩილად რომ მიახლება მაცხოვარს და მისი თბილი ხელისგულიდან კენკავს ქართულ სიტყვებს.

ვინ ვინ და მანანა ჩიტიშვილმა იცის, პოეტის ბედი რომ ჯვარცმაა, რომ მისი გზები ცრემლისა და სისხლის მდინარეებზე გადის, საგზლად შური და შეჩვენება რომ მიაქვს, თანამგზავრად კი გრიგალები, ქარაშოტები დადარება.

დიახ, გაკრულია მარტოობისა და შეჩვენების ჯვარზე და ივსება სისხლის წვეთებით, ცრემლებიც კი გაქვავება და ფერად კენჭებად ჰყრია ამაოების ერთ დაუსრულებელ გზაზე, რომელიც ერთმა ღმერთმა თუ იცის, სად იწყება და სად მთავრდება, პოეტს ისიც კარგად მოეხსენება, ყველა ჭეშმარიტი ლექსი თუ გვიკლავს წყურვილს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოთქმაა, ამოხეილი ტირილია მისი სულისა. განვილილ წლებს ისე ითვლის, როგორც ნატყვიარს,

ნარსული ხომ წამწამებზე აკინძული ცრემლებია.

მაინც რა სჭირდება, ბევრი არც არაფერი, თონის პურივით ნატეხილი სითბო და სალამი, ერთი ობლად ამოსული სოსანი, ქვეყნის თვალ-მარგალიტს რომ გადანონის... კიდევ ის სურს, რომ მისი მშობლიური ქსნის პირას დაბადებული სიმღერა ცაში ვარსკვლავთან აიჭრას და იქ დაივანოს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პოეტისათვის ქსანი ის წმიდათანმიდა დედამდინარეა, საიდანაც იგი სიკეთესა და სათნოებას ენაფება, ქსნისა და ცხმორის ციხეების ქვითკირითაა ჩადულაბებული მისი მშვენიერი პოეზიის ქონგურები. სწორედ ამ ქონგურებიდან შლის ასე მძლავრად და თამამად ფრთებს იმ ქარის მოსახელთებლად, ცაში რომ ღრუბლის მოქათქათე აფრა გაშალა. ამ სილამაზეების პატრონს, ამავე დროს, ერთი წუთითაც არ ავიწყდება სრულიად საქართველო და ყველას გასაგონად აცხადებს; „ქსანზე რომ ბალახს ხელს გადაუსვამ, მთელ საქართველოს ვეფერები“.

ეფერება და მერე როგორ ეფერება!

მანანა ჩიტიშვილი საოცარი მისტერიის მონაწილედ გვხდის, მისტერიისა, როცა სწორედ პოეტის პირით შესთხოვს ჩვენი ჯვარცმული ქვეყანა უფალს მის ნილ მზესა და ქარს, ჯამსა და ქვევრს, კალოსა და კევრს, შესთხოვს, როგორც მისი უმცროსი, ნაბოლარა შვილი, მტრის მოლოდინში ყალყზე შემდგარი და მშვილდით მომართული. ამ წიგნში ჩვენ საოცარი მეტამორფოზების მომსწრენი ვართ, როგორც კი პოეტი მზერას სამშობლოსაკენ მიმართავს, ხმაში რიხიც უჩნდება და საოცარი შემართებაც, ამორძალთა შორეული შთამომავალი იღვიძებს მასში და მხედრული ჟინისა და აღტკინების ჟამი დგება. აბა, სხვანაირად როგორ იქნება, როცა დავინყებულ იქნა დიდგორი, როცა შეგინებულა ანისი, როცა საქართველოს თავზე ღალატის, ორგულობის, გაუტანლობის ზვავი მოგორავს და ლამის ტანზეც ღალატის შხამი წავისვათ, როცა ეშმა ურცხვად ილხენს და ზვაობს, როცა ქართლისკენ მიმავალ გზებზე ისევ ავარდა სვეტებად კვამლი პირსისხლიანი, დუჟმორეული მომხდურისა... პოეტიც ეტოქება სანუთროს — უნდოს, გულქვას, მოუხეშავს, გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ ილენება ქართველთ თავთავი ჩვენივე დროის ცოდვის კალოზე. მას ველარაფრით გააკვირვებ და მაინც — ორგულთა სიმრავლე არ აკვირვებს, ერთგულთა სიმცირემ შეაშინა, შეაშინა იმანაც, რომ ათაგზის ჩაგვატანეს ციხის კედლებში, ციხე კი მაინც ვერ აშენდა. როგორ იქნები ამის შემხედვარე მშვიდად, რა სიმშვიდეზეა ლაპარაკი, როცა „ბალახიც სატევარივით მოდის მიწიდან“. სწორედაც სატევარი და მახვილი სჭირდება დღევანდელ საქართველოს, თორემ „მარტოდენ სიტყვით გაბრუნებული ვინ ნახა



მტერი“ და მანანა ჩიტიშვილიც ჩვენში მხედრული სულის გაღვიძლებას ცდილობს, შენ ოღონდ დასწვდი ფრანგულს და უნინ თუ გინდ მე დამკარო, გვამუნათებს და გვევედრება. გვევედრება, გვაფხიზლებს, რადგანაც საქართველო ობლის ერთი ცრემლია მაცხოვრის თბილ ხელისგულზე ჩამოღვენილი და მის ნაბილწვას, მის იავარქნას არავინ გვაპატიებს...

ამ უთანასწორო ბრძოლაში ღვთის იმედიტაა გამსჭვალული, ზეცას მლოცველის დარად რწმენით შეჰყურებს და გზისპირას მდგარი უმშვენიერესი შინდი მისთვის, უპირობოდ, მაცხოვრის ხელით დანთებული წმინდა სანთელია და სხვა არაფერი...

საოცარი დამოკიდებულება აქვს მანანა ჩიტიშვილს ლამესთან, სიზმართან. შეიძლება ითქვას, რომ, როგორც შემოქმედი, ფერს სწორედ ლამელამობით იცვლის და ახალ იპოსტასში წარმოგვიდგება. ხანდახან თვითონაც შეკრთება ხოლმე, როცა სიზმრად დაწყვეტილ აპეურებს ხედავს იმ უღლისა, დღისით რომ ადგას მორჩილ მხრებზე. დიახ, ლამელამობით ღრუბელს მიჰყვება ცაში, რათა მთვარეს-ვერცხლის შანდალს მიეახლოს, მიეახლოს თავის საწყალ, უფსკრულში ჩაკარგულ სიყვარულს, ჯიუტად, ტანჯვით რომ მიარღვევს უგრძნობ ლოდებს და სინათლისაკენ მიიზიდება, მარილს დანატრებული კვიცივით ლოკავს უძილო ლამეებს, სწორედაც რომ ჭალაში გავარდნილი ლაგამნაყრილი და უბორკილო ურა კვიცივით მიქრის უსასრულობისაკენ, თავდავიწყებისაკენ და თუმცა მეტისმეტი „თავდაჭერილობით“ უმტკიცებს სიყვარულს, ყველა კარი მოგიხურეო, მაინც გრძნობ, რომ ერთი გაელვება, მეხთატების ნიშანი და...

ერთი საოცარი ლექსი უნდა მოგიტანოთ ნიმუშად:

„დილაღამიან უნდა ავდგე  
და პირველივე თოვლობისას  
ჩემი სახლისკენ მიმავალ ბილიკზე  
დიდი,  
განიერი ნაფეხურები უნდა დავხატო.  
დაე, ეგონოთ, რომ დაბრუნდი,  
რომ აქა ხარ,  
აღარსად წახვალ“.

გულზე ხელი დაიდეთ და ისე თქვით, ბატონებო, ბევრი შეგხვედრიათ მსგავსი ლექსი, ტანში ჟრუანტელად რომ დაგივლით და ერთიანად შეგძრავს. პრეისტორიული უმძაფრესი ვნებაა გათანგული ამ სტრიქონებში, წარსულ დღეებს პანაშვიდს რომ უხდის, ყველაზე დიდ ნადავლად წყურვილისაგან დამსკდარი ბაგე და ხსოვნაში ხანჯალივით ჩატეხილი სურვილი რომ დარჩენია. პატიებას სთხოვს სიყვარულს მხოლოდ იმისთვის, რომ დღესაც ძველებურად ერთგულია მისი, რომ ბაგეები კვლავ მის სახელს გამოირიყავენ... მერე იღლება და ძვრება თბილ ბუნაგში — საკუთარ წარსულში და თათის — მოგონებების ლოკვას იწყებს.

ამასობაში თენდება კიდეც...

როგორ შეიძლება გულში სიკეთე არ ჩაგედ-



ვენთოთ, როცა შვილისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავთ, როგორ ეფოფინება პირმშოს, როგორ ემეტება მისთვის ყველაფერი საკუთარი უბედობისა და ავი სიზმრების გარდა, როგორ ამშვიდებს, არსადაც არ წავალ, სანამ ჩემი კაბის ბოლო გიჭირავს, სანამ შენი პატარა თითებით თავად სიცოცხლე მებლაუჭებო.

სულ რამდენიმე ლექსი აქვს პაპისადმი მიძღვნილი და რამხელა სიყვარული, რამხელა სითბო და ნაღველი ჩაუტევია სტრიქონებში, რა სრულყოფილად დაუხატავს ბრძენი გლექაკის სახე, როგორ განუზოგადებია...

ცალკე აღნიშვნის ღირსია დაქვრივებული დედის სახე, რომელიც მთელი დღე ჯარასავით ტრიალებს ლამისფერი თავშლით, საღამოს კი

„ჩამობინდდება, ცეცხლთან მისჯდები მარტო და დარდიანად მკლავებს კალთაში ჩაშლი.“

კალთაში მკლავებჩაშლილი დედა... ყელში ბურთივით გვებჯინება ცრემლი, რადგან ეს ხომ მარტო პოეტის დედა არ არის. თავსაფრიანი დედაკაცისა თუ ოთარაანთ ქვრივის დიდებული მღუმარებაა გამეფებული ამ სტრიქონებში...

საერთოდაც, მშვენიერი პეიზაჟების ხატვა ეხერხება პოეტს. გზისპირს აყვავებული ტყემალი ქორწილიდან გამოპარულ ქალწულს აგონებს, გაზაფხული მოდის და რა გადარევით, რა ჟუჟუნა წვიმების თქორით რეკს ბრონეულის ცეცხლისფერ ზარებს. მშობლიურ ცხმორის ციხესთან ქსანი თურმე გაშიშვლებული სატევარივით ელავს. ყვავილებში ჩამალული საფლავის ლოდი სასწაულად ეჩვენება, ეჩვენება, რომ სიკვდილი სიცოცხლედ მოდის... სადღაც სოფელში, ღობის გადაღმა, წარბშეკრული მახლის ნამალევადა, ოცი წლის ქვრივი ეფერება ალუბლის ყვავილს... ახალი ტრაგედია იბადება თუ...

ყველაფერ ამას მანანა ჩიტიშვილის შემოქმედებაში აღმოაჩენთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ სიყვარულია მარადი და ვისაც სიყვარული შეუძლია და ღვთის ერთი წვეთიც დაეპკურება, მისი ლექსი, მისი პოეზია მუდამ აგვადელებს, აგვაფორიქებს, მაგრამ ამავე დროს უფრო სუფთასა და გასკეტაკებულს გაგვხდის.

პოეზიის დანიშნულება, ალბათ, ესაა.





### ოთარ ხუციშვილი

58



2016 წელს გამომცემლობა „ივერიონმა“ გამოსცა ოთარ ხუციშვილის პუბლიცისტური წერილებისა და სატირულ-იუმორისტული მოთხრობებისა და ნოველების კრებული „ცხოვრება ღიმილია“. ავტორის ნებართვით, ჟურნალ „ოლეს“ წინამდებარე ნომერში, გთავაზობთ ორ პუბლიცისტურ წერილს; ასევე წიგნის რედაქტორის — სპარტაკ ქობულთას წინასიტყვაობას.

### რედაქტორისგან

წინასიტყვაობა წიგნის ავტორის სულის გასაღებია. უწინასიტყვაობო წიგნი უგულო კაცსა ჰგავს. ოთარ ხუციშვილის სულის გასაღები თუ გინდათ იპოვოთ, ეს წიგნი ჩემსავით სულმოუთქმელად უნდა წაიკითხოთ. განსაკუთრებით კითხვას გადაჩვეულ და ოდენ კომპიუტერს მიშტერებულ ახალგაზრდა მწერლებს და ჟურნალისტებს გამოადგებათ გამოცდილი, კალამმოუღლეელი, წარმოუდგენლად ხელხვაიანი პუბლიცისტის ეს ნაწერ-ნააზრევი.

ვინ არის ოთარ ხუციშვილი? ყოველგვარი „გაპრანჭვის“ გარეშე გეტყვით, იშვიათად შემხვედრია მასზე უფრო თავაზიანი, უბრალო, კასკასა იუმორით და სიკეთით გამორჩეული შემოქმედი. თანდაყოლილი, რა თქმა უნდა, ოჯახიდან და ღვთისგან ბოძებული სინდის-ნამუსი, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მიღებული ფილოსოფიური განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილებით დალდასმული ინტელექტი მისი ზნეობრივი სიმაღლის ფუნდამენტია.

ოთარ ხუციშვილის პუბლიცისტური წერილები, ცხოვრებისეული ნატურიდან ნასაზრდოები სატირულ-იუმორისტული ნოველები, მოთხრობები და ფელეტონები ნახევარ საუკუნეზე მეტია გულს უხარებს მადლიერ მკითხველს.

მართალია, ამ კრებულის ავტორმა მრავალი სახელოვანი გაზეთის რედაქტორობასა და რიგით ჟურნალისტობას უძღვნა ლამის მთელი სიცოცხლე, მაგრამ... დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი მემატიანე, თითქმის საუკუნოვანი „საქართველოს რესპუბლიკა“ მაინც სხვა...სახლი და ნანინანატრი რედაქციაა მისთვის. ამ სოლიდურ კრებულში შეტანილი ყველა წერილი, სტატია, ინტერვიუ თუ იუმორი, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო ათწლეულის (2006-2016) რეფორმატორულ ძვრებთან ერთად შეუფერადებლად წარმოაჩენენ ნაცისტების ძალმომრეობით დალდასმული ქვეყნის ნაცრისფერი დღეების ტრაგიაზმს, პერმანენტულად იბეჭდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

როგორია ოთარ ხუციშვილის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იუმორისტული კრედიტ? ის ემყარება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატის, ერთიერთმანეთზე უკეთესი წიგნების ავტორის ესთეტიკურ მრწამსს — წეროს სიმართლე, წეროს დამაჯერებლად, წეროს მიმზიდველად.

მიმზიდველია წიგნის ავტორის ენობრივი ლექსიკა, მდიდარი და ჯავარიანი — მისი სტილი. რაც უნდა სპეციფიკურ თემაზე წერდეს, ის ცდილობს უცხო სიტყვებს აარიდოს დედატექსტი. უდავოდ უფლის წყალობაა, რომ ოთხმოცს გადაბიჯებული ოთარ ხუციშვილი კვლავაც მხნედ არის, კალმის „გაპრობას“ არ აპირებს და ხშირად გვახსენებს: ჭკუა თავშია და არა ხანში!

სპარტაკ ქობულთა

### საქართველოში ნავთობის ზღაპრული მარაბია?!

წერილი მინდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში ამასწინანდელი მოულოდნელი ვიზიტით დავიწყო, რომელსაც საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ჩვენებური ნაცები აღფრთოვანებული ჩანდნენ, აი, ნახავთ, ამბობდნენ ისინი, ჩვენ რომ იქით რუსულ „გაზპრომს“ ვეკურკურებით, ალიევი ამას არ გვაპატიებს, გაზის მოწოდებას შეგვიწყვეტს და ამ ზამთარს სიცივეში გვახავხავებებსო.

ღვთის მადლით, მსგავსი არაფერი მომხდარა. ჯერ კიდევ ალიევის ჩამოსვლამდე, „სოკარმა“ დაგვამშვიდა: საქართველოში თუ „გაზპრომი“ შემოვა,

ჩვენთვის პრობლემა არ იქნება, კონკურენციისა არ გვეშინია და ალტერნატიულ ბაზარში სიამოვნებით ვიმუშავებთო. არც ბატონ ილჰამ ალიევს გამოუთქვამს უკმაყოფილება რუსულ „გაზპრომთან“ დაკავშირებით. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მტკიცებით, ალიევთან პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე „გაზპრომზე“ საუბარი საერთოდ არ ყოფილა. მისი თქმით, საუბარი შეეხო სხვადასხვა ენერგეტიკულ პროექტებს, რომელსაც საქართველოში „სოკარი“ ახორციელებს.

„ჩვენ მეგობრები ვართ, ძმები ვართ და დღევანდელი წარმატებული ვიზიტი და შეხვედრა ჩვენი



სამომავლო ურთიერთობების დინამიკური განვითარებისთვის წარმართული ნაბიჯია — განაცხადა ალიევმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ეკონომიკურ სფეროში ძალიან წარმატებული თანამშრომლობა აქვთ.

თუმცა სხვაგვარად ფიქრობს აზერბაიჯანული მედია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასა და „გაზპრომს“ შორის მოლაპარაკებებს „შეთქმულებას“ უწოდებს. ამასთან, იმასაც აღიარებენ, რომ ბაქოც მართავს მოლაპარაკებას „გაზპრომთან“ გაზის შესყიდვის თაობაზე. „გაზპრომთან“ თანამშრომლობა დამოკიდებულია საფასო წინადადებებზე, რომლებიც ორივე მხარეს აძლევს ხელს, — აცხადებს „სოკარის“ წყარო. ჰოდა, რატომ არ უნდა გვინდოდეს თანამშრომლობა „გაზპრომთან“, თუკი ეს ურთიერთობა ხელსაყრელია აზერბაიჯანისთვისაც კი, რომელსაც ილჰამ ალიევის თქმით, 100 წლის შემდეგაც შეუძლია გაზით არა მხოლოდ საკუთარი თავი დაიკმაყოფილოს, არამედ დააკმაყოფილოს მეზობლებიც და ევროპაც.

აზერბაიჯანს აქვს სატრიახო და ტრიახობს, თუმცა, როგორც ირკვევა, თურმე არც ქართველებს გვექონია ყურები ჩამოსაყრელი. თუ არ გვერათ, აგერ არის, ბატონო, ამერიკული ნავთობკომპანია „ფრონტერა“ და კითხეთ. ახლახან მის მიერ გაკეთებულ განცხადებას თუ დავეყრდნობით, საქართველოს ბუნებრივი აირის გაცილებით დიდი, 3-ჯერ მეტი რესურსი აქვს, ვიდრე აზერბაიჯანს. ამ მაჩვენებლით ჩვენ ვუსწრებთ გაზის მომპოვებელ ისეთ აღიარებულ ქვეყნებს, როგორებიც არიან ქუვეითი, ლიბია, ყაზახეთი, უზბეკეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ჩინეთი, ინდონეზია და სხვები.

ავშენებულვართ და ეგ არისო, იფიქრებთ თქვენ და კონკრეტული ციფრებით დაინტერესდებით. აგერ არის ეს ციფრებიც, რომლებიც „ფრონტერამ“ გულდასმითი დაანგარიშების შემდეგ საჯაროდ წარმოადგინა. მისი მტკიცებით, საქართველოში ბუნებრივი აირის შესაძლო მარაგი 3,8 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. მწარე ხევისა და ტარიხანის გაზის კომპლექსებზე, ამბობენ ისინი, 365 მილიარდი კუბური მეტრის გაერთიანებული პერსპექტიული ბუნებრივი გაზის რესურსია, მათ შორის 266 მილიარდი კუბური მეტრი — ამოსაღები პერსპექტიული რესურსები.

ამდენი კაცო?! თუ ასეთი ზღაპრული რესურსები გაგვაჩნია, ეს ჩვენი ნავთობისა და გაზის კორპორაცია რამ დაადუმა? მას „ფრონტერას“ აღმოჩენაზე რატომღაც დღემდე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა განმარტა, რომ საქართველოში თავისუფალი გაზის დადასტურებული მარაგი შეფასებულია რუსთავის, სამგორის, ნინოწმინდის, მწარე ხევის საბადოებზე და მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 1,874 მილიარდ კუბურ მეტრს. გარდა ამისა, ნავთობში გახსნილი მარაგიც დათვლილია და ის შეადგენს 75,3 მილიონ კუბურ მეტრს, ანუ ჯამურად თავისუფალი გაზის და ნავთობში გახსნილი გაზის დადასტურებული მარაგები 1,922 მილიარდი კუბური მეტრია, რაც „ფრონტერას“ გათვლებს ორი ათასჯერ ჩამორჩება(!).

სხვაობა გამიგია, მაგრამ ამხელა? თუმცა „ფრონტერასგან“ გასაკვირი არაფერია. მან შარშანაც გაგვაოცა „აღმოჩენით“, როცა საზეიმოდ განაცხადა, იორმულანლოში 42 მილიარდი კუბმეტრი გაზი აღმოვაჩინეთო და ისიც დაამატა, ამ რაოდენობით საქართველო მომავალში ენერგოდამოუკიდებლობისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამსო. ისე დაუმშვენდა ცხვირი „ფრონტერას“ წარმომადგენელ სტივ ნიკადროსს (განაცხადი სწორედ მან გააკეთა), როგორც ეს სიმართლე გამოდგა.

ამან მე გამახსენა შევარდნაძის მმართველობის პერიოდი საქართველოში, როცა აღმოჩენების სურვილით შეპყრობილი არა ერთი და ორი უცხოური ნავთობკომპანია მოადგა ქვეყანას ამერიკიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან თუ სხვა ქვეყნიდან. ყველა იმათგანი საქართველოს ამა თუ იმ მხარეში, მათ შორის შავი ზღვის შელფშიც კი, ეწეოდა ნავთობის მარაგის დაზვერვას და აღმოჩენილი ზღაპრული მარაგების კვალობაზე ქართველ ხალხს ბედნიერ ცხოვრებას უწინასწარმეტყველებდა. მახსოვს მაშინ დედოფლისწყაროში, მთავრობის წევრებთან ერთად ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. ახლაც თვალწინ მიდგას ედუარდ შევარდნაძის გაბრწყინებული სახე, რომელმაც კამკამა ნავთობით გალიცილიცებული ჭიქა ეშხით დააჭამნიკა და ქვეყანას აღმშენებლობის ახალი ეტაპის დადგომა მიულოცა.

ამის თაობაზე მაშინდელმა პრესამ, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკამ“ არაერთი იმედის მომცემი წერილი თუ სტატია გამოაქვეყნა, რომლებიც ისტორიას შემორჩა, თავად ზღაპარი კი, რომ საქართველო უმდიდრესი ნავთობის საბადოების მფლობელია, ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და საბოლოოდ გაქრა. მახსენდება „საქნავთობის“ მაშინდელი გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე, მეცნიერი და ამ დარგის დიდი სპეციალისტი, იმედიანად კი იყო განწყობილი „ფრონტერას“ მიმართ, მაგრამ როგორღაც მაინც ეჭვობდა და მეუბნებოდა: ამ ქვეყნად მხოლოდ მამაზეციერმა იცის, ქართულ მიწაში რა მოცულობის ნავთობის საბადოებია ჩაბუდებულიო.

ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ახლაც იგივე მეორდება, ოღონდ ამჯერად უკვე ბუნებრივ აირთან დაკავშირებით, რომლის მოპოვება საქართველოში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ეს იყო სამგორი-პატარძელის საბადოდან მოპოვებული ნავთობის თანმყოფი გაზი, რომლის წლიური მოცულობა პიკური მოპოვების წლებში 300 მილიონ კუბმეტრს არ აღემატებოდა. მას შემდეგ, რაც რუსთავის გაზის საბადო აღმოაჩინეს (1983 წ.), თავისუფალი გაზის მოპოვებაც დაიწყო, ეს პროცესი გაგრძელდა ნინოწმინდის უბანზეც, მაგრამ მოპოვებითი სამუშაოები იმდენად მცირეა და, აქედან გამომდინარე, მისი შედეგიც, რომ სალაპარაკოდაც არ ღირს.

აი, ეს გახლავთ დადასტურებული რეალობა სადღეისოდ და არა ის ზღაპარი თუ სპეკულაციები, რომლებსაც „ფრონტერა“, შესაძლოა საკუთარი აქციების ფასის გასაზრდელად გვთავაზობს. წამოეგება თუ არა ამჯერად „ფრონტერას“ ანკესზე ამჟამინდელი ხელისუფლება, ამას მომავალი გვიჩვენებს.





ხალხის ცნობიერებაში ფესვგადგმული აქსიომა — ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო, როგორც იტყვიან, ერთი ხელის მოსმით ვაბათილე. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ფაქტობრივად მოვლენები ისე დაემთხვა ერთმანეთს, რომ წინა კვირას კახეთს მიმავალმა ერთდროულად ორი კურდღელი „ნამოვანვინე“ — განახლებულ-რეაბილიტირებული გომბორის გზის გაყოლება ქოჩორა ტყეების შრიალითაც მოვიწიეს და ალაზნის ველის უმშვენიერესი სოფლების ხილვითაც დავტკბი.

პირველით დავინწყებ. გომბორის გზის საარაკო რეაბილიტაციის თაობაზე ტელევიზიით ნანახი თუ მოსმენილი ზღაპრების შემდეგ, ქებას ნახვა ვამჯობინე და მეტრო „ისნიდან“ თელავში მიმავალ ტაქსს დილაუთენია დავემგზავრე. შავტუხა კახელმა მძღოლმა ნასიამოვნები კაცის ღიმილით შემიპატიჟა (ეტყობა ავტომანქანის შევსებას დიდხანს ელოდა), ქუდი გვერდზე მოიგდო და ჩვენებურ გზებზე ნათრევ-ნატანჯი ბებერი მერსედესი ადგილიდან ეგრევე მოწყვიტა. ნავთლული, ვარკეთილი, ლილო, ვაზიანი ისე გავიარეთ, სიტყვა არავის დასცდენია (შიგადაშიგ მხოლოდ მანქანის ჩუმი ხვნემა ისმოდა), მაგრამ ცენტრალური ტრასიდან ხელმარცხნივ, გომბორის მიმართულებით გადავუხვიეთ თუ არა, მერსედესიც გალაღდა და მგზავრებიც უმაღლესი ლაპარაკის იმტაზე მოგვიყვანა.

— ბიჭოს! — აღმომხდა გაკვირვებულს, — თქვენ ბაქია ეძახეთ და ხედავთ, რა ვარსკვლავა გზა გაუყვანია ამ ჩვენს თავადაც ვარსკვლავა პრეზიდენტს. ესა ვთქვი და მიწყვი თვალწინ დამიდგა გომბორის განახლებული გზის გახსნის პომპეზური ცერემონია, რომელიც ასევე პომპეზურად (ფართოპლანიანი სატელევიზიო სპექტაკლით) დაასრულა ქვეყნის ავტობანების უპირველესმა შემოქმედმა მიხეილ სააკაშვილმა, საჭესთან დარდიმანდულად მჯდომი, ჯიგიტივით რომ მოაქროლებდა ქალაქისკენ რომელიღაც გლეხის ყურძნით დატვირთულ ავტომობილს.

— კარგი იმიტომ გამოვიდა, ჩემო ძმაო, რო კაი ფულები შეახრამუნა, — სცადა განმარტება უღვაშა მგზავრმა, — ამიტომაც გახსნა პრეზიდენტმა ეს გზა ორჯერ. ერთი ასფალტის დაგება რომ დაინწყეს მაშინ, და მეორედ — დამთავრებისას.

— როგორ თუ ორჯერა? — შევიცხადე.

— ეგრეა და რა ვქნა, — არ გატყდა უღვაშა, — ჩემი თვალით რო არ მენახა, სხვისა ნათქვამს არ დავიჯერებდი.

— ეგ თქვენ გიკვირთ კახელებს, თორემ ჩვენ რახანია მივეჩვიეთ საპრეზიდენტო თამაშებს, — თქვა ღიმილნარევი იუმორით მელოტმა მგზავრმა და მეტი დამაჯერებლობისათვის ცხვირზე ჩამოცურებული შავი სათვალე შეისწორა. — ქუთაისში მაგალითად, ერთი სამკერვალო საწარმო ბარე სამჯერაც გახსნა სააკაშვილმა, მაგრამ ამის გამო ხმაური კი არ აგვიტეხია, შე კაცო. რა მოხდა მერე, ალბათ ასეა საჭირო, რაღაც ახალი რო კეთდება, ხალხმა ხომ უნდა დეიმასსოვროს!

ამის თქმა იყო და მერსედესმა იმისთანა ჩაახათქუნა, მუცლიდან ლამის ნაწლავები გადმოგვცვივდა.

— აუჰ! — აბუზღუნდა მძღოლი, — თქვენი ლაპარაკის გადამიკიდეს, სუ დამავინყდა, რო აქ გზა ჩავარდნილია.

— მერედა რამ ჩააგდო? — დაინტერესდა ერთ-ერთი მგზავრი.

— ვიცი რო, ეტყობა ასფალტის დაგებისას ნასვამები იყვნენ და ხელიდან გაუვარდათ, — გაიღრჩა შავტუხა, — აგე გზას რამხელა ლატკა ადევს, მაგრამ მაინც ვერ ავსებს. ჯერ სადა ხართ, გზადაგზა იმისთანებსა ნახავთ, გული აგიფრიალდებათ.

ვერ მივხვდი, მძღოლი გაგვეხუმრა თუ განზრახ შეგვაშინა, რომ გავტრუნულიყავით. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე უჯარმას არ გავცდით, სახიფათო და საშიში აღარაფერი დაგვილანდავს. უჯარმის შემდეგ კი დაინყო და აღარ დამთავრებულა, ყოველ ნახევარკილომეტრში გვხვდებოდა მათა ფერდობებიდან ჩამონაშალი მიწის გროვები, რომელსაც გზებზე გამოფენილი მერემონტეები დიდი ჭაპანწყვიტის ფასად იღებდნენ და გზის მეორე მხარეზე გადაჰქონდათ.

— აჰა რა ეგონათ, ძამა, — გამხიარულდა მელოტი, — თქვენებური გულის ყველივით რომ ჩამოუთლიათ ეს მთები, არ იცოდნენ, რომ ეს შედეგი დაუდგებოდათ? ან აქედან მიწის ცვენა აღარ შეჩერდება, ვიდრე წლები არ გაივლის და ფერდობებს მკვრივი კორდი არ შეეკვრება.

— ჰოდა ძალიანაც კარგი თუ არ შეჩერდება, — გამოეპასუხა უღვაშა, — მეგზვევებს მუდმივი სამუშაო გამოუჩნდებათ, ხელისუფლებას კი სატრაბახო — ხალხი დავასაქმეო!

მართალი გამოდგა უღვაშა. სოფელ გომბორს რომ გავცდით, უფრო და უფრო იმატა მერემონტეთა ლაშქარმა. შესაბამისად, ბუნებრივია, იმატა არა მარტო მიწის ჩამონაშალმა, პირდაპირ ლელებში ჩავარდნილმა გზის მონაკვეთებმაც (ვერ დავითვალე რამდენმა), სადაც რიგში ჩამდგარ შემხვედრ მანქანათა მძღოლები დიდი სიფრთხილითა და გულის კანკალით იკვლევდნენ გზას. სარისკოა, შეიძლება მიწა გამოგეცალოს და უფსკრულში ჩაიძარხო(!).

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს შემიჩერე მანქანა, მეგზვევებს უნდა გავესაუბრო, — ვთხოვე შავტუხას.

— რას ბრძანებთ, ბატონო, — შეიცხადა მძღოლმა, — მე თუ მგზავრები მეგზვევებთან სასაუბროდ ვატარე, ჩემი ოჯახი ვიღამ შეინახოს? მაგათთან საუბარი რას მოგცემთ, მე თავად გეტყვით რაც მოხდა.

— მაინც რა მოხდა?

— არაფერი ისეთი, რაც სხვაგან არ მომხდარა. სუ ამ გზაზე დავდივარ და კარგად ვიცი, რა და როგორ გაკეთდა. მაგ ადგილებში, სადაც ახლა ჩანგრეულია, გზის მშენებლებმა საქმის გასაიოლებლად ქვიშა იმდენი აყარეს, ვიდრე არ ამოავსეს, მერე კატოკი გადაატარეს და ზედ ასფალტი გადააკრეს. ფურთხით ნაკეთები გზა, ჩემო ძმაო, ჩანგრეოდა, აბა რა მოუვიდოდა? — იკითხა მრავალმნიშვნელოვნად შავტუხამ, მერე მანქანიდან თავი გადაყო და იმათ ნაცოდვილარ გზაზე გუნებირად გადააფურთხა(!). ვერ გეტყვით, დანარჩენმა მგზავრებმა როგორ შეაფასეს მძღოლის საქციელი, მეკი პირადად იქ ნანახთან და განცდილთან დაკავშირებით არაერთი კითხვა გამიჩნდა.

პირველ რიგში თავში იმ აზრმა გამიელვა, რანაირად ხდება, რომ ის, რაც თელაველმა ტაქსისტმა იცის, თურმე არ იციან საგზაო მშენებლობის მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა, მათ შორის ჩვენმა ასფალტა მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა, რომელმაც ტელეეთერში ნარამარა ტრაბახით თავი ნაგვჭამა, — ისეთ გზებს ვაკეთებ, არამარტო ჩვენს შვილებს, იმათ შვილებსაც ხელის განძრევა აღარ დასჭირდებათ.

აგერ არა ჩანს, რა გზებსაც უტოვებენ შთამო-



მავლობას ჩვენი ზონდერა ნაცები? ღელეებსა და ხევსუფებში ჩაშლილ-ჩაფარდნილ გზებს რომ თავი დავანებოთ, სწორ გზაზე დაგებული ასფალტიც რომ აყვარათ, ეს როგორღა ავხსნათ? თუ ვინმეს არ სჯერა, მივიდეს და ნახოს უღელტეხილის ყელიდან თეთრწყლებისკენ მიმავალი გზა, სადაც ერთხელ უკვე „საგულდაგულოდ“ დაგებულ ასფალტს ხელმეორედ როგორ აგებენ.

ამის შემხედვარეს ძალაუნებურად გაგიჩნდება კითხვა: რატომ გაიხადეს საქმე საუკუღმართოდ, ამას არა სჯობდა, დინჯად, გულდამშვიდებით ემუშავათ, სტანდარტის მოთხოვნებიც დაეცვათ და გზის მშენებლობის ხარისხიც? რა თქმა უნდა, სჯობდა, მაგრამ თუკი პრეზიდენტი აჩქარებდათ? მოგეხსენებათ, მას უყვარს სიურპრიზების კეთება და ჩვეულებას არც ამჯერად უღალატა. იმჟამად კახეთში რთველი კარზე იყო მომდგარი და პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც ქვეყნის აღმშენებლის პრეტენზია აქვს, როგორ დაუშვებდა, რომ კახელებისთვის ეს ღირსსახსოვარი მოვლენა გომბორის გზის გახსნით არ მიელოცა. აკი მოინონა კიდეც თავი, საკუთარ ხუმტურებს აყოლილმა თავკაცმა იჩქარა (ნეტა როდის არ ჩქარობს!), მშენებლებიც ააჩქარა და გომბორის რთული საუღელტეხილო გზა, რომელიც 17 თვეში უნდა დასრულებულიყო, რეკორდულად მცირე დროში, სამი თვის თავზე (2010 წლის 2 სექტემბერს) საზეიმოდ გახსნა. თუმცა მან გახსნა ასფალტის საფარი და არა დასრულებული გზა, რომელიც იმ დონეზეა ნაქიჩმაჩარი, რომ ალბათ ვერც ვერასოდეს დასრულდება(!).


გომბორის გზა, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არ გახლავთ, ქვეყანაში ასევე რეკორდული ტემპებით და რეკორდულად უხარისხოდ შენდება სხვა გზები თუ ავტობანები, სასტუმროები თუ საავადმყოფოები, რომლებშიც ასეულ მილიონობით თანხები (ვაზიანი-გომბორის გზა, მაგალითად, 43 მილიონი დაჯდა) იყრება. იყრება-თქო ვამბობ იმიტომ, რომ იმ უთვალავ ფინანსებს, რომელიც გზების მშენებლობასა და რეაბილიტაციას უნდა მოხმარდეს, სამშენებლო სფეროში „დასაქმებული“ მაფია განაგებს და იქიდან საკმაოდ დიდი ოდენობის თანხებს „ტეხავს“. იხარჯება იმაზე გაცილებით ნაკლები, ვიდრე გზების

შენება-შეკეთებაზეა ოფიციალურად ნაჩვენები (აბა ყველაფერი თუ აღნუსხეს, ჯიბეში რაღა ჩაიდონ?). ამიტომაც არის, რომ უხარისხოდ, არაპროფესიონალების მიერ ნაკეთები გზები წარამარა გამოდის მწყობრიდან, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს და თითოეული ჩვენგანის ჯიბეს.

და ამ დროს, როცა მაფიოზები არამ ფულს ხვეტავენ, როგორ ფიქრობთ, რას აკეთებენ სახელისუფლებო სავარძლებში მოკალათებული მსხვილ-მსხვილი მოხელეები, ვითომ ბუზების თვლით ან მარტო გზების საზეიმო გახსნით ირთობენ თავს? როგორ გეკადრებათ, თვლა არც ამათ ეშლებათ, მით უფრო ხვლიკისფერი ბანკნოტებისა, რომლის ჩქერი მშენებელთა თუ ბიზნესმენტთა კოლონადიდან ხელისუფალთა ჯიბეებში უწყვეტ ნაკადად მიედინება. თანაც ისე უჩუმრად, რომ პრეზიდენტს ხელი არ შეეშალოს ყოველდღიურად გვებაქიბუქოს — ნახეთ რა მაგარი ვარ, ქვეყანაში კორუფცია ისე ამოვმანთე, უცხოელი ექსპერტებიც კი გამადიდებელი შუშით ეძებენ, მაგრამ ნასახსაც ვეღარ პოულობენო.

უფალი არ დაგიკარგავთ, ბატონო პრეზიდენტო, იმ აუწონავ მაღლსა და ამაგს, რაც თქვენ და ასფალტა მინისტრმა ქვეყანაში შილიფად ნაკეთები გზებისა და ხიდების მშენებლობის (და არა მარტო მათი მშენებლობის) დიდ ეროვნულ საქმეს დასდეთ. თუმცა კახელებს ერთი სანუხარი მაინც შემორჩათ — ამ ტიპალ გომბორის გზას ერთი წელიწადი მაინც რომ დაეჭირა თავი და არ ჩამოშლილიყო, ჩვენ ბედს ძალი არ დაჰყეფდაო, შემომჩივლეს, დარწმუნებული ვართ, ჩვენი ჩაუქა პრეზიდენტი არც ამ შემოდგომას დაგვზარდებოდა და ყურძენს, შორს თუ არა, თბილისის ბაზრამდე მაინც ჩავგვირბენინებდაო.

ნუ გეშინიათ, ხალხნო, გავამხნევე, მიშა მაგარია, თუ გომბორის გზით ვერ გამოაღწია თქვენამდე, მაშინ თვითმფრინავზე გადაჯდება („ლიოტჩიკობაც“ მაგრა ეხერხება!) და მონეულ მოსავალს არამც და არამც გაუსაღებელს არ დაგიტოვებთ-მეთქი. თქვენ წარმოიდგინეთ, დამიჯერეს. სხვაგვარად ვერც წარმოვიდგენდი, ბოლო უცხოური გამოკითხვის მიხედვით ხომ მიხეილ სააკაშვილის რეიტინგი სადღაც 80 პროცენტს უკაკუნებს!







### ნორა ედიშერაშვილი

#### ქართული სულიერების გზაზე (რეცენზიის მაგიერ)

62



ჟურნალი „ოლე“ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ გამოცემაა, დასაბამს იღებს 2004 წლის ივნისიდან, ქალაქ თელავში, რეგიონალურია, თუმცა, ერთი შეხედვით, რამეთუ, მისი გაცნობის შემდეგ, რჩება შთაბეჭდილება, რომ უფრო მეტია, ვიდრე, საქართველოს ერთი კუთხის, თუნდაც, ულამაზესი კახეთის, ჩვეულებრივი ჟურნალი...

დასანანია, რომ ჟურნალთან, რომელიც ათ წელზე მეტია, ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს და ახარებს მკითხველებს, არ მქონდა შეხება და სიახლოვე, მის შესახებ, მწირი ინფორმაცია გამაჩნდა, ისიც, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან, და რომ არა ჩემი თელაველი მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთ „თელავის მოამბის“ (აღრე „ალაზნის განთიადის“) ყოფილი რედაქტორის, ქეთევან წამებულის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის, ქალბატონ მერი ზაალიშვილის მონდომება, შეიძლება დღესაც არაფერი მცოდნოდა ამ შესანიშნავი ჟურნალის შესახებ. სწორედ მისი და ჩემი ახლობელის, ქალბატონ მადლენა ზარიძის დახმარებით გაჩნდა ჩემს მაგიდაზე ჟურნალის გასული წლის ნომრები, ახლახან კი, რედაქციამ, კასპელი პედაგოგის, ქალბატონ ლია სოზიაშვილის ხელით გამომიგზავნა წლევეანდელი ორი ნომერი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

ინტერესით ვეცნობი ჟურნალს, რომელსაც სახელწოდებად აღებული აქვს ცნობილი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის გენიალური ლექსი „ოლე“, სახელი, რომელიც „პაპანაქება სიცხეში სულის მოსათქმელ ადგილს აღნიშნავს, საჩრდილობელ ერთადერთ ხეს, ან ტყის მცირე კორომს“ და როგორც ცნობილი ჟურნალისტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ნელი ცქიტიშვილი წერს, „მის შინაარსს, მის მხატვრულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ-ლიტერატურულ ნერილებს თუ გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ეს ჟურნალი ოლეა, ანუ სულის მოსათქმელი ადგილი ჟურნალის ავტორებისთვისაც და მკითხველებისთვისაც.“

ჟურნალის მთავარი რედაქტორია მწერალი და მთარგმნელი ბატონი აკაკი დაუშვილი, რედაქტორები — პოეტები, ბატონი ფარნა რაინა (ფარნაოზ რაინაული) და ქალბატონი ნუნუ ძამუკაშვილი. გამოიცემა თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის (მერი, ბატონი პლატონ კალმახელიძე) და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (გამგებელი, ბატონი ალექსანდრე შათირიშვილი) მხარდაჭერით.

სწორედ მწერალ აკაკი დაუშვილის დამსახურე-

ბაა, რომ ქართული პოეზიის საგანძურს ყოველწლიურად ემატება ქართული ქრისტიანული პოეზიის ათტომეული. რომელსაც მეუღლესთან, კინორეჟისორ ლია დაუშვილთან ერთად გამოსცემს, ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის — „წმინდა ნინოს ჯვარის“ ფარგლებში.

მკითხველმა უკვე მიიღო ამ ათტომეულის ოთხი ტომი და მადლობელი ვარ მათი, რომ მეორე და მესამე ტომებში შეტანილია ჩემი რამდენიმე ლექსი.

დავუბრუნდეთ ჟურნალ „ოლეს“, ამ „სიკეთის მოციქულს“, როგორც მას უწოდებს მისი ერთ-ერთი მკითხველი, ბატონი როსტომ ყენია, იგი ერთნაირად იზიდავს და აკმაყოფილებს ყველანაირი გემოვნების, ინტერესის და მისწრაფების მკითხველს, გამოიცემა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, უზადო დიზაინით, შინაარსით, და რაც მთავარია, გამოირჩევა სიიფით, მისი შექმნა შეუძლია მოსწავლესაც და სოციალურად დაუცველსაც, რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა კატეგორიის მკითხველებზე...

ემოციური იყო ჩემი „შეხვედრა“, ჟურნალის ფურცლებზე, პოეტ ფარნა რაინასთან (ფარნაოზ რაინაული), რომელიც მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და ამ გამოცემის ასევე, ერთ-ერთი რედაქტორი. მე მას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვიცნობ. 1974 წლის ოქტომბერში, ახალგაზრდა მწერალთა მეორე რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე, თელავში, მან არა მარტო „თავანკარა ქართულით გაჯერებული“ (ზაალ ბოტკოველის სიტყვებია) ლექსებით დაგვა-მახსოვრა თავი, არამედ, ტრადიციული, ქართული სტუმარ-მასპინძლობითაც...

მას მერე, ფარნაოზ რაინაულის პოეზიას ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებიდან ვეცნობოდი, ახლა კი, წინ მიდევს 2015-16 წლებში გამოცემული ჟურნალ „ოლეს“ ნომრები და მის ფურცლებზე „გზვდები“ უკვე სახელმძღვანელო პოეტს, რომელსაც მინიჭებული აქვს ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძის, ვაჟა-ფშაველასა და ილია ჭავჭავაძის პრემიები.

ამჯერად, პოეტმა შემოგვთავაზა თავისი „შემოქმედების გვირგვინი“ — კატრენები. მოვუსმინოთ თავად მწერალს:

— „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, — გენიალური რუსთაველისა არ იყოს, — მე ფრიად საჭირო, სასიცოცხლო წამალივით სათქმელი დავყურსე, აზრით დავხუნძლე, რამდენიმე სტრიქონში ჩავჭუჭყე და „კატრენები“ დავარქვი... 21-ე საუკუნის მკითხველს, რაც შეიძლება ცოტა დროში, რაც შეიძლება ბევრი უნდა უთხრა“...



ეს მისი არჩევანია, დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს!

„კატრენების“ ავტორს, ცოტა ხნის წინ, 80 წელი შეუსრულდა. თელავში ფართოდ აღნიშნეს პოეტის იუბილე. ქართლიდან ვუერთდები კახელებს, მის მრავალრიცხოვან მკითხველებს, „ლიტერატურული კახეთის“ ირგვლივ შემოკრებილ მწერლებს და ვულოცავ ბატონ ფარნას დაბადების დღეს, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ, ამ „თხემით ტერფამდე დახვეწილ პოეტს, ძეგლი ღვინოსავით დანმენდილი პოეზიის ავტორს, პოეზიისა, საქართველოთი რომ იწყება და საქართველოთი მთავრდება“ (მწერალ ზაალ ბოტკოველს დავესესხე).

ძალიან საინტერესო მწერლებს შეხვდებით ჟურნალის ფურცლებზე, ყოველი ნომერი შინაარსობრივად გაჯერებული და იდეოლოგიურად დატვირთულია, გულგრილად ვერ წაიკითხავთ რეზო (ემელიანე) ადამიას რომანს „წმინდა ნინო“, მარიამ კოზმანაშვილის, მამუკა დემეტრაშვილის, ციური მესხიშვილის, ნელი ზუროშვილის და სხვათა ლექსებს, ემზარ კვიციანიშვილის, ზაალ ბოტკოველის, ნუნუ ძამუკაშვილის, ლანა ლოლობერიძის, მერი ზაალიშვილის, გიორგი ჯავახიშვილის, და სხვათა წერილებს, მოგონებებს, აკაკი დაუშვილის თარგმანებს... უხვად არის აქტუალური რუბრიკები და განყოფილებები, რომლებიც ერთნაირი ინტერესით იზიდავს ყველა გემოვნების და ასაკის მკითხველს.

ამ წერილს რეცენზიის პრეტენზია არა აქვს, ამი-

ტომ მომიტევეთ „ოლეს“ ავტორებმა, რამეთუ, ყველა ვერ მოვისხენიე, თუმცა, ჟურნალი რეგიონალურ ჩარჩოებს სცილდება და უფრო რესპუბლიკურ გამოცემად წარმოგვიდგება. მან შეძლო და ავტორები შემოიკრიბა არა მარტო კახეთიდან, არამედ, რაჭიდან (დავით კიკვაძე), მესხეთიდან (ციური მესხიშვილი), აჭარიდან (მაია მახარაძე), ქართლიდან (ამ სტრიქონების ავტორი), იმერეთიდან, თბილისიდან და სხვა რეგიონებიდან... ამ პატივისათვის დიდი მადლობა რედაქციას.

ბევრის, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება მხატვრული ლიტერატურის, დოკუმენტური პროზის, წერილების, იუმორისტული, თარგმანების და სხვა განყოფილებების რუბრიკით დაბეჭდილ ავტორებზე, მათი გულიდან ამოხეთქილ ლექსებზე, მართალ მოთხრობებზე, იუმორისტულ ნაწარმოებებზე, დებიუტანტ ახალგაზრდებზე, მაგრამ კალამი რომ არ გამეცქეს, აქ დავსვამ მრავალწერტილს, თუმცა, ქართული მწერლობის მოყვარულებს დავადევნებ თხოვნას: თუ რომელიმე თქვენთაგანი, მოხვდებით „კახთა სატახტო ქალაქ“ თელავში და გაივლით ერეკლე მეორეს გამზირზე, ესტუმრეთ 6 ნომერში მდებარე „ლიტერატურული კახეთის“ ოფისს. აქ, კახური, თბილი, გულუხვი მასპინძლობით დაგხვდებიან და შემოგთავაზებენ „ქართული სულიერების გზაზე“ მავალ „ოლეს“, რომელსაც „მშობლიური სურნელი ასდის“...



## წიტილი



მარინა მამალაშვილი

### „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შოთა რუსთაველის პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დასურათებული ხელნაწერების შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ უძველესი ნიმუშები პოემისა დაკარგულია. ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები მიეკუთვნებიან XVII საუკუნეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე უამრავი მხატვარი მუშაობდა: მამუკა თავაქარაშვილი (XVII ს.), მიხაი ზიჩი (1827-1906), სერგო ქობულაძე (1909-1978), ლადო გუდიაშვილი (1896-1980), თამარ აბაკელია (1905-1953), ირაკლი თოიძე (1902-1985), რუსუდან ფეტვიაშვილი (1968...) და სხვანი.

ორიოდე სიტყვით გაგაცნობთ მამუკა თავაქარაშვილის სტილისა და შესრულების მანერას. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს თუ გადავხედავთ, ყურადღებას იქცევს უცნობი ოსტატების მიერ დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც ასახულია სპარსული გარემო. მამუკას ილუსტრაციები სპარსული გავლენისგან თავისუფალია, ნაციონალურ ტრადიციებზეა აღმოცენებული და საქართველოს ყოფა-ცხოვრებასთანაა

დაკავშირებული. მხატვრის მინიატურები გვაძლევს ძვირფას მასალას სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების, კერძოდ, ლევან დადიანის ეპოქის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მამუკა თავაქარაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ გადწერა და ილუსტრირება ლევან დადიანმა შეუკვეთა.

რა ვიცით მიხაი ზიჩის შესახებ? იგი იყო უნგრელი მხატვარი, დიდგვაროვანი ოჯახის შთამომავალი. საქართველოში 54 წლის ასაკში ჩამოვიდა. მას მთელი ევროპა საუკეთესო ილუსტრატორად და ღირსეულ მოქალაქედ იცნობდა.

ქართველმა ერმა სწორედ მიხაი ზიჩს, ილუსტრაციის ხელოვნების დიდოსტატს მიანდო უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება.

ზიჩი ქართველებში ეძებდა პოემის ტიპაჟების მხატვრულ მოდელებს და როგორც კარგი რეჟისორი „ვეფხისტყაოსნიდან“ დგამდა ცოცხალ სურათებს. ქართველების გაცნობის მიზნით მან მთელი ქვეყანა შემოიარა და ცოცხალი სურათების დასადგმელად მასალას აგროვებდა.

ზიჩს, საგამომცემლო კომისიის დახმარებით, წინასწარ ჰქონდა შერჩეული პოემიდან ის მთავარი ეპი-





მიხაი ზიჩი

ზოდები, რომლებიც უნდა დაესურათებინა. მხატვარი შესაფერის ტიპაჟებს სათანადო ტანსაცმლით მოსავდა, სცენას შესაბამისად ანათებდა, კულისებში კი მსახიობები ცოცხალი სურათის ამსახველ ტექსტს კითხულობდა. მაყურებელი ამ სანახაობით ხარობდა, ზიჩი კი ჩანახატს მისთვის ჩვეული სისწრაფითა და დაკვირვებით აკეთებდა.

ცოცხალი სურათების დადგმაში მონაწილეობას იღებდნენ იმ დროსი ცნობილი ადამიანები, რომლებიც განთქმულნი იყვნენ როგორც თავიანთი გარეგნობით, ისე ცეკვითა და საკრავზე დაკვრის ოსტატობით.

ორწლიანი დაულალავი შრომის შემდეგ, ზიჩიმ უამრავი ჩანახატი წაიღო პეტერბურგში. საგამომცემლო კომისიამ მხატვარს 14 სურათი შეუკვეთა. როდესაც ზიჩი პოემის შინაარსს საფუძვლიანად გაეცნო თოთხმეტის ნაცვლად 34 ესკიზი შექმნა. კომისიამ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებისათვის 27 სურათი ამოარჩია. სურათები თანამიმდევრულად იყო შედგენილი და უტექსტოდ იკითხებოდა.

ზიჩის რეალისტურმა ილუსტრაციებმა რუსთაველის ქმნილება ირანული მხატვრული სტილისაგან გაათავისუფლა.

ქართველი ხალხი ვეფხისტყაოსანში ხედავდა და ხედავს თავის სულიერ ძალას, ვაჟკაცობასა და სიყვარულის უკვდავ სახეს, რომელიც ასე კარგად გამოხატა ზიჩიმ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზიჩიმ შეისწავლა ქართული ენა და ანბანი და ილუსტრაციებს ლამაზი ქართულით უკეთებდა წარწერებს. ასეთი წარწერები აქვს დართული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა სურათს, რომლებიც უნგრეთის მუზეუმშია დაცული.

ივანე მაჩაბელმა თავის თავზე აიღო ეზრუნა ზიჩისთვის მისართმევი „ვეფხისტყაოსნის“ დამზადებაზე. პოემის საგანგებო ცალი ზიჩიმ ქართველ ხალხს მიუძღვნა გულთბილი წარწერით: „ქართველ ხალხს ჩემი თანაგრძნობისა და გულითადი ერთგულების ნიშნად. სანკტ-პეტერბურგი 1889 წელი“.

ქართველებისგან მხატვარმა ჰონორარის ნაცვლად დიდი სიყვარული და მადლიერება მიიღო.

სერგო ქობულაძემ ილუსტრაციებში წინა პლანზე წამოსწია გმირობის იდეა. ილუსტრაციების ეს ციკლი წარმოადგენს გმირობის, ვაჟკაცობის, ფიზიკური ძლიერებისა და შეუპოვარი ნებისყოფის ქებათა-ქებას. სწორედ ამიტომ, მის რაოდენობრივად მცირე ციკლში, ჩვენ ვხვდებით მხოლოდ მთავარ გმირებს, მას მეორეხარისხოვანი გმირები არ აინტერესებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ეპიზოდები, რომლებიც სიყვარულის იდეის ნათელყოფას ემსახურება, ქობულაძე გვერდს უვლის და მათაც ისე წარმოგვიდ-

გენს, როგორც მეგობრობის და საბრძოლო გმირობის ნათელყოფ მომენტებს. მაგ. „ავთანდილისა და თინათინის პაემანი“, ეს ეპიზოდი ქობულაძეს გადმოცემული აქვს, როგორც ხელმწიფე ქალის მიერ დასაჩუქრებული რაინდი, რომელმაც პირნათლად შეასრულა დავალება. ასევე საყურადღებოა „ტარიელისა და ნესტანის შეყრა ქაჯეთის ციხეში“. აქ უფრო მეტად ხაზგასმულია ტარიელის გმირობა, ვიდრე მოზიემ სიყვარულის თემა.

მეტად საინტერესო, თავისებური ხედვა გამოაშუაფანა ქობულაძემ „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედ პირთა ხატვისას. ქობულაძის გმირები არისტოკრატიული წრიდან გამოსული რაინდები და მეომრები არიან.

ქობულაძის ილუსტრაციებში აღსანიშნავია ნესტან-დარეჯანისა და თინათინის სახეები. უტყუარი მხატვრული გემოვნებითა და ხასიათების გაგებით არის გადმოცემული ორი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სულიერი თვისებებით აღჭურვილი ქალის პორტრეტი. ქობულაძის ნესტან-დარეჯანი მაღალი გრძობებისა და მორალური სიმტკიცის განსახიერებაა. თინათინი მკვეთრად განსხვავდება ნესტანისგან, მასში ჰარმონიულადაა შერწყმული სახელმწიფო მმართველის სიბრძნე და უნაზესი კდემამოსილება ქალწულისა.

ბოლოს კი, სიტყვა — ლადო გუდიაშვილზე. მხატვარს „ვეფხისტყაოსანი“ ესმის, როგორც სათავგადასავლო სიტუაციებით აღსავსე ფანტასტიკური თხრობა. მის ილუსტრაციებში მხატვრული ფორმა გაგებულია, როგორც დეკორატიული მომენტი. ამის გამო, ილუსტრაციები არსებითად სწყდებიან ლიტერატურულ ნაწარმოებს, მათ მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითი კავშირი რჩებათ პოემის ფაბულასთან.

ილუსტრაციების მეორე ციკლში, გუდიაშვილი შეეცადა შეექმნა გმირთა სახეები, — მათი ფიზიკური და სულიერი თავისებურებებით.

გუდიაშვილის ილუსტრაციები შესრულებულია შავი ტუშით. ნახატის ეფექტი დამყარებულია ხაზის რიტმისა და თეთრი და შავი ტონების კონტრასტზე.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების საქმე განვითარების გარკვეულ ეტაპზეა მისული. ნაწარმოები კვლავაც ელის თავის ახალ დამსურათებელს. ეს გენიალური პოემა ბევრჯერ ააღლევებს მხატვრების შემოქმედებით ფანტაზიას.



სერგო ქობულაძე





მხატვარი  
მამა ღვთის (ტორანა) მოსიაშვილი



ISSN 1512-3995



15123995